ჩემი საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლები
საგამომცემლო სახლი
თბილისი, ჭოხელაძის 14, ტელ./ფაქსი: 93-73-90

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი საქართველო

მოსწავლეთა თხზულებებისა და
ნახატების კონკურსში
გამარჯვებულთა
კრებული

თბილისი 2005

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპონსორი – ნინოწმინდის ნავთობკომპანია

პროექტის ავტორი და ბავშვთა საერთაშორისო
ფონდ „ვუნდერკინდის“ დამფუძნებელი
ანა ალავერდაშვილი

К 259.282

რედაქტორი
მარინა თექთუმანიძე

© ბავშვთა საერთაშორისო ფონდი „ვუნდერკინდი“

უაკ (UDC) 984. 631–1
ბ 565

საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ები“ 2005

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

მკითხველო, თქვენს წინაშეა ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობის ფიქრი და ხედვა საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ამ კრებულის ავტორებმა მოსწავლეთა თხზულებებისა და ნახატების კონკურსში გაიმარჯვეს, კონკურსს "ჩემი საქართველო" ჰქვია. ის ბავშვთა საერთაშორისო ფონდ "ვუნდერკინდისა" და მოსწავლეთა გაზეთ "ნერგის" თაოსნობით ჩატარდა. ბავშვებმა 1500 ნამუშევარი წარმოადგინეს.

აღსანიშნავია, რომ მასში თბილისელი მოსწავლეების გარდა საქართველოს თითქმის ყველა რაიონის – აბაშის, ახმეტის, ადიგენის, ამბროლაურის, ხობის, ონის, დმანისის, წალენჯიხის, ნინოწმინდის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების და ქალაქების მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

თითოეული ნაშრომი გამოხატავს სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს. ყმაწვილები გულგრილნი როდი არიან მისი წარსულისა თუ მომავლის, ისტორიისა და ენისადმი. სასიხარულოა, რომ კონკურსმა გამოაავლინა საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების ბავშვების თხზულებები, რომელიც გამართული, კარგი ქართულით გამოირჩევა, გულწრფელია მათი სიყვარული საქართველ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსადმი – მათი სამშობლოსადმი.

კონკურსის კოორდინატორები გახლდნენ ბიორბი ლობჟანიძე – ლიტერატორი და რუსუდან ფეფიაშვილი – მხატვარი, ბავშვთა საერთაშორისო ფონდ "ვუნდერ-კინდის" გამგეობის წევრები.

ბავშვთა საერთაშორისო ფონდ "ვუნდერკინდის" გამგეობის გადაწყვეტილებით გამარჯვებული ნამუშევრები ცალკე წიგნად იბეჭდება. ფონდი წიგნს და გაზეთ „ნერგის" სპეციალურ ნომერს საჩუქრად გადასცემს გამარჯვებულ მოზარდებს, მათ თანატოლებს. აგრეთვე მშობლებს, ახლობლებს, ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებს – უფროსი თაობის ადამიანებს, ვისთან ერთადაც უნდა აშენონ მათ ხვალინდელი საქართველო.

ნანა ქავთარაძე

ფონდ „ვუნდერკინდის" პრეზიდენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა

მოსწავლეთა თხზულებების კონკურსი, რომელიც ბავშვთა საერთაშორისო ფონდ "ვუნდერკინდისა" და საქართველოს მოსწავლეთა ვაზეთ "ნერგის" ძალისხმევით ჩატარდა, უჩვეულოდ საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა. მართალი გითხრათ, კონკურსის ორგანიზატორებს თავიდან არც კი ეგონათ, თუ მათი ინიციატივა ასეთ მასშტაბებს მიიღებდა და ქვეყნის ყველა რეგიონში ამგვარ გამოხმაურებასა და მხარდაჭერას მოიპოვებდა.

კონკურსი საქართველოს სკოლის მოსწავლეებს მოცემულ თემაზე ("ჩემი საქართველო") არატრაფარეტული თხზულების დაწერას ავალებდა და მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ჩვენი მოწაფეების მისწრაფებათა გამოვლენას, მეორე მხრივ კი მათი წერის კულტურის საერთო დონის გამოაშკარავებას. ამიტომაც განცხადებაში, რომელიც კონკურსის პირობებსა და ვადებს იუწყებოდა, თავიდანვე ხაზგასმით გახლდათ მითითებული, რომ ჯობდა, საკონკურსოდ წარმოდგენილი თხზულება არატრაფარეტული, არაპათეტიკური ეოფილიეო. ამით შეეცადეთ ჩვენში ფეხმოკიდებული, უკიდურე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად დაშტამპული და შაბლონური "თავისუფალი თემები" თავიდან აკვეცდინა. სხვა მხრივ, კონკურსი მონაწილეებს არაფრით ზღუდავდა და მათ შეეძლოთ, კალამი ბელეტრისტიკის ნებისმიერ ჟანრში მოესინჯათ.

კონკურსის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში გაზეთ "ნერგის" მისამართზე საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან წერილების ნაკადი დაიძრა. გვწერდნენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა მისწრაფებებისა და ინტერესების მოსწავლეები, რომელთაც ერთი რამ - სამშობლოსა და სიტყვის სიყვარული - აერთიანებდათ. საბოლოოდ, ჩვენთან თავი ათასამდე თხზულებამ მოიყარა, რომელთა წაკითხვა და მათგან საუკეთესოების ამორჩევა არც თუ ისე იოლი გამოდგა.

ამ სირთულის მიუხედავად, შეგვიძლია თამამად ვითხრათ, რომ არც ერთი თხზულება უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია. უფრო მეტიც, შევეცადეთ, ამა თუ იმ თხზულებაში გამკრთალი ერთი-ორი რიგიანი ფრაზაც კი შეუნიშნავი და დაუფასებელი არ დაგვრჩენოდა.

საკონკურსო მასალების სიუხვე სასიამოვნო გახლდათ, მაგრამ ისიც ჰირდაჰირ უნდა ითქვას, რომ ამ თხზულებათა შინაარსის გაცნობამ საკმაოდ არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მოწაფეთა უმრავლესობას ეურად არ ეღო კონკურსის ორგანიზატორთა ჰირობა თუ გაფრთხილება, და ისევ ის ჩვეული, "თავისუფალი თემები" გამოეგზავნა, სადაც ყველაფერი იმდენად ბანალურია, რომ ლექსიკა და ფრაზეოლოგიაც კი ხშირად სიტყვა-სიტყვით მეორდება. აღარაფერს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამბობთ ჰათოსზე. გასაგებია, რომ საქართველოზე წერისას ჯირს ქართველმა კაცმა ემოციები მოთოკოს, მაგრამ სიყვარულის გულში მჯიღის ბრაგუნით გამქღავნება არც შინაგანი კულტურის მანიშნებელია და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც თვითონ სიყვარულის სიღრმეთა გასაგებად გამოდგება.

ერთხელ ერთმა უნიჯიერესმა ჰოეტმა, ჩემმა უფროსმა კოლეგამ ასეთი რჩევა მომცა: სასიყვარულო ლექსში როგორც კი ჰირდაჰირ იტყვი - "მიყვარს", - იმ ლექსის საქმე იქ დამთავრდებაო.

მართლაც, ლიტერატურის ძალა ისაა, რომ შეუძლია, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და უბრალო ამბით მთავარზე დაგაფიქროს, რაღაც არსებითი მინიშნება მოგცეს და ამ მინიშნებით გაგრძნობინოს ყველაფერი, რაც კონკრეტულ თემასა თუ საკითხთან დაკავშირებით ტექსტში შენი, როგორც მკითხველის, თანამონაწილეობისათვის საკმარისი იქნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოსტატურად "გაიძულოს", ავტორისათვის საინტერესო თემასა თუ ჰრობლემატიკაზე სასურველი და ოპტიმალური დასკვნა გამოიტანო.

რასაკვირველია, კარგად გვესმის, რომ მონაწილეთა ნაწერს ასეთ მაღალ მოთხოვნას ვერ წავუყენებდით და ჩვენი კონკურსის შემთხვევაში მთავარი იყო გაგვერკვია, რამდენად თავისუფლად შეუძლიათ წერა ახალგაზრდებს, რომელთაც სულ მალე იმ ქვეყნის ბედი უნდა ჩაიბარონ, რომელზეც ასე მხურვალე სიყვარულით საუბრობდნენ თავიანთ თხზულებებში.

შედეგი ძალზე დამაფიქრებელი აღმოჩნდა. გასაგებია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ მწერლობა ნიჭია, რაც ადამიანს ღვთისაგან ეძლევა და ამიტომაც იგი ისევე გაქვს ან არა გაქვს, როგორც ლამაზი თმა, ცხვირი თუ ჯანმრთელობა. მაგრამ ნიჭის გარდა, არსებობს წერის ხელოვნება. ხელობა, რომლის სწავლაც შრომით, მუყაითობითა და გემოვნებიანი მოძღვრის დახმარებით შეიძლება.

არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო და კარგად ვიცი, რომ ჩვენს სკოლებში ძალიან ბევრი ღირსეული, განათლებული და შესანიშნავი მასწავლებელი მოღვაწეობს, მაგრამ უჰირველესი ჰრობლემა, რაც საკონკურსო თხზულებების კითხვისას გამოჩნდა, მაინც მგონია, რომ კარგი ჰედაგოგის, ან ქართული წერის სწავლების უკარგისი მეთოდიკის ჰრობლემაა. ეს მეთოდიკა ბავშვებს დამოუკიდებელ აზროვნებას, თავიანთი აზრების ქაღალდზე უბრალოდ გადატანას კი არ აჩვევს, ხელში გამზადებულ ტრაფარეტს აჩეჩებს, რომელიც კლავს მათ ინდივიდუალობას და ყველაფერს, რაც კი ნამდვილი, ხალასი და წრფელია ამ ბავშვებში, გაქვავებით, წარეცხვით, წაშლით ემუქრება.

სხვაგვარად რითი შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ 1000 თხზულებიდან დაახლოებით 900 ნაწერში გამეორდა, ვთქვათ, ასეთი ფრაზები: "საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ვეჯერა, ღვთისმშობელი მას თავის კალთას ვადააფარებს". "რამდენი მტერი ეეხვეოდა გარს, ჩემო სამშობლოვ, რამდენი ურჯულოს შემოსევას გაუძელი და მაინც დგახარ, როგორც ბერმუხა — მრავალ ჭირვარამგამოვლილი და ნამეხარი". "ღღესაც მტკივა ქეთევანის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაშანთული მკერდი, ჰაატა საკაძის მოკვეთილი თავი...“ და ა.შ. მსგავსი მაგალითების მოხმობა უსასრულოდ შეიძლება...

თავისთავად, ცუდი არც ამ ფრაზებშია რამე. თითქოს აზრიც დასრულებულია, წინადადებაც გამართული, მაგრამ შემიძლია დანამდვილებით ვითხრათ, რომ ეს მაინც უაზრო ფრაზებია, რადგან მათ “ავტორებს“ ამ ფრაზებზე თვითონ არასოდეს უფიქრიათ, სადღაც, შეიძლება, სულაც სადღეგრძელოში მოკრეს ყური და დაამახსოვრდათ. გაუაზრებლად დამახსოვრებული სხვათა აზრები კი ძალიან საშიშია, რადგან ჰიროვნებას ანგრევს და ხელს უწყობს ერთიანი, ნაცრისფერი მასის ჩამოყალიბებას, რომელიც ეკონომიკურად და სულიერად წელში გამართულ ქვეყანას ვერასდროს ააშენებს. თავისუფალ ქვეყანას ჰიროვნებები, მოაზროვნე და ინდივიდუალობის ნიშნით აღბეჭდილი ადამიანები აშენებენ...

ეს ფრაზები რომ გაუაზრებლად დაწერილი არ იყოს, მაშინ, ვთქვათ, ის ბავშვი, რომელიც წერს: რამდენი ურჯულოს შემოსევას გაუძელი, ჩემო ქვეყანაო, ეგებ იმაზედაც უფრო ღრმად და სერიოზულად დაფიქრებულიყო, საკუთარი რწმენა რას ავალებს და ვის შეიძლება დღეს, ჩვენს აწეწილ და რთულ ეპოქაში “ურჯულო“ ეწოდოს? ქეთევანის დაშანთული მკერდი ნამდვილად არც მეორე ფრაზის ავტორს სტკენია, თორემ ამაზე ასე ხმამაღალ, დეკლარაციულ ლაპარაკს მოერიდებოდა და თავის სატკივარს ცოტა უფრო სხვაგვარად, უფრო ტაქტიანად და კულტურულად გაამხელდა. ანდა ვინ დამაჯერებს, რომ სამშობლო ამ ფრაზათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტორებს უფრო უყვართ, ვიდრე იმ თელაველ პირველკლასელს, რომელმაც თავის ერთიბეწო თხზულებაში დაწერა: "საქართველო ოთხკუთხედიაო". მე კი, არა როგორც კონკურსის კოორდინატორი, არამედ, როგორც ერთი ჩვეულებრივი მკითხველი, იმაზე უფრო დიდხანს ვფიქრობდი, რატომაა საქართველო ოთხკუთხედი, ვიდრე ყალბი პათეტიკით გაჯერებულ სტრიქონებზე.

სხვათა შორის, კონკურსის შედეგთა შეჯამებისას, ვფიქრობდით, რომ მონაწილეთა ასაკობრივი სხვაობა თხზულებების შეფასებაში სერიოზულ თავსატეხს გაგვიჩენდა, რაკიღა შეუძლებელი იქნებოდა, II-III კლასელი ემაწვილისა თუ IX-XI კლასელი მოზარდების ნაწერები ერთი და იმავე კრიტერიუმებით შეგვეფასებინა.

სირთულე მართლაც გაჩნდა, მაგრამ სულ სხვა ტიპისა და ბუნებისა. როგორც აღმოჩნდა, უმცროსკლასელები უფრო ლაღად და საინტერესოდ აზროვნებდნენ, ვიდრე უფროსკლასელთა უმრავლესობა. უკეთ რომ ვთქვათ, პატარები თვითონ წერდნენ, თავიანთ იქნებ გულუბრყვილო, ჯერ კიდევ ნედლ აზრებსა და გრძნობებს გადმოგვცემდნენ, უფროსები კი ხშირ შემთხვევაში ხელმძღვანელთა ან არასწორად წაკითხულ წიგნთა უსიამოვნო გავლენას განიცდიდნენ... ეს კი ისევ მასწავლებლის ან მეთოდიკის იმ პრობლემას უკავშირდება, რაზედაც დაწვრილებით ზემოთ მოგახსენეთ...

სასიამოვნოა, რომ ჩვენს კონკურსში ქვეყნის ძალიან ბევრი ეთნიკურად არაქართველი მოქალაქე, სომეხი, რუსი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოსი, გერმანელი თუ აზერბაიჯანელი მოსწავლეც მონაწილეობდა. სხვათა შორის, აზერბაიჯანელი ვოვონას ნაწერიდან გახლდათ ფრაზა, რომელიც მტერსა და ურჯულოს შეეხებოდა და ზემოთ, როგორც არასწორი აზროვნების ნიმუში, ისე დავიმოწმეთ... ეს შემთხვევა კიდევ უფრო მკაფიოდ გვიდასტურებს, რა საშიშია საეოველთაოდ გავრცელებულ აზრთა ბრმად და უკრიტიკოდ მიღება.

სხვა მხრივ, ეველაფერი რიგზე იყო და ძალიან გამიხარდა, რომ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოწაფეები ქართულად მათ ეთნიკურად ქართველ თანატოლებზე უარესად არ წერენ და აზროვნებენ.

ამ ჰატარა წერილში ეველა შემოსული თხზულების საგანგებო განხილვა ძალზე შორს წაგვიევანდა, ამიტომაც ძირითადი და ტიპური სირთულეები თუ ტენდენციები გამოვეაგით და მათზე გესაუბრეთ.

კიდევ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ნაკლისაგან დაზღვეული ალბათ არც თვითონ კონკურსი ეოფილა. ასეთი კონკურსი, ბოლო ხანებში, ჰირველად ჩატარდა და, ბუნებრივია, ეველაფრის წინასწარ გათვლა და გაანგარიშება შეუძლებელი გახლდათ. თუმცა ერთი რამ სრული ჰასუხისმგებლობით შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ მაქსიმალურად ვეცადეთ, შეფასებისას მიუკერძოებელნი ვეოფილიეავით და თითოეულ მონაწილეს ჩვენი მხრიდან თანაბარი ჰირობები ჰქონოდა.

ბევრი რამ მოვახერხეთ, ბევრიც ალბათ სამომავლოდ დაიხვეწება, რადგან კონკურსმა უჰირველესად ის დაგვანახა,

რაოდენ საჭიროა მსგავსი ასპარეზობებისა თუ ღონისძიებების ჩატარება, და როგორ აკლიათ ასეთი ინიციატივები ქართველ მოსწავლეებს. ამიტომაც ფონდი "ვუნდერკინდი" და გაზეთ "ნერვის" რედაქცია აპირებს ასეთი შეჯიბრი ეოველწლიურად გაიმეოროს.

ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ მოსწავლეთა თხზულებების კონკურსი საამომავლოდ ისეთი პოპულარული და პრესტიჟული გახდება, რომ მთავარი არა გამარჯვება, არამედ მასში მონაწილეობა იქნება.

გიორგი ლოგუანიძე,
ლიტერატორი, ბავშვთა თხზულებების
კონკურსის კოორდინატორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი საქართველო

35

თხგულება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ანა ზადიშვილი
მეთერთმეტეკლასელი
თბილისის 166-ე სკოლა

К259.2ба
3

მზის დღიურები

ვინდ დამიჯერეთ, გინდ-არა, მაგრამ ამასწინათ მზის დღიურები ჩამივარდა ხელში. საიდან და როგორ? არა მგონია, ეს საინტერესო იყოს თქვენთვის, მაგრამ რა წერია შიგ, ამას ნამდვილად გეტყვით.

ბევრი ვიფიქრე, დამეწერა თუ არა ამაზე. ხომ იცით, უზრდელობაა სხვისი დღიურების უნებართვოდ წაკითხვა, მაგრამ სულმა წამძლია, გადავშალე, მერე კითხვამ გამიტაცა და ისე მომეწონა, გადავწყვიტე თქვენთვისაც მეთქვა.

მართალია, მზე, რომ გაიგებს, გაბრაზდება, მაგრამ რა ვქნა? ამ ცივ ზამთარში ძალიან შორს არის ჩვენგან და ხმა ვერ მივაწვდინე, ნებართვა მეთხოვა. გაზაფხულამდე კი ველარ მოვითმენდი.

ბევრი ვილაპარაკე, არა? მოგწყინდათ? მაშინ დავიწყოთ კითხვა ერთად:

3 ნოემბერი

უკვე ერთი კვირაა ამ მოხუც კაცს ვაკვირდები; ქალაქის განაპირას, პატარა სახლში ცხოვრობს. შეშა გუშინ მოზიდა ტყიდან; დაჩეხა, დაალაგა. მეზობლის

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭი ეხმარებოდა. ერთი ძაღლი ჰყავს, სულ თან დასდევს, ყოველ დილით ჩემზე ადრე იღვიძებს; რამდენჯერ მოვინდომე, მაგრამ მაინც ვერ დავასწარი ადგომა. სირცხვილია, სადღა გამოვყო თავი! მერე რა თადარიგიანია! ყველაფერი მოწესრიგებული აქვს. არასოდეს გამოელევა საკენკი ქათმებისთვის, თივა ძროხისათვის. ერთი გოჭიც იყიდა საშობაოდ. გუშინ უკანასკნელი ვაშლი ჩამოაგდო ხიდან ჯოხით, ისიც სულ ყვავების და ბელურების ნაძიძგნი. ეჰ, მგონი, მეპარება ზამთარი.

5 ნოემბერი

გუშინ საღამოს მთვარე მესტუმრა. მითხრა: – მორჩა შენი სიხარული, ამის შემდეგ უფრო გვიან ამოხვალ და ადრე ჩახვალო. სხვა რა გზა მქონდა? დავთანხმდი. ვაი, რომ სხვა გზა არა მაქვს. ასე დამიწესეს. ვერ უყურებ ამ უნდილ მთვარეს?! ვერ გაიგებ, რა სწყინს, რა უხარია! ჩემგან ნასესხები შუქით ძლივს ანათებს, საცოდავი. ეს სულელი ვარსკვლავებიც დაუბრიყვებია, ატყუებს: – ჩემზე კარგი მთელ ცის თაღზე არავინაა. იმათაც რა ქნან? მე არ ვუნახივარ და ადვილად იჯერებენ.

21 ნოემბერი

გუშინ ქარმა მითხრა: მოდი შემეჯიბრეო. გამელიმა: რამდენს მიბედავს ეს ქარაფშუტა–მეთქი. მაგრამ მერე დავთანხმდი. წაქშუტუნდა ქალაქის პარკისაკენ. უკან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამხმარი ფოთლების, ქოლალდების და ნაგვის მთელი ამალა აიდევნა. ჰმ, გულშემატკივრები!

იქ, სკამზე კაცი იჯდა, შავი პალტო ეცვა. ეს სულელი ქარი მეუბნება: – აბა, მიდი, ამ კაცს პალტო გაახდევინე.

– ჯერ შენ დაიწყე...

– კარგი.

დაბერა ლოყები, შეისუნთქა და ისე ამოისუნთქა, საცოდავი კინალამ სკამიდან გადმოაგდო და გამხმარი ფოთლები სულ სახეში შეაყარა.

შეცბა ის საცოდავი, პალტოს ღილები ბოლომდე შეიკრა, საყელო წამოიწია, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

– კიდევ ერთხელ ვცდი, – მეუბნება ქარი.

– არა, ახლა ჩემი ჯერია–მეთქი, – და დავაცხუნე. ისე დავაცხუნე, როგორც აგვისტოში ვიცი ხოლმე. კაცმა ერთი კი ამომხედა გაჭირვებულმა, მაგრამ რალას იზამდა? ჩაიხსნა ღილები, გაიხადა პალტო, ზურგზე მოიგდო და ბილიკს გაუყვა.

მოვიხედე. ქარი ალარ იყო. ალბათ ქალაქს გაეცალა კუდამოძუებული.

1 დეკემბერი

დღეს ზამთარმა მითხრა: თავი მომაბეზრა ამ შემოდგომამ, რით ვეღარ დაკრიფა ყურძენი, ან ამ კაკალს მე მიტოვებს გზის პირებზეო?

ერთი სიტყვით, იმდენი იბუზღუნა, იძულებული გავხდი რამდენიმე კილომეტრით დავშორებოდი დედამიწას. გული დამწყდა, არ მინდოდა წასვლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23 იანვარი

მარტო ვარ, სრულიად მარტო. როგორ არ მიყვარს ზამთარი! მხურვალებაც მომაკლდა; მგონი, გავცივდი. ვინ იცის, ადამიანებს როგორ ეჭირდები! როდის წავა ეს ზამთარი. ხმას ვერ ამოიღებ მაგასთან, სიტყვას ვერ დაძრავ. აყვირდება, აყაყანდება, ყინვიან, ჩონჩხადქცეულ ხელებს შემოგხვევს, მოგიჭერს და გაგაჩუმებს. მგონი დავკარგე საკუთარი თავის რწმენა. რატომლაც მგონია, რომ ველარასოდეს ვიქნები უწინდელივით მცხუნვარე. დღეს პირველად დავფიქრდი ჩემს ბედზე. მაინც რამდენი ხანია ვარსებობ? ზოგჯერ ყველაფერი მომბეზრდება. მინდა, სადმე შორს გადავიკარგო. წავალ კოსმოსში და აღარ დაებრუნდები. თუ რომელიმე გალაქტიკაში სხვა მზე ვიპოვნე, დავრჩები და დავიწყებ იქ ცხოვრებას. ოხ, ეს სამი თვე! როგორ გაიწელება ხოლმე! ასე მგონია, გაზაფხული არასოდეს მოვა. ვფიქრობ და ვერ გამიგია: მე მომყავს ეს გაზაფხული, თუ გაზაფხულს მოვყავარ.

25 თებერვალი

ნელ-ნელა ვგრძნობ, ძალას ვიკრებ. ჯერ კი ადრეა, მაგრამ მაინც ვგრძნობ. ზამთარი მიიპარება ჩუმ-ჩუმად. ქალაქიდან აიფახა, აქა-იქ მთებზე შემორჩა. უფ, როგორ მეზიზღება მაგისი ყველაფერი! მიდის და მიაქვს თავისი ყინულის ჩურჩხელები.

გუშინ ერთი ლოლუა მეხვეწებოდა: ძალიან ნუ დამაცხუნებ, ცოდო ვარ, ცოტა ხანს კიდევ მაცოცხლეო.

კი შემეცოდა, მაინც გულკეთილი ვარ, მაგრამ როდემდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა იყოს ჩამოკიდებული სახურავზე? არადა ისეთი წვეტიანია, ვაი მას, ვისაც ეგ მოხვდება!

ჩემსას მაინც არ ვიშლი. მაგის გულისთვის ადარ ვანათო?! არა უშავს, გადაიტანს როგორმე! გაისად ისევ მოვა.

1 აპრილი

დიდი ხანია, არაფერი დამიწერია. ამის არც სურვილი მქონდა, არც-ხალისი. ისე მომაბეზრა ამ ზამთარმა თავი, ლამის ჩემი ყოვლისშემძლე სხივები დავაცხუნე და გავადნე, მაგრამ რას ვიზამ! მეკრძალება დროზე ადრე დათბობა. ეს გიჟი მარტიც არაფრით ჩამოუვარდება ზამთარს. ხან სცივა, ხან სცხელა, თვითონ ვერ გაუგია, რა უნდა. არა უშავს, ჯერ პატარაა, გაიზრდება და დაჭკვიანდებაო, – მითხრა გაზაფხულმა.

რით ველარ გაიზარდა? რაც თავი მახსოვს სულ ეგეთია. ჰმ, თავქარიანი!

დღეს ისეთი წვიმა წამოუშინა, მეგონა ისევ ზამთარი მოტრიალდა-მეთქი. მერე ამ მარტმა სულელურად გამიკრიჭა და მეუბნება: დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილიაო.

ასეთ ხუმრობას რა ეუთხარი! კი გამიხეთქა გული და!...

26 აპრილი

უჰ, როგორ დავიღალე! სად არ ვიყავი, რა არ ვნახე! არაფერი გამომპარვია. ეს ქალაქი ძალიან მიყვარს! დღეს მერცხლების ოჯახი ვნახე; მომესალმნენ: როგორ ბრძანდებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამრავლებულან, დაზრდილან! გამიხარდა ძველი ნაცნობების დანახვა. მოგზაურობის ამბებს მიყვებოდნენ. ისე არხეინად ისხდნენ სადენებზე, მეც მომინდა იქ ჩამოსკუპება, მაგრამ გადავიფიქრე. არ შეშვენის ჩემისთანა დარბაისელ მზეს ჩიტებთან ჭორაობა. ნეტავ რამ გამოაცოცხლა ეს ხალხი? ალბათ ჩემმა გამოჩენამ. აბა რა, მე ხომ ასეთი თბილი და ხალისიანი ვარ!

5 მაისი

მაინც რა ცნობისმოყვარე ვარ! დღეს ვერ მოვითმინე და ერთ ოთახში შევიჭყიტე. პატარა ბიჭი მეცადინეობდა. ისე გულმოდგინედ, ისე ბეჯითად, რომ გამიკვირდა კიდეც! ხან აქედან შეეუჭვრიტინე, ხან იქიდან; არაფერმა გაჭრა. კინადამ ვუთხარი: ადექი, ბიჭო, გარეთ გადი, ითამაშე, გეყოფა სწავლა – მეთქი! არ იქნა და არა, წიგნს ვერ მოვწყვიტე.

წიგნზე გამახსენდა: გუშინწინ ბიბლიოთეკას მივაშუქე. ვიფიქრე, იქნებ ამ ხალხმა გარეთ გამოიხედოს, დაინახოს, რა კარგი ამინდია, რა დარჩენიათ ამ ობიან წიგნებში-მეთქი. მაგიდასთან ლამაზი გოგო იჯდა. თმაზე მოვეფერე, ზურგზე გადავუსვი თბილი ხელი. მოპირდაპირე მაგიდიდან ბიჭმა სარკის ნატეხი აიღო, ჩემკენ მოატრიალა. ეჰ, რაღას ვიზამდი? შემეცოდა. ერთი-ორი სხივი როგორ დამენანებოდა! აირეკლა სარკემ. გოგონას თვალი მოსჭრა შუქმა; გაიხედა, ვითომ გაბრაზდა, მერე გამიღიმა, ბიჭმაც გაუღიმა. გოგომ წიგნი დახურა, გარეთ გამოვიდა, ბიჭიც გამოედევნა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს დავინახე, ბაღში ისხდნენ და ნაყინს მიირთმევდნენ. აი, ასე ვიცი მე! ხომ კარგი ქქენი?

24 ივლისი

მიხარია სიცოცხლე! პირიც დავიბანე, ღიმილი გავიხსენე, ისევ ძველებური მზე ვარ. ცისარტყელას ქამარი ისე მომიხდა, ყველა მე მიყურებდა.

ვგრძნობ ნამდვილი ზაფხული მოვიდა და ახლა იწყება თავდავიწყება!...

25 აგვისტო

ძლივს მელირსა მოსვენება. მთელი ზაფხული საქმე არ გამომლევია: აქეთ ხილი მქონდა დასამწიფებელი, იქით წყალი ასაორთქლებელი. არ აორთქლდება და აღარც წვიმა იქნება და გადახმება მიწა.

არც ზღვა დავიკელი. იმდენი ვითამაშე ზღვის ტალღებთან, კინაღამ გამანელეს; ზღვაზე ვგრძნობ ყველაზე მეტად, რომ ხალხს ეჭირდები.

29 აგვისტო

„ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა...“ ოჰ, ეს რა უაზრო მელოდია ამეკვიატა; თავს ვეღარ ვცნობ, გული უცნაურად მიცემს; რაც ამ ცისკრის ვარსკვლავს შევხედე, ადგილს ვეღარ ვპოულობ. ერთხელ მოვკარი თვალი, მერე დამემალა; მას მერე არ მინახავს, თითქოს რაღაც მაკლია, მოვიწყინე, ნეტავ ერთხელ დამანახა; მაგრამ ისეთი სულელი ვარ, დავიბნევი და სიტყვას ვერ ვეტყვი. შეიძლება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამავიწყდეს ყველაფერი და სხივები უწესრიგოდ დამეფანტოს.

არა, ასეც არ შეიძლება, უფრო ყურადღებით უნდა ვიყო.

ოჰ, ეს მთვარე რას მიკეთებს! იქნებ ვთხოვო, ცოტა დიდხანს დარჩეს ცაზე და ერთხელ კიდევ ვნახო ჩემი პატარა ვარსკვლავი!

მორჩა, გადავწყვიტე, მივალ და ვთხოვ.

1 სექტემბერი

ძალიან გამიჭირდა ამის გაკეთება. ძნელი წარმოსადგენია მთვარე და მზე ცის თაღზე ერთად, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, როგორც იქნა, დავითანხმე.

10 სექტემბერი

რა კარგად ვარ! ცაზე ველარ ვეტევი! დილამდე ვუყურებდი, ოღონდ შორიდან. ახლოს ვერ გავბედე მისვლა. ულამაზესი იყო. მგონი მოვწონვარ, დილამდე დარჩა. ბოლოს მთვარემ დაუბრიალა თვალები: ჩქარა წამოდი, მე მივდივარო!

შეცბა, შეშინდა და უკან გაჰყვა. დავრჩი მარტო, არავის დანახვა არ მინდა. არადა რა კარგი და საყვარელია, ისეთი პატარაა, რომ მივუახლოვდები, აღარც ჩანს ხოლმე, ჩემი სინათლე ფარავს!

* * *

აქ წყდება მზის დღიურები. შევნიშნე, ზოგიერთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფურცელი დაკარგულიყო და ამის გამო ჩანაწერი მაინც-დამაინც სრულყოფილი ვერ არის, მაგრამ ესეც ბევრია. ზოგის დაწერა თვითონ დავიწყებია; რა ქნას, ბევრი საქმე აქვს! ადვილი ხომ არ არის, იყო მზე!

ჰო, მართლა, თუ მზემ დღიური მოიკითხოს, ჩემი მისამართი მიეცით და დავუბრუნებ.

იმედია, ძალიან არ გაბრაზდება.

თეთრყის ცისკროები

ფილაადრიან სტვენამ გააღვიძა. ბიჭებს კისრები წაეგრძელებინათ და გაჰკიოდნენ: სანდროო!

პიუამოს ამარა გავიდა აივანზე, თვალების ფშვნეტით, ფეხშიშველი.

– დროზე ჩაიცვი, ბუთხუზაანთ მალხაზაც გველოდება, სანამ ნახირს გარეკავენ, მანამ მოვასწროთ, თორემ... – ბოლო სიტყვები რალაც უცნაური ჩურჩულით წარმოსთქვა ჭორფლიანმა და ქურდულად გააპარა თვალი მეზობლის ეზოებისკენ. ჭორფლიანს ზემოუბნელი ობლებიც ატორღიალებოდნენ, ტყუპი ძმები: ვახო და გიგო. ტყუპისცალს იღლიაში ამოეჩარა შეფუთული, ქაღალდში გადახვეული მომცრო ნივთი და შეპარვით დასცქეროდა ჭუჭყიან, შიშველ ფეხის ტერფებს.

სანდროს ახლალა მოაგონდა: ერთი კვირით ადრე მალხაზა ტრაბახობდა, ჩემი ბიძაშვილი შემპირდა თბილისიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დენთს გამოგიგზავნიო.

ერთი კვირა არ ამოსულა მალხაზა თავისი სახლის სარდაფიდან, ხელნაკეთი ბომბი დაამზადა – პატარა, მომ–ცრო, ჩამრგვალებული. მერე ძმაკაცებს დაუძახა: აი, ნახეთ, რა მაგარი ვარო.

ბიჭები უყურებდნენ. ამ პატარა ქმნილებიდან შიშის უხილავი ტალღები მოირწეოდნენ, მათ სულში აღწევდნენ, თვალებში ირეკლებოდნენ. თითქოს ყველას გულმა უგრძნო ხიფათის მოახლოება. წამით აიბუზნენ, უკან დაიხიეს. მალხაზას თვალები უბრწყინავდა. უპირატესობას გრძნობდა, გული სიხარულით ევსებოდა დამფრთხალი ბიჭების დანახ–ვაზე.

– მერე ამმას რრა უნდა ვვუყოთ? – ენის ბორძიკით იკითხა ვახომ.

– ავაფეთქებთ, – ჭინკები ათამაშდნენ მალხაზას თვალებში.

სადა?

აი, იქა! – თქვა მალხაზამ და თითი ფუნაგისის სალო–ცავის ნანგრევებისკენ გაიშვირა.

იქა? – იკითხა ყველამ ერთხმად და დადუმდნენ.

რაო, გეშინიათ?

არა, არა, არ გვეშინია, ავაფეთქოთ! – შესძახეს ყოყლოჩინებმა.

გადაწყვიტეს, მეორე დღეს, სანამ სოფელი გაიღვიძებდა, ერთმანეთისთვის დაემტკიცებინათ თავიანთი ვაჟკაცობა, თორემ პატივმოყვარეობა შეელახებოდათ და უბანში ცხვირს ვინღა გამოჰყოფდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმართს შეუყენენ. წინ მალხაზა მიდიოდა. მანვე იტვირთა „მძიმე ხვედრი“, ფითილისთვის ცეცხლი მოეკიდებინა. სანდროს ფეხები უკან რჩებოდა.

– მალხაზ, არ გეშინია იმ სალოცავში სულები რომ იყვნენ, ყველანი დაგვიჭირონ და შეგვჭამონ? – ბავშვური გულუბრყვილობით იკითხა სანდრომ.

– შენა ბიჭო, ველარ გაიზარდე, ისევა გჯერა ბებიაშენის ზღაპრებისა? დაბერდა ხათუთა ბაბო და ჭკუა ეპარება, – დაასკვნა ყოჩმა.

სანდრომ დაირცხვინა. ხათუთა ბებო მღვდლის შვილი იყო. ავადსახსენებელმა ბოლშევიკებმა გაკრიჭეს მამამისი ლავრენტი და ციმბირის გზას გაუყენეს. მას შემდეგ ბებო შიშნარევი კრძალვით გადაიწერდა ხოლმე პირჯვარს ძილისწინ და უფალს ავედრებდა თავის შვილებსა და შვილიშვილებს. გულზე ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, გარედან თალხი ემოსა და არავის ანახვებდა სანუკვარ საუნჯეს. ეს მედალიონი მამამ უსახსოვრა. ზედ ზუსტად ისეთი ღვთისმშობელი იყო გამოსახული, როგორიც ფუნაგისის სალოცავის ფრესკაზე. ბებო დამნაშავესავით თავჩაღუნული წავიდოდა ხოლმე ღვთისმშობლობა დღეს ფუნაგისის მთაზე, მამალს გაუშვებდა, სანთელს დაანთებდა და წმინდა მარიამს ცრემლით შესთხოვდა დაეფარა ადამიანთა სულები ეშმაკეული ზრახვებისაგან.

აი, მალხაზაც ხელში ანთებული ასანთით. აზარტისაგან ენა გამოუყია და ფრთხილად მიაქვს ხელი ფითილთან. მერე გამორბის სალოცავიდან. ბიჭები იქვე გართხმულან მიწაზე პირქვე და თითები ყურებში აქვთ გარჭობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო საფლავის ქვაზე ზის, ბებოზე ფიქრობს.

გამჭირვალე დილა აფეთქების ხმამ დაარღვია. ცაში აიჭრა ქვები, მიწის ნაგლეჯები.

შიშით გულგახეთქილი ბიჭები დალმართზე ჩამორბოდნენ კისრისტეხით. ვიდაცის საბძელში მოითქვეს სული. მალხ-ახას სახე გამურვოდა და თმა შეტრუსოდა. სხვები მიწას იფერთხავდნენ ტანსაცმლიდან და თმებიდან. შეეშინდათ, თან უხაროდათ, რომ ერთმანეთის თვალში ლაჩრები არ გამოვიდნენ. უმალვე მოგროვდა ხალხი, ცნობისმოყვა-რეებს არ დაზარებიათ ამხელა გორაზე ამოსვლა.

სკოლის დირექტორიც და საბჭოს თავმჯდომარეც იქ გაჩნდნენ თვალისდახამხამებაში. წუხდნენ: ხალხს სიმშვიდე დაურღვიესო. მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილი, პენსნეიანი საბჭოს თავმჯდომარე კიდეც ამბობდა: ჯანდაბას ამის თავი, მაინც უნდა დაგვენ-გრია, მაგრამ, მე ის მაფიქრებს, თავში აზრად ვის მოუვიდა ამის გაკეთებაო. საღამოსთვის ყველაფერი მიწყნარდა. ხალხი დაიშალა. ღამის ბინდბუნდში შავად მოჩანდა იავარქმნილი ფუნაგისი.

სანდრო იმ ღამეს შინ არ მისულა. საბძელში ჩაეძინათ ბიჭებს წინა წლის თივაზე.

ბინდისას ხათუთა ბებომ შალის თავშალი მოიხვია და ფუნაგისის გორაზე ავიდა. მუხლებში ძალა წაერთვა მოხუცს და იქვე ჩაიკეცა ნანგრევების დანახვაზე. დიდხ-ანს იჯდა ასე ხათუთა ბებო, ხელებს ასავსავებდა გაო-ცებული, თითქოს ღამის სიბნელეს ეკითხებოდა რამეს. სამივე კედელი ჩამონგრეულიყო. მხოლოდ ერთს მორღვეოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყუა. ჟამთა სიავისაგან გადაცრეცილი ფრესკა ახლა მთლად გამურულიყო და მხოლოდ ღვთისმშობლის თვალები და ყრმა იესოს შუბლი ჩანდა ბუნდოვნად. ბებო გაჭირვებით წამოდგა და ფრესკას ემთხვია. დამჭკნარი ტუჩებით სველი სითხე იგრძნო.

გაოცდა მოხუცი. ლამის საუკუნე იცხოვრა ამ ქვეყანაზე და ასეთი სასწაულის ხილვის ღირსი თუ შეიქმნებოდა, არ ეგონა.

– დიდება შენდა, ღვთისმშობელო, მზეო მარიამ! – ამოიგმინა ხათუთამ.

ტიროდა ფრესკა. მარიამის ღვთაებრივად ნაღვლიანი თვალებიდან ცრემლი მოდიოდა. ისეთივე ცრემლი, როგორიც ჩვენ ყველას გვაქვს, მლაშე და გამჭირვალე; მაგრამ ჩვენი ცრემლები მიწიერია, ცოდვილი. ქალწული მარიამის კი ღვთაებრივი მადლით იყო სავსე.

ღვთისმშობელი თითქოს წუხდა ადამიანთა ცოდვებზე, ხელში ყრმა იესო ეჭირა.

და იდგა ერთმანეთის პირისპირ ორი დედა, ერთი ღვთაებრივი, მეორე კი მიწიერი, ერთი მარადიული, მეორე კი წარმავალი, მაგრამ ორივე სპეტაკი ცრემლით ტიროდა და ადამიანთა ცოდვებით დამძიმებულ სულებზე სწუხდა. ხათუთა ბებო ისე გარდაიცვალა, არ იცოდა, რომ მისი სანუკვარი შვილიშვილი მთელი სიცოცხლე თავს უსაზღვროდ დამნაშავედ თვლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ელიზბარაშვილი
მეშვიდეკლასელი
გურჯაანის 1-ლი სკოლა

ორი ზღაპარი კრებულიდან „გიოზარონი და მისი საოცრებანი“

მიკროსკოპი საკლასოოთახში

საოცრება №3

ერთ დღეს ელიზბარონი მომადგა კარზე, – წამოდი, „ქურანას“ შევასხდეთ და სადმე სანადიროდ წავიდ-ეთო. მე ვუთხარი: ბიჭო, ამდენი ნადირობა არ მოგ-წყინდა, დაისვენე, ასეც არ იყოს, ძალზე მოუცლელი ვარ, ლაბორატორიაში ვმუშაობ – მეთქი. ეწყინა და სიცილი დამაყარა. რა გააჭირე საქმე მაგ შენი მიკროსკოპებით, ეგე მანდ, შენც, გურჯბარონივით „შტაინ-2“ არ ააგოო. ვუთხარი „შტაინ-2“ რა შუაშია, მე სხვა სფეროში ვმუშა-ობ, მიკროსამყაროს ვიკვლევ – მეთქი. სიცილს უმატა და ბოლოს იქამდე მივიდა, მატყუარა მიწოდა. მე ძალიან გა-ვბრაზდი და პირში მივახალე: მატყუარა და ცრუპენტე-ლა შენ თვითონა ხარ, შენ თავგადასავალში სულ ტყუ-ილებს წერ. რომ აიტეხე, ნიკა, ნიკა, სადა გყავს ძმა? ერ-თი და გყავს და ის ნიკა როგორ იქნება – მეთქი. ნიკა ხომ ჩვენი მეზობელია, მოგელი ძიას ბიჭი.

ამის თქმა იყო და ეს ჩვენი ელიზბარონი უკან მოუხ-ედავად გავარდა შინისაკენ. მე კი მთელი დღე ხასიათ-წამხდარი ვიყავი და მუშაობას გულს ვერარ ვუდებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან ვბრაზდებოდი, ეგეც მეგობარია რა – მომიშალა ნერვები და წავიდა.

გაბრაზებული ჩემთვის რაღაცას ვბურტყუნებდი, რომ მელაკუდამაც შემომისწრო. რა იყო, რა მოგიყიდაო,– მკითხა. მეც ყველაფერი ვუამბე. ჩაიცინა, – შენ რომ ყველას უსმინო, მაგრე სად წავა. შენი გასაკეთებელი საქმე ვინ უნდა გააკეთოსო. ეგ ყველაფერი დაივიწყე და ყური მიგდე; ერთი იდეა მაქვს, იქნებ გაერთიანებული ძალებით ორივემ თავი მოვაბათო. მე ყურები ვცქვიტე მელაკუდამ დაიწყო: მოდი ისეთი მიკროსკოპი გავაკეთოთ, არა მარტო ვხედავდეთ მიკროსამყაროს, არამედ ვუსმენდეთ კიდეცო.

ბიჭოს, აი მართლა ნაღდი იდეა! რა თქმა უნდა, ჭკუაში დამიჯდა და საქმეს შევუდექით. კვირაობით და თვეობით ლაბორატორიიდან არ გამოვდიოდით, დაღლილობისაგან ფეხზე ველარ ვდგებოდით. ჭამაც კი ალარ გვახსოვდა და აი, ზუსტად სამი თვის თავზე შრომაც დაგვიფასდა. ახალი მიკროსკოპი მზად იყო. იგი საშუალო ზომის ტელევიზორის მსგავსი გამოვიდა. დიზაინიც კარგი შევურჩიეთ და სახელად „მეგი“ დავარქვით, ჩვენი სახელების პირველი მარცვლების მიხედვით. მე–მელაკუდა, გი–გიობარონი. გადიდების უნარიც მეტი ჰქონდა. ულტრათანამედროვე მიკროსკოპებთან შედარებით რამდენიმე მილიონჯერ ადიდებდა.

„მეგისთან“ პირველი კონტაქტის უფლება მელაკუდამ ვაუკაცურად მე დამითმო. ნეტა ვინ გაუტეხა, ამ მელაკუდას სახელი. ჩემს მელაკუდას არც ცბიერებისა ეტყო–

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა რამე და არც ვერაგობისა. ერთი წესიერი კაცია. უჰ, ბოდიში, კაცი კი არა, ერთი წესიერი მელაკუდაა. თან მირჩია, დალლილები ვართ, დღეს კარგად დავისვენოთ და პირველი სეანსი ხვალ ჩაატარეო. მაგრამ მე გული აღარ მითმენდა. ეზოში ჩავედი, კუთხეში ერთი ლპობაშერეული ჯირკი ეგდო. ეს ხომ ბაქტერიებით იქნება-მეთქი სავსე. ერთი პატარა ნაჭერი მოვატეხე და ლაბორატორიაში შევბრუნდი. ფრთხილად ჩავდე ეს ნაჭერი „მეგის" დაკვირვების კოლოფში და გულისფანცქალით გადავატრიალე ჩამრთველი.

ჯერ ისევ სახელურს ვატრიალებდი მკაფიო გამოსახულების მისალებად, რომ ყურსაცვამებში ბრძოლის ყიჟინა გაისმა. გაოცებული მივაჩერდი პატარა ეკრანს. სამი ღია ფერის ბაქტერია შავი მიკრობების მთელ გუნდს ებრძოდა. იყო ერთი შეძახილები და ლანძღვა-გინება. თუმცა გინებით მხოლოდ შავბნელი მიკრობები იგინებოდნენ. ღია ფერის ბაქტერიები კი მასხრად იგდებდნენ შავებს და თან ლენჩებს და უტვინოებს ეძახდნენ. ამასთან ისე ვაუკაცურად იქნევდნენ ნამცეცა ჯოხებს (ალბათ დაშნებს?), რომ მტრის გუნდიდან ვინც კი ახლოს მისელას გაბედავდა, უმალ ძირს ეცემოდა. თუმცაღა, სიმრავლეს მაინც თავისი გაჰქონდა, შავების რაზმმა ნელ-ნელა შეავიწროვა და ბოლოს ალყაში მოაქცია სამი ვაჟკაცი.

– ჰაიტ, თქვე ჯოჯოხეთის მოციქულნო! – გაისმა უცებ ომახიანი შეძახილი და ბრძოლის ველზე, მეოთხე, ნათელი ფერის ბაქტერია გამოჩნდა. გამოჩნდა და შავების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსრის გავლებაც დაიწყო. მაშინ კი იკადრეს გაქცევა შავებმა – სულ კისრისტეხით გარბოდნენ.

სამმა ვაუკაცმა მადლობის ნიშნად ქუდები მოუხადა უცნობს და ვინაობა ჰკითხეს.

– მე დ'არტანიანი ვარ, სიცოცხლის და იმედის ბაქტერია. მომავლის რწმენას ვავრცელებ ამ ქვეყანაზე. რაკი ახლა საქართველოში ვართ, შეგიძლიათ იმედა–ბაქტერია დამიძახოთ. ახლა თქვენც წარმომიდექით, ბატონებო, – მკვირცხლად ლაპარაკობდა უცნობი ბაქტერია. – სიამოვნებით, ჭაბუკო, – სასიამოვნო ხმით თქვა ერთმა მათგანმა და ნაბიჯი წინ გადადგა, – მე ათოს – ბაქტერია ვარ. ხალხში ვაუკაცობის, მეგობრობისა და ერთგულების თვისებებს ვავრცელებ. ეს ახოვანი ჯეელი პორთოს – ბაქტერიაა, სიყვარულისა და დროის ტარების ბაცილებს ავრცელებს (პორთოსმა ულვაშებში ჩაიცინა). ეს მესამე კი არამის–ბაქტერიაა, ღმერთის სიყვარულს უნერგავს ადამიანებს. ბარემ იმასაც გეტყვი, რომ ის შავი მიკრობები სხვადასხვა დაავადებას ავრცელებენ – ჭლექს, ქოლერას, შავ ჭირს, ნარკომანიას და ა.შ. ამიტომაც ვებრძოდით ასე დაუნდობლად.

– ეგ ძალიან კარგია! – წკრიალა ხმით შესძახა იმედამ. – საქართველოში როგორ მოხვდით?

– ეგ გრძელი ამბავია, იმედავ, მაგრამ მოკლედ გეტყვით: ერთ გარეწარ „ქალბატონს“ ვეძებთ, მილედი ჰქვია. კვალმა აქ მოგვიყვანა. თუ დროზე არ შევიპყარით და არ დავსაჯეთ, თავისი ვერაგობით და ავხორცობით მთელ საქართველოს წაბილწავს. შენ როგორღა მოხვდი აქ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– მე კიდევ ერთ არამზადა „ვაუბატონს“ ვეძებ, რო-შფორი ჰქვია. მეც კვალმა აქ მომიყვანა. თუ დროზე არ მოვსპე, საქართველოში ღალატისა და უნამუსობის ბაც-ილებს გაამრავლებს.

სამმა მეგობარმა დაბალი ხმით რაღაც ჩაილაპარაკა და შემდეგ ათოს-ბაქტერიამ თქვა: მოდი, შენც ჩვენი მეოთ-ხე მეგობარი გახდი. შეერთებული ძალებით ვებრძოლოთ ბოროტებას, თანახმა ხარ?

– რა თქმა უნდა, ჩემი სურვილიც ეგ არის! – შესძ-ახა გახარებულმა დ,არტანიან-ბაქტერიამ ანუ ქართულად იმედა-ბაქტერიამ და ახალ მეგობრებს სათითაოდ გადა-ეხვია.

ცოტა ხნის შემდეგ ოთხი გამარჯვებული მეგობარი სი-მღერით ტოვებდა ბრძოლის ველს.

საოცრება №4

მე გაოგნებული ვიყავი. „მეგი“ გამოვრთე ელექტროქს-ელიდან და ფიქრებში წავედი. არა, მელაკუდა ნამდვილ-ად მართალი იყო. ეს რეები მელანდება. მართლაც ჯერ უნდა კარგად დამესვენა და ახალი ხელსაწყო მერე ამ-ემუშავებინა. მაინც საიდან გამოჩნდნენ ეს მუშკეტერები, ბიჭოს! ყველაფერი ალბათ იმის ბრალია, რომ ა. დიუმას წიგნი სულ ორიოდე კვირის წინ წავიკითხე და ხშირად ვფიქრობდი ოთხი მეგობრის წარმტაც თავგადასავალზე.

სასწრაფოდ დავტოვე ლაბორატორია და შინ ვახშმად დავჯექი. ერთი ჭიქა ჩვენი თალარის ღვინოც დავაყოლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გემრიელად დავიძინე.

მეორე დილით ტელეფონით მელაკუდა მოვიხმე და ყველაფერი ეუამბე. თან გაკიცხვის მოლოდინში გავილურსე. მაგრამ მელაკუდას არ გავუკიცხივარ. რა იცი, ყველაფერი ხდებაო, ჩაილაპარაკა. შემდეგ „მეგი" ჩავრთეთ და ეკრანს ერთად მივუსხედით.

საოცრება გრძელდებოდა:

ეკრანზე ისევ გამოჩნდა ოთხი ერთმანეთზე უკეთესი ახალგაზრდა ბაქტერია.

– აბა, ბიჭებო! – შესძახა იმედამ, – რაკი საქართველოში ვართ, თქვენც ქართული სახელები უნდა დაირქვათ. მოდი, ათოს, შენ ამირანი იყავი. შენ პორთოს, კომბლეს სახელი მოგიხდება, შენ კიდევ, არამის, დაიცა ერთი, მოვიფიქრო, შენ რაღა დაგარქვა.

– გაგიწყრეთ ღმერთი! – შესძახა უცებ აღელვებულმა არამისმა, – რა დროს სახელებია, ვერ ხედავთ სად მიიპარებიან?

– წინ, ჩქარა, არიქა! – შესძახეს მუშკეტერებმა ერთხმად და მალე თვალს მოეფარნენ.

ახლა რაღა ვქნათ – მეთქი, – შევეკითხე მელაკუდას. – მოვიცადოთ, სხვა რა დაგვრჩენიაო. მართლაც, ცოტა ხანში ეკრანზე ისევ გამოჩნდა გამოსახულება. ორი ბაქტერია ჩვენკენ მოემართებოდა და თანდათან უფრო მკაფიოდ ვხედავდით. ერთი ქალი იყო, ულვთოდ ლამაზი; მეორე – კაცი, გამართული მეომარი ჩანდა. თუმცა კი ორივე ფრთხილად მოდიოდა, თან აქეთ–იქით იყურებოდნენ.

ნეტა ვინ არიან და რას იმალებიან, – გავიფიქრე თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, ქალის ხმაც გაისმა:

–ეჰ, როშფორ, ტყუილად ჩამოვედით, ტყუილად.

– რას ამბობ მილედი, როგორ თუ ტყუილად. დაგავიწყდა ჩვენი მიზანი? უკან რომ გავბრუნდეთ, საქართველოს ვინღა გაანადგურებს?

– ეჰ, გაიხარე, მეც გულით მინდა ამათი მოსპობა, მაგრამ, ხომ გაიგე, შევარდნაძე ტახტიდან გადმოუგდიათ და მის ნაცვლად ვილაც ახალგაზრდა, სახელად მიშელი დაუსვამთ. მთელ ქვეყანაში ვარდების სუნი დგას, ყველა ახალგაზრდას ხელში ვარდი უჭირავს. ასე, რომ, ახლა ჩვენს ტყავს უნდა გავუფრთხილდეთ და აქედან დროზე გავიძურწოთ.

– ისე კი მართალი ხარ, ხომ იცი. ეს მუშკეტერებიც რომ კვალში ჩაგვიდგნენ, წელან ბეწვზე გამოვასწარით.

– რა გამოვასწარით. ვერ ხედავ, ისევ გამოჩდნენ. რა ვქნათ, გავიქცეთ?

– სად გავიქცეთ, ქალო! დავალების შეუსრულებლობას მაინც არ გვაპატიებს კარდინალი. იქ უსახელო სიკვდილს აქ ვაუკაცური სიკვდილი მირჩევნია. შევებრძოლოთ!

– ვაუკაცური სიკვდილი შენთვის დამითმია! – შეჰკივლა მილედიმ და სირბილით გასწია.

ამასობაში ოთხი მეგობარი როშფორს მიეჭრა და გარს შემოერტყა.

– რაო, ვაუკაცებო, ცოტანი ხომ არ ხართ? დამხმარე ძალას დაუძახეთ კიდევ, – ზიზღით ჩაიცინა როშფორმა და ხმალი იშიშვლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– უჰ, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ! – შესძახა იმედამ, – დამხმარე ძალა რად მინდა, მარტოც შეგებრძოლები.

არამისმა ხელები მაღლა აღაპყრო და ლოცვა დაიწყო. ღმერთს იმედას გამარჯვებასა სთხოვდა. ამირანი და კომბლე თავაზიანად განზე გადგნენ და ასპარეზი დაუთმეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებულებს.

დასაწყისში იმედამ შესთავაზა, ხმალი ხმალზე გადავაჯვარედინოთო. კარგიო, უპასუხა როშფორმა. მაგრამ იგი მხდალი, ლაჩარი გამოდგა და მიახლოებისთანავე ხმალი იმედას მუცელში გაუქანა. იმედამ აიცდინა. მერე, ეგრე არ უნდაო და ერთი მოქნევით როშფორს ხმლიანი ხელი წააცალა. ცოტა ხანში კი ხელს თავიც მიაყოლა.

კომბლემ თქვა, დავმარხოთო. იმედამ იუარა, ამას ქართულ მიწას როგორ წავაბილწინებ. წამო, ტყეში წავათრიოთ და მხეცებს მივუგდოთ საჯიჯგნად, იქნებ იმ თქვენ მილედისაც წავაწყდეთ სადმეო. ეგრე ვუყოთო. ჩააგდეს ტომარაში გვამი და გასწიეს ტყისკენ.

მე და მელაკუდა გაოცებულნი ვიყავით. ასე გვეგონა, მიკროსკოპის მაგიერად, ტელევიზორში ვუყურებდით ფილმს. ამასობაში ტყისპირას დამალულ მილედისაც მოვკარით თვალი. იგი მუშკეტერებმაც შეამჩნიეს და მისკენ გაიქცნენ. ცოტა ხანში კი მასაც როშფორის ბედი ეწია. ამ დროს ტყეში მგლის ხროვა გამოჩნდა. აი შესაფერისი მომენტიო, თქვეს მეგობრებმა და ორივე ლეში მგლებს მიუგდეს.

მელაკუდამ მეტის მოთმენა ველარ შეძლო და ეკრანიდან პირი იბრუნა. მეც მას მივბაძე და „მეგი“ გამოვრთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ფაქაძე
მეცხრეკლასელი
მეორე სვირის 1-ლი სკოლა
ზესტაფონი

ლოვების ცხოვლეთი

საქართველოს რომელ მხარესაც უნდა გაიხედო – ალმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, – ყველგან შემოგეგებება საქართველოს წარმტაცი მთა-ველი და ხალხის გარჯისა და ბარაქის ზეიმი. ჩვენი ყოფისა და შრომის მადლს გულდაგულ გამოჰკვეთენ გარდასულ საუკუნეთა სამხილები, მამულიშვილური რწმენისა და მოძალადე მომხდურთაგან ერის გადარჩენის მონაწილენი და მოწმენი. რა არის ბუნების სიკეთე, თუ კაცის გონების და მარჯვენის ნამოღვაწარი, რომელიც ჩვენს მიწაზე, წინაპართა და გმირთა სისხლით ნაპატიებ ქართულ მიწაზე სიამაყით არ ულალებს სულსა და გულს, თვალს არ უამებს ყველას, ვისაც ქვეყნად ბედნიერება და სიხარული უნთია კელაპტრად, ვისაც ბოროტება ეშორება და ემძიმება, ვისაც სიკეთის თესვა სიცოცხლის მიზნად და ნათელ სვეტად დაუსახავს.

საქართველოს წარსულზე, აწყმოსა და მომავალზე რომ ილაპარაკო, უნდა იყო უპირველესად მისი ღვიძლი შვილი. ამ პატარა ქვეყნის კუთხე-კუნჭულებში უნდა შეიჭყიტო, იხილო იქ გაზრდილი ქართველები და თავისთავად დაიბადება ჭეშმარიტება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი იმერეთი

შემოდგომის ქარიანი დღის საკვირველება, ზღაპარი-სამოთხე. ჩემს თვალწინ ტრიალებს აშოლტილი ალვები, ჩამუქებული მუხის ტყე ვაზი. „ციცქის კუმპალში გახვეული წიაწა, გარშემო სიტკბო რომ შემოხვევია, მალე მუცელი ასტკივდება, შუაზე გაიპობა და გარეთ გამოვარდება ნაყოფი“. ვაზი იმერეთის სიცოცხლეა.

ჩაფი, დოქი, ჭინჭილა... როგორ აეწყო სიტყვები, ამღერდა, რითმა გაიმართა. ბუხარში მოხარშული ლობიო და თხილი, სიფრიფანა მჭადი.

იმერეთი კოპიტის სამშობლოა. აქ უკოპიტოდ ვერ ნახავთ ეზოს, უკოპიტოდ არ არსებობს ღობე და ჭურისთავი. კოპიტის შეშა ხომ პირველია. „კოპიტის შეშას ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა“ – ეს წინადადება ლამის აფორიზმიეთ გავიზეპირე. კოპიტი თავმოყვარეობის სიმბოლოა, იმერელნიც ფრიად თავმოყვარენი არიან.

საქართველოს ეს კუთხე ახალმოყვანილ პატარძალს მაგონებს, პირველად რომ მიუჯდა სუფრას, მჭადის პატარა ნატეხი მოტეხა და კიკნის ნელა. თან სუფრას ათვალიერებს, ხომ არაფერი აკლია, სტუმრებმა არ დამძრახონო. ლარიბი მხარის სუფრას კი არასოდეს არაფერი აკლია, უფრო მეტიც, რაოდენ გადაჭარბებულადაც უნდა მოგეჩვენოთ, იმერული სუფრის მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს. რას არ ნახავთ აქ: პიმპილა და მარილი, ნიახური და ოხრახუში, პრასი და ჭლაკვი, კვაწარახი და საცივი...

საცივს ინდაური უხდება, ინდაურიანი იმერეთი ორი საუკუნისაა. გიორგი მეთორმეტეს აჩვენეს თურმე პირვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელად, ქალაქში დაინახა ზაქიჭამია მეფემ გაფხორილი ფრინველი და ყველას გასაგონად გამოაცხადა, ამის ხორცს რა შემაჭმევსო. პირის გემო რომ ჰქონდა იმ ქართველ მეფეს, კარგად არის ცნობილი, მაგრამ რატომ აითვალწუნა ინდაური, ძნელი გასარკვევია. სამაგიეროდ, მთელმა საქართველომ და მისმა ერთ-ერთმა კუთხემ სიამოვნებით მიირთვა საქართველოს უკანასკნელი მეფის დაწუნებული ფრინველის ხორცი.

აი ჩემი იმერეთი თავისი ადათით და ჩვევით. ასეთია ახლა, ასეთი იყო წარსულში და მჯერა, მომავალშიც არ დაკარგავს იერსახეს.

ჩემი გურია

იმერეთის – მეზობელი. იმერეთივით მოცუცქნული და კოპწია.

„რწყილი ახტა, დახტა და მივიდა“... ეს ქართული ხალხური ზღაპარია, რომლის წაკითხვისას გურულები წარმომიდგება ხოლმე თვალწინ. სტუმართმოყვარე, თხმელის ტოტებს შორის ხეზე ამძვრალ ყაბალახიან კაცს ჰგავს გურია, ცალი ხელით ჩახუტებია მურყანს, ცალი ხელით ჰკრეფს ადესას. ივსება გიდელი. ხიდან ძირს ჩამოდის ყაბალახიანი გურული. ტკბილის დადუღებას ელოდება. დუღდება ტკბილი და ზამთარსაც გასძვრება სული, თუმცა გურიას ისევ ყაბალახი ახურავს და ხეზე შერჩენილ ნაზამთრალ ხურმასთან ერთად შესცქერის მზეს. მზე მომავალია. გული გაგინათდება ამ მნათობის ხილვისას, მაგრამ ცა სხვაა, ამ კუთხის გადამრჩენი – გულის მაგივრად რომ იმ მზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატეხი უძევს მკერდში.

ასეა, ციური ცის ქვეშ დალივლივებს ცასავით ცისიერი და ცამართალი ცაი.

რაო, ცავ, რამ გაგიცივა გული, ცრემლი ცვეცხლს აქრობს, ეგებ მდინარედ გადაქცეულიყავ და ცისკრის ვარსკვლავად ამობრწყინებულიყავ?...

ესეც ჩემი გურია.

ჩემი სამეგრელო

მიწა ნოყიერი, ყლორტი თამამი და მზისკენ მიმავალი, შეუპოვარი. სიბნელეშიც რომ მოათავსო, მაინც იპოვნის ჭეჭრუტანას და თავს ზემოთ ამოყოფს. საუკუნეების განმავლობაში ფერუცვლელი. პირიქით, აქედან გაივსო აღმოსავლეთი.

შვილი ერთგული და საფიცარი.

უსაზღვრო მონატრება, ზღვის დაავადებაა ეს, წარსულს არ ივიწყებენ და არც არასოდეს თმობენ.

სამეგრელო მაგონებს შვილწართმეულ დედას, რომელსაც ერთადერთი სიხარული მოსტაცეს. სამეგრელო აბოლებული კერა და შუაცეცხლია, ჭერში ჰკიდია გამურული ჯაჭვი, რომელზედაც თავი ჩამოუხრჩვია ხანგელა თუჯიას, ფუშფუშებს ღომი, ბუშტულები სკდება ნახევრად მოხარშული ღომის ზედაპირზე. მეგრული ელარჯი ხომ დაგავიწყებს ყველაფერს. მეგრული ჰანგი, სევდით და სიყვარულით გაჯერებული, საოცარი ჰარმონია. რა კარგადაა ნათქვამი: „სამეგრელო ოცნებაა“...

ყურში ჩამესმის მეგრული ფერხულის ცის გამპობი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომნუსხავი მოძახილი. ო, როგორ მინდა მოგეფერო ჩემო ლამაზო, დიადო კოლხურო ცაო, ფიქრების დამაფრთხობელო და ამშლელო.

წარსულითა და აწმყოთი მომავლის წინასწარმეტყველება ძნელია, მაგრამ მჯერა, საქართველოს ეს კუთხე მომავალშიც შეინარჩუნებს იერსახეს.

ესეც ჩემი სამეგრელო.

ჩემი აჭარა

ზღვაში ჩაგდებული მარგალიტი, რომლის ამოღება ბევრს სწადია, ქინქლებივით ესევიან, მაგრამ ითრობიან და თავი ველარ წამოუწევიათ. მზის სინათლეს ნახავს მარგალიტი, კიდევ უფრო გაიზრდება, გაკაშკაშდება და დაერევიან ერთმანეთს ის ქინქლები.

ზოგჯერ მაინც ვეშაპზე გადამჯდარ დევკაცს მომაგონებს აჭარა, თავაწყვეტილი რომ მოჰქრის და არ ეშინია ზღვის ცხენის რბოლვის.

ჩვენი აჭარაა, არ უნდა გაგვიკვირდეს.

ჩემი აფხაზეთი

დაჭრილი ლომი.

წინა ფეხებით წამოჩოქებული, ღვარად გამოსული სისხლი. ერთვის ენგურს და ავსებს შავ ზღვას. შავი ზღვაც, უმალ ლაჟვარდოვანი ზღვა რომ უნდა ერქვას, განსაკუთრებით მოსძალებია ამ მადლიანი კუთხის ნაპირს, მდორედ და ღრმად მიჰკერია ზედ, საგანგებოდ გათანგულა მის ნაპირთან, გულდაგულ ელოლიავება იქ მისულ ადამიანს. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი კამკამა წყალი ელამუნება კენჭოვან ნაპირს, ამაოდ ეალერსება მაშვრალის სხეულს და კეთილი ასულივით ეფერება დიდსა თუ პატარას. შეიძლება მალე წითელი ზღვა დაუძახონ, შავს წითელი ამჯობინონ.

აფხაზეთი. ყველაზე დიდი იარა და ტკივილი. თითქოს გამოჩნდა ლომის მკურნალი, უნდათ გაამთელონ ჭრილობა, შეაჩერონ სისხლი. სიტყვით ამას ამბობენ, სინამდვილეში კი უფრო აღრმავებენ ჭრილობას.

... ბიჭვინთა! სადღაა ლიველივა ყურე და საუკუნოვანი ფიჭვნარი, ერთ დროს ადამიანის მარჯვენით გამშვენიერებული. ალბათ გაბარდული და მოუველლია საუკუნეებით შემონახული ბიჭვინთის ტაძარი, ჩვენი მშობლიური მხარის გარდასული აებედითობისა თუ ამაღლების მოწმე და მემატიანე.

ჩემი სვანეთი

ფენიქსივით კუშტად მზირალი.

უშბა. ცას შეყენებული ვეება ყინულის სვეტი.

საკარცხული, ქართული სულის ზიარება, წინაპრების პატივისცემა, სისხლის ალების წესი, სვანური „ლილე“.

აქამდე შეუვალი. იცის ახლადმოვლენილმა მტერმა, რა უნდა წაართვას ქვეყანას, რომ თავისთავადობა დააკარგვინოს. ამიტომაც წინაპართა ადათ-წესებს შეუტია. ყინულიანი სვეტის დადნობას ცდილობენ.

თუ გადაურჩა, თუ იცოცხლა!

აქ უნდა დაიბადონ ჭეშმარიტი ქართველები, გმირები.

ენგურს უნდა ჩამოჰყვეს ჩვენი მომავალი, მერე რა მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმინებით ელოდება ორ ხლვას შორის არსებული ქვეყანა!

ესეც ჩვენი სვანეთი, სვანური კოშკი და მასში ჩატეული ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალა.

ჩემი რაჭა-ლეჩხუმი

ჩემი თაკვერი. ნიკორწმინდის თეთრი ტაძარი, სულს რომ აგიფორიაქებს და მის აღმშენებელთა ხილვას განატრებინებს.

წარმოვიდგინე, ჩემს თვალწინ გადაშლილი მინდორი, აბიბინებული მწვანე ბალახით. უამრავი ნიკორა ძოვს ბალახს, ხანდახან ფაფარი ექოჩრებათ, აიყალყებიან, ერთმანეთს წიხლებს მისცხებენ, მაგრამ მალე დაცხრებიან, დამშვიდდებიან, ერთმანეთს გადააჭდობენ ყელს და ადამიანებივით მოეფერებიან. წმინდანებივით შეუნდობენ ერთმანეთს წყენას. ალბათ, ამიტომაც დაერქვა იმ ადგილზე აშენებულ ტაძარს ნიკორწმინდა. ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. რეალობა კი სულ სხვა.

შოვი. ბუმბერაზ მთათა საოცარი მხედრობა, რაჭის ყველაზე მაღალი ადგილი.

შაორი. თვალის მშვენება. დილით ზურმუხტისფერი, საღამოს – ფირუზისფერი ხელუხლებელი ქმნილება.

დღეს დაცარიელებულია რაჭა. უჭირს. მთის ფერდობებზე შესკუპებული ოდა-სახლებიდან მხოლოდ მოხუცები იცქირებიან. ელიან უკეთეს მომავალს...

ჩემი ქართლი

ფუძე-ძირი ჩემი ქვეყნისა. ალალი და გულუხვი. უპრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტენზიო და გაუპრანჭავი. ხორბლის ყანებით გადაჭედილი, ვაშლით და მსხლით ქებული. მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრე, მრავალჯერ გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, ფენიქსისებურად ფერფლიდან აღმდგარი და კვლავ მოფუსფუსე.

იბერია. ფარნავაზი. მცხეთა.

ვახტანგ გორგასალი და თბილისი.

ძველი თბილისი. ორთაჭალის ნაბაღნარები-თბილისური ბოჰემისა და ყოველნაირი შთაგონების გარდასული სავანე... შრომის, წამების, ღრეობის, ენებათა მოზღვავების წარსული... მუშტი-კრივისა თუ დამცირება-ამაღლების ორთაჭალა... ვინ იყვნენ ის ორნი, რომელ ორს ეკუთვნის ის ჭალა? იქნებ ორი არსების დაწყვილების ჭალად იყო დათქმული ეს ადგილი და იქნებ მისი სახელწოდებაც სწორედ იმ თბილისური ბოჰემით იღებს სათავეს?!

... ორთაჭალელები მადლიანად ახმიანებდნენ ქვეყნად განუმეორებელ მუსიკას თავიანთი გაბმული ამოძახილით: „მაწონი, მაწონი, ქოთნის მაწონი“, „ნახშირი, ნახშირი“...

ხმათა ის ჰარმონია ჩაჰბარდა წარსულს – ვიღას უნდა ის ნახშირი, სადღაა მაყალი, აღარც მიკიტანი, აღარც კინტო, „ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს, თავის დუქანთან მიბმული ყოჩით!“ – უთქვამს ძველი თბილისის მოტრფიალეს იოსებ გრიშაშვილს.

შიდა ქართლი. სამაჩაბლო. ოსთაგან მოტაცებული მიწა – მზითვად გატანებულად რომ თვლიან. მტრისას ასეთი მზითვი. შიდა ქართლიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება ბაგრატ მესამემ. იქნებ ისწავლონ ქვეყნის მესვეურებმა წარსულით მომავლის წინასწარმეტყველება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ჩემი ქართლი, ქართული მზით, ნათქვამ-უთქვამით, გამხელილ-გაუმხელელი ფიქრებით.

ჩემი კახეთი

საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი. კავკასიონის ძუძუთი ნაკვები. ცივ-გომბორის მთა, ნამგალივით გაწოლილი და მოზნექილი დასავლეთისკენ. ალაზანი და იორი - ვერცხლისფრად, დინჯად მიიზლაზნება.

რქაწითელი და საფერავი. მათ წიპწაშია ჩათესილი საქართველოს მომავალი. შინდი და ატამი. საზამთროში ჩატეული მსოფლიო.

თბილი სიმღერა და როკვა. კახური „მრავალჟამიერი".

გრემი და ალავერდი - პაპისპაპათაგან დატოვებული საუნჯე. ბახტრიონი. წარსული დიდების ნგრეული ნაშთი. ბიძინა ჩოლოყაშვილი, წმინდანად შერაცხული ქეთევანი - ქრისტიანობის „ბალზამი".

თეიმურაზ პირველი და ერეკლე მეორე ბედის გრიგალით მკლავმოტეხილნი რომ უცქერენ ოცდამეერთე საუკუნეს...

კახეთი - ჩვენი ზიარება...

ჩემი ფშავი

ულამაზესი გოგონაა, ახლად ათქვირებული, ლიღილოს მსგავსი და იის სურნელით. ფშავი წაწალია, სიყვარულისთვის აღერებული ქალიშვილია.

წაწლობა ძველისძველია, ზესიყვარულია, კაცთა სატანჯველად რომ გაჩნდა, გაიდგა ფესვები და სამუდამოდ ჩადულაბდა ფშაველის გენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა წაწლობის წესი მოიკითხე. წაწლობის დროს მთავარია მოგწონდეს, სწორედ ის უნდა ამოირჩიო და აგრძნობინო, რომ გიყვარს. ადათი უფლებას გაძლევს გვერდით მიუწვე რჩეულს, მკლავზე დაიწვინო წაწალი, მაგრამ ფეხები და მკერდი არასდიდებით არ უნდა მიაკარო, ვნება უნდა გამორიცხო. ხომ შეიძლება ღმერთი გაუწყრეს, ხომ შეიძლება, შეცდნენ. არ აპატიებენ: ან ჩაქოლავენ, ან სამუდამოდ მოკვეთენ თემიდან.

ფშავი უძველესი ქართული კუთხეა, თავისუფალი, შრომისმოყვარე, რომელმაც დღემდე, ოცდამეერთე საუკუნემდე მოიტანა წინაპრების სუნთქვა. მთას ბატონი და ყმა არ ჰყოლია – ყველა თავისუფალი იყო. მარტო ზურაბ ერისთავი ცდილობდა მთის დამორჩილებას, მაგრამ ვერ შეძლო ვერც ადამიანების, ვერც განმტკიცებული ტრადიციების დამორჩილება.

და მოვიდა უბატონო ფშავის უბატონო ფშაველი და ზვავივით ჩამოწვა საქართველოში. ეს ვაჟაა. ჩვენი სიამაყე, დიდება და საუნჯე.

ფშავი იყო, არის და იქნება ის კუთხე, სადაც ეტეოდა ერებს შორის სიყვარული, ქვეყნისთვის თავდადება და საოცარი ტრაგედიაც, როცა ყელში ხანჯალს გიყრიან, მოდის სისხლი, მაგრამ შენ მაინც გაიძახი, „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“, არ ეწირები უცხო რჯულის მკვდარს, შენ შენი წინაპარი და შენი სალოცავი, შენი რჯული გაგაჩნია.

ევრიპიდეს ტრაგედიებს დაიტევდა ფშავი. დაიტია კიდეც, ეს მეოცე საუკუნის ტრაგედია იყო, სადაც ალარც და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნდობაა, ალარც კაცობა, ალარც ზნეობა. სისხლმა გადააწ-
ითლა ვეება კლდეები. ახალი თემი, წითელი თემი ფშავ-
ელთა თემზე უარესი გამოდგა. არც დღეს ულხინს ფშავს.
ნელ-ნელა ცარიელდება...

ჩემი ხევსურეთი

ქვა-ღორღით შემოსალტული დევების საბუდარი.

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე მიყუდებული პი-
რაალმასებული ხმალი.

უდუღაბოდ ნაშენი კოშკებისა და სახლების მხარე არა-
გვის დედა, ნისლების საბანი.

საუკუნეების მანძილზე საქართველოს თითქმის ყველა
კუთხემ განიცადა სახეცვლილება, მაგრამ ხევსურეთი მო-
დის წარსულიდან, არ იცვლის ნირს, ადათ-წესებს, მოდ-
ის და მოფარიკაობს.

მოდის უწმინდესი ხევისბერებით, მოდის ლოცვა-კურთ-
ხევით. ხევსურეთი, ლექსის ულევი მადანი. ვაჟას მიერ აღ-
მოჩენილი სამყარო. ფშავივით თავისუფალი, ლაღი და უბ-
ატონო. ტყუპებივით ერთმანეთის მსგავსი. ამიტომაც ხშირ-
ად ერთი სახელით - ფშავ-ხევსურეთით მოვიხსენიებთ.

ესეც ჩემი ფშავ-ხევსურეთი, ჩემი ფხოვი.

ჩემი ხევი

მყინვარწვერი. ულამაზესი მთა, ზამთარ-ზაფხულ ყინუ-
ლიანი, ცივი და მიუკარები, ადამიანივით რომ ფიქრობს და
ზოგჯერ მეტყველებს კიდეც.

მყინვარწვერს უჭირავს საქართველოს ზეცა მხრებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტანივით მხრებით შესდგომია და უძლებს სიმძიმეს, ყინულზე მიყუდებულ ამირანის თავსაც უძლებს. მყინვარის უხილავ ნაწილზე ვეება ბუდეა, რომელშიც ამირანის არწივი ბინადრობს და თუ საქართველოს უჭირს, საოცარი ხმით ყივის.

მყინვარის ძირში კი ხევია, სადაც ამირანის ნაშიერი ცხოვრობს.

დიდებულია ხევი: ბუდე ლეგენდათა, ლექსთა და ზღაპართა.

ხევი დარიალია, ეიწრო გასასვლელია, მოყვრისთვის შარაგზაა, მტრისთვის მიუვალი პიტალო კლდეა.

თერგი აქაფქაფებული ლუდია...

ხევი ჰყეფს, ხევი ჩატირის, მოხევურს ცეკვავს. ტკბება საკუთარი მშვენიერებით...

ესეც ჩემი ქართლის მთიანეთი.

აი, საქართველოს კუთხეები, ერთმანეთისაგან განსხვავებულნი, ერთმანეთს დაშორებული მთა და ბარი. ასევე ჩამოშორებული უძველესი კუთხე აფხაზეთი, სახელმწიფოებრიობას თამაშობს, ავიწყდება ფესვები, მაგრამ სად წავა, დუნიაზე ერთი გოჯი მიწაც აღარ დარჩა დასასახლებელი.

ამიტომაც ჭირდა საქართველოს გაერთიანება, ამიტომაც ჭირს დღესაც ქვეყნის გამთლიანება...

ჩემი საქართველო, ჩემი გორაკი!

გორაკზე პატარა ბიჭი, თაფლისფერთვალება, ნათელი სახის, მომავლისაკენ მიმართული გამჭოლი მზერით. არ იცი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად გაიხედო და რომელ მხარეს. ყოველი მხრიდან სილ-ამაზე გჭრის თვალს, გაბრმავებს და გადაყავხარ იდუმ-ლების სამყაროში, სადაც უმალ ჯადოსნური ქვეყნის გმი-რად იქცევი.

ჩემი გორაკი!

როგორ მაფიქრებს, როდესაც ვუცქერ ჩემს თავს აღ-მართულ სალოცავს, რომელიც ნაზად წამოსკუპულა ხატიმამულის ფერდზე, საიდანაც გადაშლილია იდუმ-ალი ქვეყნიერება, გამვლელს რომ შეაჩერებს და უხ-მობს თავისკენ. თვალი უფრო შორს გამირბის და ნა-თლად ვჭვრეტ თვალსაწიერში ჩემი ქვეყნის დიად ბუ-ნებას და ისტორიას, ერთმანეთში გადაკვეთილს, ასე რომ ამაღლებენ ჩემს სულს.

თეთრღელე! ერთ დროს ჩხრიალა, სუფთა, ჩაყუდებული ლოდებს შორის. როცა ბუნება ღამის წყვდიადში ჩაიძირ-ება, მისი ჩხრიალი უფრო მძაფრდება და იდუმალი ჰარმ-ონია იპყრობს ყურთასმენას.

ნაპურადევის ციხე! აქ გაუვლია დიდ მეფეს ვახტ-ანგ გორგასალს. სტუმართმოყვარე სვირელებს მეფის პატივსაცემად პურ-მარილი სალოცავის მახლობლად, მთის ძირში ამაღლებულ ადგილზე გაუშლიათ. მეფეს მოსწონებია ეს ადგილი და წასვლის წინ უბრძანებ-ია, - აქ ციხე უნდა აშენდესო. ციხე მართლაც აუშ-ენებიათ და თითქოს მისთვის ნაპურადევის ციხე უწ-ოდებიათ. დღეს მისი კედლები და მდინარეში ჩასას-ვლელი გვირაბი დანგრეულია, მაგრამ ჩემი სოფლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსული სიამაყით მავსებს.

ხატიმამულის ფერდობზე მიტოვებული, გუმბათჩამოქცეული საყდარი მთხოვს, მოდიო ჩემთან და ამავე თხოვნას იმეორებს მთავარანგელოზი, წინაპართა ჩემთა მფარველი და გადამრჩენელი. ავრბივარ, ჩემი ოცნება მასშია ჩაკრული.

„ხალხის მამებმა“ დამინგრიეს სალოცავი. ღვთის სახლი, როგორი უტყვი შეგებებია ანტიქრისტეებს, ყველა გვარში თითო მაინც რომ გამოერევა. ინგრევა ჭერი, დრტვინავს მრევლი და ამ ნგრევაში ამაოდ ისმის გალობა და ღმერთის მოხმობა.

როგორ ვოცნებობ ყოველ აღდგომას, გადავირბინო გორაკები, აღმართ-დაღმართი, დავასწრო ყველას და წინაპართა სულის გასანათებლად მათ საფლავზე წითელი კვერცხი გადავაგორო.

მიაპობს დროს წეროთა გუნდი. დენთის სუნით გაჟღენთილი ჰაერი. დიადი საქმისათვის დაღუპული ათასები და უამრავი ხეიბარი.

ღმერთო, გმადლობ, რომ გამაჩინე საქართველოს ცის ქვეშ და დამაყენე ამ გორაკზე – ჩემს გორაკზე, სადაც ჩემი ფიქრთა გრეხილი აიშლება ხოლმე ჩემი საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, სადაც ერთმანეთში გადაიკვეთება ხოლმე თანამდევი, მაცოცხლებელი ნუგეში და იმედი. ბრწყინავს ჩემი ხვალე, ჩემი იმედი, ჩემი საქართველოს უკეთესი მერმისი.

ამოდის, ნათდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლუკა კურდღელია
მეექვსეკლასელი
ფოთის 1-ლი სკოლა

ლილა-ლურიცა ვეფხვისტყაოსანში

საქართველო გუშინ, დღეს, ხვალ - რამდენს აწუხებდა ან ახარებდა, ტკიოდა და ეიმედებოდა ამაზე ფიქრი-გუშინაც, დღესაც და ასე იქნება ხვალაც.

საქართველო გუშინ, დღეს, ხვალ - ესაა:

გამარჯვება-დამარცხება,
ერთგულება-ღალატი,
ალმაშენებელი-მნგრეველი,
საქმიანი-უსაქმური,
კეთილი-ბოროტი.

მაგრამ კეთილი და საიმედო, ერთგული და პატიოსანი ერთით მეტი მაინც იყო ყოველთვის და ამიტომაცაა, რომ გადავრჩით, ვართ და ვიქნებით.

აბა, მე ჯერ რა მინახავს და რა გამიგია ისეთი და იმდენი, რომ ფილოსოფიური, ბრძნული წიაღსვლები გავაკეთო წარსულზე, შევძლო დღევანდელის შეფასება მომავლის მიზნებიდან და მომავალიც განვჭვრიტო დღევანდელი ყოფით.

მე ერთი ვიცი მხოლოდ, მე ერთში ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს წარსულიც, აწმყოც და მომ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავალიც დედაზე იყო დამოკიდებული, დედა იყო საძირკველი, დვრიტა იმ დიდი სულიერებისა, ვაჟკაცობისა, თავგანწირვისა, რომლითაც ქართველები სამშობლოს პატრონობდნენ.

გუშინ:

ჩვეულებრივი ქართული ოჯახი.

ბებია და ბაბუა,

მამა და დედა,

ბევრი შვილი... მეტიც უნდათ...

მამა ხან ვენახში,

ხანაც ომში...

დედა – შვილებთან.

შვილები ჯერ დედასთან, მერე მამასთან ერთად

ხან ვენახში,

ხანაც ომში...

– ქუდზე კაციო, – იტყოდა მეფე და სახლში მხოლოდ ქალები რჩებოდნენ.

– სამშობლო და შვილები კარგად მიმყოფეო, – ლოცულობდა დედა და მერე სამშობლო კარგად იყო, დედა შვილს დასტიროდა და რატომღაც ამაყი იყო, წელში გამართული, სევდიანი, მწუხარე და მაინც გაუტეხელი.

იყო ბევრი ომი საქართველოში, მეტი მომხდურებთან, ხანდახან შინაურთანაც. პირველი ომის დროს დედას შვილებთან ერთად შურისძიების, გამარჯვების წყურვილი ჰკლავდა, მეორე ომის დროს კი სტკიოდა.

ასე იყო მაშინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს:

ჩვეულებრივი ქართული ოჯახი.

ბებია და ბაბუა,

მამა და დედა,

შვილები-ან ერთი, ან ორი,

ი შვიათად მეტიც.

მამა-სახლში უსაქმოდ, ნაღვლიანი.

დედა-გარეთ, დაღლილი, ნაღვლიანი.

შვილები-არ იციან რატომ,

რისთვის, როდემდე.

შვილები და მამები-ზოგი აფხაზეთში, ზოგი სამაჩაბლოში,

ზოგი უბანში - შემთხვევით ან შეგნებულად - სასიკვდილოდ განწირული.

ომი საკუთარ ხალხთან,

ოჯახთან,

თავთან.

ომი, რომელსაც გამარჯვებული არ ჰყავს, ომი, რომელიც ყველას სტკივა - მარტო დარჩენილებს, საკუთარ თავთან დარჩენილებს, იქნებ რცხვენიათ კიდეც აქაც და იქაც.

ეს დღესაა, მაგრამ დღესაა ესეც:

დედას ეიმედება შვილის აწმყო, დედას ეამაყება შვილის ჯარისკაცობა, დედას უხარია, რომ რაც არ ან ვერ უთხრა, რაც შეგნებულად ან შეუგნებლად დაუმალა შვილს - სამშობლოს ეკუთვნის შენი სიცოცხლეო, - სისხლმა უთხრა, გენმა ესეც უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეგიძლია საქართველოვ,
გევალება საქართველოვ!
გაგიმარჯოს საქართველო!“
დიახ ეს დღესაა...
ხვალ?!
ხვალ:
ჩვეულებრივი ქართული ოჯახი:
დედაჩემი და მამაჩემი,
მე და ჩემი მეუღლე,
შვილები – ბევრი, რასაც ღმერთი მომცემს.
შვილების მეგობრები ჩაჩბა და ლომიძე, ჩოჩიევი და აკოფიანი, ციციშვილი და ალიევი...
ყველანი ერთად–სტუმრად და მასპინძლად სოხუმშიც და ცხინვალშიც,
ახალქალაქშიც და გაგრაშიც,
თბილისში.
ბევრი ქორწილ–ძეობა და სიხარული აქაც,
იქაც და იქაც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თათია ადამაშვილი
მეცხრეკლასელი
თბილისის 47-ე სკოლა

მოიცვენა, რომ ცამეზიდოთ ლაჯვარედინა

ერც ისეთი ძნელი ყოფილა სამშობლოს დატოვება. ორ საათში მოსკოვში ჩავფრინდები. ცოტა ხანს მომიწევს ქალაქში ხეტიალი. რა ვქნა, პირდაპირი რეისები ამ კვირაში არ იყო. ეგ არაფერი... წვრილმანია... თუ გულმა არ გამიწია, აეროპორტიდან ფეხსაც არ გავადგამ. ვიჯდები და უცხოურ ჟურნალებს დავათვალიერებ. ბარგიც კი არ მაქვს. არაფერი წამომიღია. არ მინდა რამემ საქართველო გამახსენოს. აქეთ აღარასოდეს გამოვიხედავ! – ამ ფიქრით გულდამძიმებულმა გიორგიმ ცალი თვალი გააპარა თვითმფრინავის ილუმინატორიდან ძირს. თითქმის აღარაფერი ჩანდა, თუმცა იცოდა, რომ ის, რასაც ღრუბლები უკვე ზემოდან მოქცეოდა, საქართველო იყო. კიდევ ერთხელ ჩასწყდა რაღაც გულში, მაგრამ ისევ შეეცადა საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ არაფერს ნანობდა. ხუმრობით სკიპიონის ეპიტაფიაც კი გაიხსენა: „უმადურო სამშობლოვ, ჩემს ძვლებს ვერ ეღირსები!“ შეეცადა, გაეცინა, მაგრამ მწარე ღიმილმა მხოლოდ ტუჩის კუთხე შეუთამაშა.

გიორგის ბოღმა არ ასვენებდა. ახსენდებოდა, როგორ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ატკინეს გული, როგორ დაჩაგრეს. ბავშვობიდან ვარჯიშობდა. ფიზიკურად ძლიერი იყო, ჯანმრთელი, შრომისმოყვარე. კარგი სპორტსმენი დადგა. მარტო თავის სოფელში კი არა, მთელ რაიონში ბადალი არ ჰყავდა. თავის წონით კატეგორიაში ყველას სჯობდა. მასავით ვერავინ ჭიდაობდა, მაგრამ რატომღაც ისე არ ჩანდა, როგორც, მისი აზრით, იმსახურებდა. გიორგის მშობლებს იმდენი ფული არ ჰქონდათ, რომ ყოველთვის გაეშვათ საერთაშორისო შეჯიბრებებზე, საუკეთესო მწვრთნელისთვის ჩაებარებინათ და სათანადოდ მიეხედათ. ბიჭი ხედავდა, რომ სხვა სპორტსმენებზე მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ და გრძნობდა, რომ მალე შეიძლებოდა სხვებს ეჯობნათ მისთვის.

გიორგი არც ისეთი ალალი და გულღია ადამიანი იყო, რომ გულში ბოღმა არ ჩაედო და თვითონ გამოეჩინა მეტი გულმოდგინება. ერთ დღეს მწვრთნელთან წაკამათდა. შინ მისული მშობლებს ეჩხუბა. უსაყვედურა, რომ სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. გამწარებულმა გადაწყვიტა, სხვა ქვეყანაში წასულიყო, სადაც მის ნიჭს დააფასებდნენ და წარმატების მიღწევაში დაეხმარებოდნენ. ნათესავებისგან ფული ისესხა და ტურისტული მარშრუტით უცხოეთში გაემგზავრა.

გამწარებული იჯდა გიორგი თვითმფრინავში. იცოდა, რომ წესიერად არ იქცეოდა, კანონი უნდა დაერღვია და უცხო ქვეყანაში დარჩენილიყო, მაგრამ ცდილობდა, სინდისის ქენჯნისთვის თავი დაეღწია, – მაშ, როგორ უნდა მოვქცეულიყავი?! საზღვარგარეთ წასვლის ნამდვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიზეზი რომ გამემხილა, ადვილად არ გამიშვებდნენ. ახლა კი ჩავალ, იქაურ მთავრობას ჩავბარდები, ვიტყვი, რომ ხელს არ მიწყობდნენ, მჩაგრავდნენ და დახმარებას მოვითხოვ. ღალატი ჰქვია ამას? სულაც არა! ღალატი ის იქნებოდა, რომ... ის იქნებოდა, რომ... – გიორგიმ ვერ მოიფიქრა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მშვიდობიანობის დროს სამშობლოს ღალატი, – ის იქნებოდა, რომ ომის დროს ქვეყანა გამეყიდა, – გაახსენდა უცებ, მაგრამ მიხვდა, რომ მისი მსჯელობა ყალბი იყო. – სხვაგვარად წარმატებას ვერ მივაღწევდი, – გულდაწყვეტით თქვა ბოლოს და შეეცადა სხვა რამეზე ეფიქრა.

* * *

ბედი, თორემ შეიძლებოდა, სულაც არ გამართლებოდა უცხო ქვეყანაში ჩასულ გიორგის. რამდენი მისნაირი სპორტსმენი, მუსიკოსი თუ მეცნიერი იყო, საზღვარგარეთ წასულებს ოცნების კოშკები რომ დაემსხვრათ და მტვირთავებად ან მრეცხავებად მუშაობდნენ...

გიორგი კი ჩასვლისთანავე ისეთ ადამიანს შეხვდა შემთხვევით, რომელმაც მისი ნიჭი დააფასა, უპატრონა, ფულით დაეხმარა, კარგ სპორტულ კლუბში მიიყვანა, საუკეთესო მწვრთნელი და მასაჟისტი აუყვანა, ფსიქოლოგი დაუქირავა და ყველა პირობა შეუქმნა სავარჯიშოდ. გიორგი გალაღდა, სულ სხვა ადამიანად იქცა. ნათესაებს ვალი დაუბრუნა, მშობლებსაც გაუგზავნა ცოტაოდენი ფული. თვითონ კი თავდაუზოგავად ვარჯიშობდა. ყველა პირველობა მოიგო, უდიდეს წარმატებას მიაღწია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასობაში რამდენიმე წელი გავიდა. ოლიმპიური სეზონი დაიწყო. ყველა ოლიმპიადისთვის ემზადებოდა. გიორგის ეჭვიც არ ეპარებოდა მომავალ წარმატებაში. წინასწარ ზეიმობდა, ფრთაშესხმული იყო. მისი აღტაცება პირველად ოლიმპიადის გახსნამ გაანელა, როდესაც საქართველოს დროშის ქვეშ სხვა დელეგაციამ ჩაიარა ამაყად, მას კი წინ უცხო ქვეყნის დროშა მიუძღოდა. – ეგ არაფერია, – თავი დაიმშვიდა გიორგიმ, – მთავარი პიროვნული წარმატებაა. დაინახონ, როგორ მოვიგებ ყველა ბრძოლას!

ბრძოლები, მართლაც, მშვენივრად ჩაატარა. არც ერთხელ არ დამარცხებულა. თუმცა გული დასწყდა, ქართველ მეგობრებს რომ შეხვდა. მათ სხვანაირად უბრწყინავდათ თვალები.

ფინალურ ბრძოლაში ქართველი მეტოქე ჰყავდა. ძალიან დაძაბული შეხვედრა იყო. გიორგის გულშემატკივრები ამხნევებდნენ, მაგრამ ბიჭს გულისყური იმ ტრიბუნებისკენ ჰქონდა, საიდანაც მისი მეტოქის სახელს გაიძახოდნენ მშვენიერი ქართველი გოგონები. საშინელი გრძნობა დაეუფლა, მაგრამ თითქოს ძალა მოემატა. ძირს დაანარცხა მოწინააღმდეგე და მოეჩვენა, რომ საქართველო დაამარცხა.

ატყდა ერთი ამბავი, მსაჯმა გამარჯვების ნიშნად გიორგის მარჯვენა ასწია. ააფრიალეს უცხო ქვეყნის დროშები. გამარჯვებულს თვალი ქართველებისკენ გაექცა. სიხარული ვერავის სახეზე ვერ ამოიკითხა. ერთი ლამაზი გოგონა ტიროდა კიდეც. გიორგის ძალიან მოუნდა, ამ გო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონას მისთვის დაეღვარა ცრემლი, ნატრობდა დამარცხებულის ადგილას ყოფნას. უცებ გაახსენდა მოგუგუნე ტრიბუნები, უცხოელი მხარდამჭერები, პასუხისმგებლობა იგრძნო და მიხვდა, რომ მათთვის ხელი უნდა დაექნია.

დადგა დაჯილდოების დროც. გიორგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შეაყენეს, დაფნის გვირგვინით, ოქროს მედლითა და ყვავილებით დააჯილდოვეს, მის თავზე უცხო ქვეყნის დროშა აღმართეს და შეასრულეს ჰიმნი, რომელიც გიორგის სისხლს არ უჩქროლებდა. იდგა გამარჯვებული ბიჭი, რამდენიმე წამის განმავლობაში ათასმა ფიქრმა და გრძნობამ მოიცვა. მადლიერი იყო თავისი უცხოელი მწვრთნელისა, იმ ქვეყნისა, რომელიც წარმატების მიღწევაში დაეხმარა, მაგრამ, ამავე დროს, თვალიდან არ ეკარგებოდა იმ მტირალი გოგონას სახე, ახსენდებოდა მშობლები, რომლებსაც, ყველაფრის მიუხედავად, გაუხარდათ შვილის გამარჯვება. იდგა გიორგი – გამარჯვებული და თან დამარცხებული, მადლიერი, შინაგანად გაზრდილი, საკუთარ თავში დარწმუნებული. ხვდებოდა, რომ მისი დაჩაგვრა სამშობლოში არავის უფიქრია. უბრალოდ, ასეთი იყო ცხოვრება. რცხვენოდა ქართველი მწვრთნელის, მშობლების, თანაგუნდელების. ახლა უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, არც შემდეგ ოლიმპიადაზე ეყოლებოდა ბადალი. იდგა და საქართველოში დაბრუნების გზაზე ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბინა რუსტამოვა
მეშვიდეკლასელი
გარდაბნის აზერბაიჯანული
სკოლა

ვნწავლობ განკერლს და ჩოტთავერს

Ძირო ცისფერი ცა... მშვენიერი, ლამაზი ბუნება... ხალხი ლაღი და გულღია... ქვეყანა, სადაც სტუმარი ყველაზე ძვირფასია.

მე უსაზღვროდ მიყვარს საქართველო, ჩემი სამშობლო. ჩემი ოცნებაა მოვიარო იმერეთი და გურია, რაჭა და სამეგრელო, სვანეთი და სამაჩაბლო, ქართლი და კახეთი, თუშეთი და ფშავ-ხევსურეთი, აჭარა და აფხაზეთი.

ლამაზია ჩემი სამშობლო. ჩემი საქართველო მსოფლიოს მარგალიტია. მწვანედ შემოსილი მთები ამაყად აყუდებულან. ღრუბლები შემოსკუპებულან ცაზე, ცისარტყელა გადაჭკვრია ზეცას.

მე მინდა ამაყად და ყველას გასაგონად ვთქვა, ჩემი სამშობლო საქართველოა. მე ეროვნებით აზერბაიჯანელი, მზად ვარ ვემსახურო ჩვენს ქვეყანას.

თანაბრად ვსწავლობ და ვითავისებ ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის სიბრძნეს, ფიზულისა და ილიას პოეზიას. სამშობლოს სიყვარული ხომ ლიტერატურის შესწავლით იწყება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდაბნის რეგიონი ურთულესია. აქ, ამ პატარა ქალაქში ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ, ვშრომობთ და ვაშენებთ ახალ საქართველოს აზერბაიჯანელები და ქართველები, რუსები და სომხები...

ჩემი ოცნებაა უფრო ღრმად გავეცნო და დავეუფლო საქართველოს ისტორიას, ქართველთა გმირ წინაპრებს. მაინტერესებს, როგორ მოაღწია ამდენი ისტორიული ქარტეხილების გადამკიდე ამ უძველესმა ერმა დღევანდლამდე.

მე ერთი აზერბაიჯანელი გოგო ვარ, ვეუფლები ქართულ ენას და ვცდილობ პატარა წვლილი შევიტანო ჩვენი ქვეყნის შენებაში.

მინდა დავიჩოქო და შევთხოვო უფალს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ბედნიერება და კეთილდღეობა, დღეგრძელობა და გამარჯვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირინა ხაჩატუროვა
მეხუთეკლასელი
თბილისის 136-ე
რუსული სკოლა

ჩემი წინაპრების ქალაქი

ძალე თერთმეტი წლის გავხდები. დავიბადე და ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. დათვალიერებული მაქვს უმშვენიერესი საქართველოს სხვადასხვა კუთხე: ბორჯომის ხეობა – წაღვერი და ბაკურიანი, ულამაზესი ფასანაური, რომელიც მდებარეობს შავი და თეთრი არაგვის პირას, მაღალმთიანი გუდაური, თეთრიწყარო და სიონი. მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს თბილისი.

ხშირად მესმის ჩემი თანაკლასელებისგან, რომ სურთ სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში ცხოვრება. ზოგიერთმა მათგანმა უკვე დატოვა სამუდამოდ საქართველო. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც საინტერესოა სხვა ქვეყნების ნახვა, მაგრამ საცხოვრებლად მარტო თბილისს ავირჩევდი.

– რატომ? – ხშირად ვეკითხები ჩემს თავს. ალბათ იმიტომ, რომ ეს ჩემი წინაპრების ქალაქია. აქ დაიბადნენ და ცხოვრობდნენ ჩემი ბებიები და პაპები და მათი მშობლებიც. აქაა ჩემი ფესვები.

ჩვენი სასტუმრო ოთახის ერთ-ერთ კედელს ამშვენებს დედაჩემის პაპის ნამუშევრები. ერვანდ ქოჩარი გამოჩენილი მხატვარი იყო, შეყვარებული მშობლიურ თბი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლისზე. მის ფუნჯს მიეყევარ ძველი თბილისის უბნებში: უძველესი ციხე-სიმაგრე ნარიყალა, გოგირდოვანი აბანოები, მეტეხი, მოჩუხჩუხე მტკვარი მისი მაღალ-კლდოვანი ნაპირებით. ეს პეიზაჟები ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა.

დედა ხშირად მიამბობს ჩემს წინაპრებზე. მათ მშობლიურ თბილისზე, იმაზე, რაც გაიგო მათგან. ეს ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე და მე ვქმნი ჩემს წარმოდგენაში კოლაჟს, იმის მსგავსს, რომელსაც, სინამდვილეში, ჩემი ხატვის მასწავლებელი ბატონი რობერტი ჰქმნის.

იქ ვარ ფიქრებში, სადაც ცხოვრობდნენ ბებია, პაპა და მისი მშობლები, მათ სახლში განლაგებულ იტალიურ ეზოში, სადაც მუდამ თამაშობენ ბავშვები, მესმის მათი აივნიდან ქართულ-სომხურ-რუსული საუბარი. მე ვუსმენ მათ.

გადამაქვს ჩემს კოლაჟზე საოჯახო ალბომიდან აღებული ფოტოსურათები. უძველეს ფოტოს ვათავსებ შუაში. ამ ფოტოზე ბებიაჩემის დედაა - თბილისელი თეკლე.

თბილისი ისეთი ქალაქია, სადაც საოცრად ჩანს წარსულის და ახლანდელის შეხამება. მე კი, როცა ჩემს კოლაჟს ვქმნი, არა მარტო წარსულს ავსახავ, არამედ იმასაც, რითაც დღეს არის საინტერესო ჩემი თბილისი.

წარმოვიდგენ ხოლმე თბილისის შემოდგომის თბილ დღეს... ოდნავ შეეხო ფოთლებს ოქროსფერი და ვარსკვლავებით მოფენილი ლურჯი ცა, იგი ისეა ჩამოწეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გეგონება წამოედება სამების გუმბათს ან მოპირდაპირე მხარეს განლაგებულ წმინდა დავითის ეკლესიას.

მთაწმინდა... ჩემი ყველაზე საყვარელი ალაგია, აქედან ცის ფონზე ოდნავ გამოიხატება სამება, კარგად ჩანს მტკვარი და მეტეხი, მოშორებით კი ახალი ქალაქი მისი უბრალო არქიტექტურით.

მე თითქოს ღრუბლებს მივეწებე, ვუყურებ ქალაქს ზევიდან, როგორც ღრუბელი... ვუყურებ ჩემი წინაპრების ქალაქს, მესმის მათი ხმები თუ საიდან არიან, რითი იყვნენ დასაქმებულები, საით მიისწრაფოდნენ.

მივდევ მცნებას – იცოდე და გიყვარდეს შენი წინაპრები, რაც ნიშნავს იცოდე და გიყვარდეს შენი სამშობლო, ის ქალაქი, სადაც შენი ფესვებია. თავს ვხრი შენს წინაშე, ჩემო მშობლიურო თბილისო, გმადლობ, რომ არსებობ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიკო დაუშვილი
მეათეკლასელი
თელავის 1-ლი სკოლა

მეფე ლომი და მერცხლები

ოგორ ცხელა, თუ თავი ჩრდილს არ შევაფარე, დავიწვები, – თქვა ლომმა და ამაყი ნაბიჯით გაეშურა ბაობაბის ხისკენ. ლომს უკან მიჰყვა ორი ბოკვერი. ისინი თვალს არ აშორებდნენ მამას და მის თითოეულ მოძრაობას შეუცდომლად იმეორებდნენ.

– მამიკო, დღეს რატომ არ ჩანან მერცხლები? – იკითხა მოუსვენარმა ბოკვერმა.

– სად არიან? – აჰყვა მეორეც.

ლომმა ცას თვალი მოავლო, ბაობაბს მოშორდა და ბანანის ხეზე მოქანავე მაიმუნი შენიშნა. მაიმუნს პირი ბანანით ჰქონდა გამოტენილი და სიამოვნებისაგან თვალებს ნაბავდა.

– ეი, შენ, მერცხლები ხომ არ გინახავს? – გასძახა ლომმა მაიმუნს.

– მერცხლები? – ძლივს გახსნა პირი მაიმუნმა და ქანაობა შეწყვიტა, – მათ არ სცალიათ, მეფეო, მიფრინავენ.

– მიფრინავენ? მერედა სად?

– სამშობლოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– სამშობლოში? – ჩაფიქრდა ლომი, – მსურს მერ-
ცხლები ახლავე მომიძებნო და ბაობაბთან, ვეება ჩრდი-
ლში მომიყვანო!

– ბაობაბთან, ვეება ჩრდილში, – გაიმეორა მაიმუნმა,
დარჩენილი ბანანი პირში შეიჩურთა და მზით გახურე-
ბულ ქვიშაზე ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

მერცხლები სამშობლოში გასაფრენად ემზადებოდნენ.
მათ წინ გრძელი და დამქანცველი გზა ელოდათ. მაი-
მუნმა მდინარის პირას მიირბინა და ლომის დანაბარები
მერცხლებს გადასცა. გუნდის წინამძღოლმა თეთრგულა
მერცხლები ბაობაბისკენ გააფრინა. ლომმა ფრინველები
სიხარულით მიიღო და წინამძღოლს ჰკითხა:

– გავიგე, ჩვენგან წასვლას აპირებთ. ვინმემ ხომ არ
გაწყენინათ?

– რას ბრძანებთ, უბრალოდ სამშობლოში დაბრუნებ-
ის დრო დადგა.

– აქ, აფრიკაში, არაფერი გაკლიათ. არც საჭმელი, არც
სითბო. რისთვის მიფრინავთ ისეთ ქვეყანაში, სადაც ად-
რე თუ გვიან სიცივე დაისადგურებს და კვლავ უკან
წამოსვლა მოგიწევთ? არაფერი მესმის, – მხრები აიჩე-
ჩა ლომმა.

– საქმეც ეგ არის, მეფეო, აქ აფრიკაა, იქ კი საქა-
რთველო. პირველად ხომ იქ გავახილეთ თვალი, იქ ვი-
სწავლეთ ფრენა, იქ არის ჩვენი სახლი და კარი. ის ჩვე-
ნი სამშობლოა. ჯერ დილაა, დღესვე გაეფრინდებით.

– კი მაგრამ, აქაურ სავანეებზე, გაუვალ ტროპიკებ-
სა და ოაზისებზე ლამაზია თქვენი სამშობლო? უმადუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რები ყოფილხართ! – უკმაყოფილოდ დაიბუხუნა ლომმა.

– არა, მეფეო, აქაურობა ძალიან მოგვწონს, მაგრამ სამშობლო ყოველ ღამე გვესიზმრება.

– ვერსად წახვალთ, – იღრიალა ლომმა.

– იქნებ მართლა დავრჩენილიყავით, გზაში ხომ ბევრი ჩვენგანი იხოცება, ქარიშხლისა თუ კოკისპირული წვიმისას ზღვაში ვიხრჩვებით, – თქვა ერთმა მერცხალმა.

ლომს კმაყოფილება დაეტყო.

– მოემზადეთ, სამშობლოში მიფრინავთ! – დაიძახა წინამძღოლმა, მშიშარა მერცხალს წყენით გახედა და ფრთა-ფრთას შემოჰკრა.

– სამშობლოსაკენ! – ერთხმად იურიალეს მერცხლებმა და ბაობაბის ხიდან გუნდ-გუნდად წამოიშალნენ.

– მაშ, ჩემს სურვილს არ ემორჩილებით! – განრისხებულმა ლომმა ტორი მიწას დაჰკრა.

– სამშობლო ყველაფერზე ძლიერი და მშვენიერია! – თქვა წინამძღოლმა და ის-ის იყო ცაში უნდა აჭრილიყო, რომ ლომი უკანა თათებზე აიმართა და წინამძღოლს ტორი ძლიერად მოუქნია.

მერცხალმა ჰაერში შეიფრთხიალა და ნახევრად ფრთამოგლეჯილი ძირს დაეცა. თუმცა იმავე წამს კვლავ ზევით აიჭრა, მაგრამ წონასწორობა ვერ დაიცვა და მიწაზე გულაღმა დაენარცხა.

– ასე მოუვა ყველას, ვინც ურჩობას გაბედავს! – ამაყად თქვა ლომმა და სახეზე დამცინავი ღიმილი მოეფინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერცხალი ტკივილს არად აგდებდა და ცაში აჭრას ცდილობდა. ამ დროს წინამძღოლთან ერთი მერცხალი მიფრინდა და მოგლეჯილი ფრთის ქვეშ ამოუდგა. მერე სხვა მერცხლებიც წამოიშალნენ და წინამძღოლი ცაში ააფრინეს. მას წვეთ-წვეთად სდიოდა სისხლი, ცალ ფრთას თავგანწირვით ამოძრავებდა და ცდილობდა ძირს არ ჩამოვარდნილიყო. მერცხალი კი, რომელმაც დარჩენაზე თანხმობა განაცხადა, ახლა ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც წინამძღოლს გვერდში ამოსდგომოდა.

ლომი ამას არ ელოდა და ღიმილი სახეზე შეეყინა.

– მართლა ძალიან უნდა გიყვარდეს სამშობლო, იქ დასაბრუნებლად თავი რომ გაწირო, – თქვა ლომმა და წინამძღოლის სისხლით დათხვრილ მიწას დააცქერდა.

მერცხლები თვალს მიეფარნენ.

– ნეტა ყველა მათგანმა შინ მშვიდობით ჩაადწიოს, – ინატრა ლომმა და სინანულის ცრემლები ვეება ტორით მალულად მოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა თხზულებების კონკურსი

ჩემი საქართველო

ავტორი: დავით ლაზარიაშვილი.

სკოლა: აღმოავლეთის ეროვნულსახელოვნო ანსამბლი ფრ. შალვეა, ბაძანა ლია ელიოზაშვილის სახ. ქ. თელავის №6 საშუალო სკოლა.

კლასი: I კლ.

ჩემი საქართველო

საქართველო დიამანტია,
საქართველო მზისფერია,
საქართველო მაგარია,
საქართველო ლამაზია,
საქართველო ოთხკუთხედია,
საქართველო მდიდარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალისა ნიკიტინა
მეექვსეკლასელი
ფოთის №-12 სკოლა

ეს ჩემი საქართველოა

ვ აზავეხულია, ახლადამოყრილ ლორთქო ბალახს შესევია ცხვრის ფარა... სადღაც, შორს, ჰორიზონტზე, ცასთან ახლოს, მთის მწვერვალები ჯერ ისევ თოვლის სამოსელშია გახვეული... დაბლა, მთა-გორებზე შეფენილი ცხვარიც სითეთრეში ჩაკარგულა...

ირგვლივ სიწყნარეა... ხანდახან მწყემსის დაღლილი შეძახილი არღვევს სიმყუდროვეს... კავკასიური ნაგაზებიც იქვე თვლემენ... ეს ჩემი საქართველოა.

- ბელტი ბელტს ედება... ადრიანად დაუწყია გლეხს მიწასთან ალერსი... ეს ხომ მისი არსებობის ერთადერთი იმედია... დახნავს, დათესავს... მერე, ბარაქიანი და მადლიანი მიწა იმ ამაგს, ერთიორად გამრავლებულს, უკან დაუბრუნებს... მიწის სურნელი ტრიალებს ირგვლივ... ახლად დახნული მიწის სურნელი... ეს ჩემი საქართველოა.

ხმაური... ავტომანქანების გაბმული სირენები... სიცხისაგან ადუღებული ასფალტი... თვალისთვის მოუჩვეველი ნაგვის გროვები... ჯოხით ხელში მოფარფატე მოხუცი ქალი ნაგვის ყუთში იქექება... ალბათ, შია... იქ რალაცას ეძებს, ეძებს ნარჩენებს, ნამცეცებს, რომელმაც შეიძლება სიცოცხლე შეუნარჩ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნოს... ეს ტანჯული ცხოვრება გაუხანგრძლივოს... ნეტავ სჯირდება კი ასეთი სიცოცხლე?!... ეს ჩემი საქართველოა.

... ჰაერში სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავენ... ლამაზად ჩაცმულნი, სამხედრო ფორმებში გამოწყობილნი, „ტყვიას ტყვიაში აჯენენ", ცეცხლმოკიდებული სახლიდან ადამიანები გამოჰყავთ, მტრისგან მიტაცებულ ტერიტორიას იბრუნებენ... ვილაცა დაიჭრა, ვილაცა მოკვდა, ეს ქართული ჯარია, ეროვნული გვარდია, რომლის რიგითი ჯარისკაცი ხვალ-ზეგ მეც ვიქნები... ეს ჩემი საქართველოა.

მდინარე ენგური... საბედისწერო საზღვარი... გულდათუთქული, გაორებული ადამიანები მიმოდიან ამ ხიდზე... მიდიან და მოდიან... ისინი გამორეკეს, სახლ-კარი გადაუწვეს, შვილები დაუხოცეს. მაინც მიდიან და მოდიან... მთავარი ვერ წაგლიჯეს, ცოცხლად დარჩენილებს გული ვერ ამოგლიჯეს... საკუთარი მიწის სურნელება ვერ დაავიწყეს... ამიტომაც მიდიან და მოდიან... მიდიან სიხარულით, მოდიან დალონებულნი, თვალცრემლიანნი და მაინც იმედით აღსავსენი... ჩვენ დავბრუნდებით, ღირსეულად დავბრუნდებით!... ეს ჩემი საქართველოა.

წითელი ვარდების ზღვა ტორტმანებს, ღელავს... ახალი სიო ნელ-ნელა მძლავრობს... მერე ქარად და ქარბუხლებად გადაიქცევა... მსოფლიო ტაშს გვკრავს... ჩვენ ხომ პატარა, მაგრამ გაუტეხელი ერი ვართ... დიდი წინაპრების აჩრდილები გვეფერებიან... „თქვენ შეგიძლიათ, თქვენ მიხწევთ". საქართველომ ეს დამსახურა...

საჭიროა გაუტეხელი ნებისყოფა, მოთმინება, „ჭირსა შიგან გამაგრება", ერთიერთის დანდობა, მოყვასის სიყვარული!... იბერია გაბრწყინდება!...

ეს ჩემი საქართველოა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეონა შავშიშვილი
მეთერთმეტეკლასელი
მანგლისის 1-ლი სკოლა
თეთრიწყარო

რა მიავმხო ცოფლიან ძველმან გზამ...

ვაპანაქება სიცხისაგან გამომშრალ მიწას ალმური ასდიოდა. ჰაერში ცხელი მტვერი ტრიალებდა და სიცხისაგან ისედაც გათანგულ ხალხს ნესტოებს უფრო მეტად უწვავდა. გზაზე ფეხშიშველა ბიჭი მიდიოდა თავდახრილი. მტვერში ამოგანგლულ ფეხებს უხალისოდ მიატყაპუნებდა. უკან ენაგადმოგდებული ძაღლი მისდევდა. შიმშილისაგან გასავათებულს ფერდი ფერდს მიკვროდა და ძლივს მილასლასებდა. ბიჭიც მშიერი იყო. მაღალი და გამხდარი, ასე თოთხმეტიოდე წლის. შავი, გრუზა თმა შებლზე ჩამოშლოდა, სქელი, შავი წარბებიდან ყავისფერი, სევდიანი თვალები მოუჩანდა. სანთელივით გაფითრებულ სახეზე ეტყობოდა კარგა ხნის ნაშიმშილევი იყო.

ახლა ყველას უჭირდა. გაუთავებელი მონღოლური გადასახადების ულელქვეშ გმინავდა ერი, მშველელი კი არსად ჩანდა. მეფის კარი უთანხმოებას და ინტრიგას მოეცვა, თვითონ რუსუდანი კი თითქოს არც ნაღელობდა სამეფოზე. სილამაზით სწორუპოვარს და ჭკუით მცირეს, სიმტკიცე არ ჰყოფნიდა სამეფოს სამართავად.

ციხეებში მონღოლი მეციხოვნეები იდგნენ, ყველა სტრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეგიული ადგილი მათ დაეკავებინათ. ისე მოსდებოდნენ უპატრონო ქვეყანას, როგორც კალია ყანას. მათთვის ჩვეული იყო ოჯახების აწიოკება. ხალხი იყრებოდა სამკვიდროდან და მთებში იხიზნებოდა. სოფლები დაცარიელებულიყო, აყვავებულ ბაღ-ბოსტნებს შამბი და ჭინჭარი მოსდებოდა, ჩამოქცეულ სახლ-კარში თაგი ხვლიკსა და ბაყაყს შეეფარებინა. მოშლილი კერიიდან კვამლი აღარ ამოდიოდა.

ბიჭი მძიმედ მიდიოდა გზაზე. მალე პატარა ბილიკით ტყეში შეუხვია და თითქოს ცოტა გამოცოცხლდა კიდეც. პატარა, წყალნაკლული მდინარის პირას ჩავიდა. ცოტა შეისვენა, წყალი დალია და ქვაზე ჩამოჯდა. ძალი მის ფეხთით მიეგდო და თავი თათებზე ჩამოდო. ბიჭი ერთხანს ასე გახევებული იჯდა. ობოლი იყო. მამა ბრძოლაში მოკვდომოდა. ავადმყოფი დედა და პატარა და მონღოლებს ამოეწვათ სახლში. აღარავინ და აღარაფერი დარჩენოდა ამ ერთი ძაღლის მეტი. შუა ტყეში, მასავით ობოლ და შიმშილისაგან მილეულ, მის კბილა ბიჭებს შეკედლებოდა. პატარა ქოხი აეშენებინათ და თავს იქ აფარებდნენ.

შორიდან ფოთლების შრიალი და ხმელი ტოტების ლიწინი მოისმა. ძაღლმა ყურები ცქვიტა. ბიჭი წამოხტა, დიდ ლოდს მოეფარა და გაინაბა. ძაღლიც მას მიჰყვა ბრაზიანი ღრენით. ცოტა ხნის შემდეგ გაოფლიანებული და სისხლში ამოსვრილი, სულ მთლად დაკაწრული თექვსმეტიოდე წლის გოგო გამოჩნდა. ხელში გასისხლიანებული დანა ეჭირა. სულს ძლივს ითქვამდა, დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. როცა დარწმუნდა, რომ ახლოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავინ იყო, წყალში ჩადგა და სისხლი მოიბანა. მტვრიან ლოყაზე ჯერ მსხვილი კურცხალი ჩამოუგორდა, მერე კი გულამომჯდარმა დაიწყო ტირილი. ბიჭი საფარიდან გამოვიდა და ფრთხილად მიუახლოვდა. გოგომ ისევ დანას სტაცა ხელი და შეშინებული წამოხტა, მაგრამ მისი ტოლი გამხდარი და ნაშიმშილევი ადამიანი რომ დაინახა, თითქოს ცოტა დამშვიდდა.

– რა გინდა! – დაიყვირა მან გაბზარული ხმით და დანა უფრო მაგრად ჩაბლუჯა. ბიჭმა წარბებს ქვემოდან ამოხედა და კითხვა შეუბრუნა:

– შენ თვითონ ვინ ხარ და რა გინდა? დანა გასწიე და ეგრე ნუ მიბლვერი, ეშმაკი არა ვარ. – გოგოს არაფერი უთქვამს, არც დანა გაუგდია ხელიდან. იდგა და ისევ ისე უყურებდა – აკანკალებული და დამფრთხალი. ისევ ბიჭმა დაიწყო:

– მოკალი? ახლა ველარ გამოჩნდები... არავინა გყავს? ობოლი ხარ?

– ხო. – თქვა გოგომ და თითქოს ახლა შეიგრძნოო ეს ყველაფერი მთელი სიცხადით, ისე შეკრთა.

– ეხლა რას აპირებ?

– არაფერს... – კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ერთხანს ასე უყურებდნენ ერთმანეთს, მერე გოგო ქვაზე ჩამოჯდა და ისევ დაიწყო ტირილი.

– წამოდი ჩვენთან, აქ ნადირი შეგჭამს რამე, ან მშიერი მოკვდები.

– სად უნდა წამოვიდე?

– ტყეში... ქოხში... იქ ვიმალებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭმა ზურგი შეაქცია და წავიდა, მერე ოდნავ შემობრუნდა.

– ჰა, მოდიხარ თუ ნადირს შეეჭმეეინები? – უთხრა და უხალისოდ გააგრძელა გზა. გოგო ჯერ იჯდა, მერე გაუბედავად წამოდგა და უკან გაჰყვა.

– რა გქვია, სადაური ხარ? – ჰკითხა ბიჭმა, როცა გოგო დაეწია.

– თამთა მქვია, შენ?

– გაგი.

გოგო ასე გაწეწილი და მოსვრილი რომ არ ყოფილიყო, კარგი შესახედავი იქნებოდა. მაღალი, გამხდარი, შავთმიანი და შავთვალა. ეტყობოდა, რომ შიმშილი და გაჭირვება იმდენად არ შეხებოდა. შეძლებული ოჯახის შვილი ჩანდა. კაბაც კარგი ეცვა. გულზე ტყავის თასმით მომინანქრებული ჯვარი ეკიდა. ნაზი ხელები დაკაწვროდა და ახლა შესაბრალისი სანახავი იყო.

ტყეში ღრმად რომ შევიდნენ, ბიჭმა გუგულივით დაიყვირა. ვილაცამ ბანი მისცა. მალე ბუჩქებიდან ოთხი ბიჭი გამოჩნდა. ერთმა გაგის ჰკითხა: – ამას აქ რა უნდა? – ეტყობოდა ყველაზე უფროსი იყო და ბიჭებიც ემორჩილებოდნენ მას.

გაგიმ უამბო, რაც იცოდა, თუმცა თითქმის არც არაფერი მოუყოლია. გოგო კი იდგა თავდახრილი, გაუბედავად. ბიჭი მაინც გაბრაზდა, თუმცა არ შეუმჩნევია და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ თამთას მათთან ეცხოვრა.

შუაგულ ტყეში, ერთი დიდვარჯიანი ბებერი მუხა იდგა. მის ტოტებში, მაღლა, ისე ოსტატურად გაეკეთებინათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქოხი და შეენიღბათ, რომ მეტად დაკვირვებული კაციც ვერაფერს შეამჩნევდა. სწორედ ის ბიჭები შეხიზნოდნენ ამ ქოხს. უფროსი ლურჯთვალა ლუკა და ის სამნიც, საბა, ლაზარე და რატი ძმები იყვნენ, თუმცა ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, ძმებად ვერ ჩათვლიდი. მხოლოდ ტყუპები, საბა და რატი ჰგავდნენ ერთმანეთს. ორივე შავთმიანი და შავთვალა იყო, ძმებზეც ოდნავ ტანსრულები ჩანდნენ. ლაზარესაც ლუკასავით ლურჯი თვალები ჰქონდა, მაგრამ მისგან განსხვავებით, ქერა იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყველანი პატარა ქოხში, ჩალაზე ისხდნენ. თამთა უამბობდა, რის გამოც გამოქცეულიყო. ბიჭები ყურადღებით უსმენდნენ.

– მე ციხისთავის ერთადერთი შვილი ვარ, წყნეთში ვცხოვრობდით. მამაჩემმა მე და დედა ძმასთან, მანგლელ ეპისკოპოსთან გამოგვგზავნა, ეგონა აქ საფრთხე არ დაგვემუქრებოდა. რამდენიმე დღეში წყნეთი მონღოლებმა დაიკავეს და მამა მოკლეს. მანგლისშიც მოვიდნენ. ბიძამ გვირაბით გაგვაპარა. ალგეთზე რომ ჩავედით, ორმა მონღოლმა დაგვინახა. დაჭერა მოგვინდომეს, მე გავექეცი. ერთი გამომიდგა. არ მახსოვს, როგორ მოვკალი. შეშინებული უკანვე გავბრუნდი. თმაგაწეწილი და კაბაჩამოხეული დედა რიყეზე უსულოდ ეგდო სისხლის გუბეში, მონღოლი კი ხმალს წმენდდა ბალახზე. რომ დამინახა, გამომედევნა, მაგრამ ველარ დამიჭირა და აი, აქ ვარ ახლა. – თამთა დროდადრო ცრემლს იწმენდდა, ხმა უწყდებოდა და ჩერდებოდა. ბიჭები ამღვრეული თვალებით უყურებდნენ და მკაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად პირმოკუმულები უსმენდნენ. ყველა შურისძიებ-
ის წყურვილმა აანთო.

ის ღამე ხის ტოტებში გაათენეს. მეორე დილით, ლუკამ, ყველას იარაღი დაურიგა. დიდი არაფერი იყო: მოკლე სატევრები, ორიოდე მშვილდი, რამდენიმე ისარი ტყავის კაპარჭით, ერთი ხმალი და ერთიც რქისტარიანი დანა.

ბიჭებს თამთას მიმართ მალე გაუქრათ უნდობლობა და თავისიანად მიიღეს. მით უმეტეს, რომ ისიც მათთან ერთად ნადირობდა და იარაღის ხმარებაშიც ვარჯიშობდა.

მალე იმდენი ქნეს, რომ გადასახადების ამკრეფ ბასკაკებს მოსვენება დააკარგვინეს. დაცვაც ველარ შველოდათ. აკრეფილ ხარკს ისევ უკან ართმევდნენ და დამშეულ ხალხს უნაწილებდნენ. წელში გაწყვეტილი მოსახლეობა მათი უსაზღვროდ მადლიერი იყო, მაგრამ არავინ იცოდა მადლობა ვისთვის გადაეხადა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი – რას, ჭეშმარიტებისგან კი ყველა ძალიან შორს იყო. სიმართლე მხოლოდ პაპა დამიანემ იცოდა, რადგან ბავშვები ხშირად რჩებოდნენ ამ სათნო მოხუცთან. ზამთარში კი ტყის ქოხი დაშალეს და მასთან გადავიდნენ.

პაპა დამიანე მარტოდმარტო ცხოვრობდა სოფლიდან ოდნავ მოშორებით, ტყის პირას. უშვილძიროდ გადაგებულ ბერიკაცს ცოლიც მოჰკვდომოდა და შემწედ ამ ბავშვების მეტი არავინ ეგულებოდა. სოფლელები რომ მათზე ჭორებს იგონებდნენ, პაპა დამიანე პირში წყალჩაგუბებული უსმენდა, მხოლოდ იღიმებოდა. მადლიანი ღიმილი იცოდა. გაღიმებულს თეთრ თმა-წვერზე ისეთი ნათელი ადგებოდა, გეგონებოდა, ყველა ანგელოზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აზის მხრებზე და ისინი უნათებენ პირისახესო.

ნელ-ნელა გადიოდა ზამთრის ერთფეროვანი დღეები. მონღოლები თითქოს მიწყნარებულიყვნენ, ეტყობა სიცივეში წანწალს ერიდებოდნენ. იმ წელს კი მართლაც დიდი ყინვები დაიჭირა. ზამთარიც უფრო გაგრძელდა. გაზაფხულის მოსვლას თითქოს საშველი აღარ ადგებოდა, მაგრამ მალე მზემაც გამოანათა და მიწიდან აკრიფა თოვლი. გაბზარა ყინული და წყაროებს რაკრაკი დააწყებინა. ხარობდა ბუნება, მაგრამ ხალხს გასახარებელი არაფერი ჰქონდა. საჭმელი გათავებოდა ყველას. დედები ატირებულ, მოშიებულ ბავშვებს უჯავრდებოდნენ, როგორმე რომ დაეწყნარებინათ და მალულად იწმენდნენ ცრემლს. უკვე აღარ შეეძლოთ აეტანათ გულის გამაწვრილებელი ვედრება „დედა გვშია“. კაცები შუბლშეკრულები დადიოდნენ უმწეოდ. მონღოლი ბასკაკები კი უკვე აკრეფილ გადასახადებს ხელმეორედ კრეფდნენ, უბრალო მეომრებიც კი თავისუფლად შედიოდნენ სახლებში და რაც მოესურვებოდათ, თან მიჰქონდათ. ყველგან გოდება და მოთქმა-ტირილი ისმოდა.

ერთ დღესაც ხმა დაირხა, მონღოლების რაზმი მოდის დასაბანაკებლადო. ლუკას და მის მეგობრებს ღამეები აღარ ეძინათ. ფიქრობდნენ, როგორ გაენადგურებინათ მონღოლები, მაგრამ იმასაც თვალნათლივ ხედავდნენ, რომ ეს ერთი მუჭა ხალხი მონღოლთა გამხეცებულ ბრბოს ვერ გაუმკლავდებოდა.

ალგეთი იმ წელს განსაკუთრებით ადიდებულიყო. აქაფებული და ამღვრეული მოჰქუხდა. არემარე თან მოჰქო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნდა. ხიდებისათვის ბურჯები გამოეცალა, მხოლოდ აქა-იქ-ღა დაეტოვებინა. ლუკას ერთადერთი იმედი სოფლის გა-ნაპირას, მდინარეზე გადებული უბურჯო ხის ხიდი იყო. ხიდი მაღალ, კლდოვან ნაპირებს აერთებდა ერთმანეთთან და მის გარეშე, სხვაგვარად ვერავინ გადმოლახავდა მდი-ნარეს. ლუკა სწორედ ამ ხიდის ჩახერხვას აპირებდა.

მონღოლთა ჯარს ხიდი უკვე დაზიანებული დაუხვდა, თუმცა გარედან არაფერი ეტყობოდა. მონღოლები ხიდზე შედგნენ. პირველ რიგში მყოფთ ის იყო მიწაზე უნდა და-ედგათ ფეხი, რომ ხიდმა იხუვლა და ერთბაშად ჩაიქცა. აქაფებულ მდინარეში ჩაცვივდნენ მეომრები. ისეთი ღრია-ნცელი მორთეს, გეგონებოდა ცა ჩამოიქცაო. მეგობრები კი იქვე, თხრილში ისხდნენ და ამ ორომტრიალს გამარჯვებ-ული ღიმილით უყურებდნენ. დარჩენილი ჯარი, იმ ღამით, მდინარის გაღმა დაბანაკდა, სოფლელებს კი ჩანგრეული ხიდის ხელახლა აგება უბრძანეს. დილით რომ გაელვიძათ, დარჩენილი მეომრების უმეტესობა სისხლის გუბეში ცურ-ავდა. ღამით ვილაც შეპარულიყო, სიცოცხლე მოესწრაფ-ებინა მათთვის. გამხეცებულებმა ჯერ სოფლის აწიოკება დააპირეს, მაგრამ ცოტანი იყვნენ და უკან გაბრუნდნენ.

მთელი კვირა ჩამიჩუმი არ ისმოდა. ხალხი კვლავ აიყ-არა სამკვიდროდან და მთებში გაიხიზნა. მონღოლები ის-ევ დაბრუნდნენ. შეესიენენ სოფელს, გადაწვეს და ააოხ-რეს. დარჩენილებს სასტიკად გაუსწორდნენ.

გადამწვარ სოფელში დააბოტებდნენ სისხლისმსმელი მონღოლები და ნადავლს ეძებდნენ. რამდენიმე გაძვალ-ტყავებული ცხოველისა და ქათმის მეტი არაფერი და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხვედრიათ. ისინიც დაიჭირეს, გაგლიჯეს და უმად გაძ-
იძგნეს სისხლმდინარე, ოხშივარანადენი ხორცი. ღვინი-
ანი ქვევრებიც მალე იპოვეს და მოულხინეს. არაფერს
ერიდებოდნენ, ან კი რა ჰქონდათ მოსარიდებელი დაპყ-
რობილ ქვეყანაში?

ბავშვები ტყიდან უყურებდნენ ხოცვა-ჟლეტას და აც-
ოფებდათ საკუთარი უსუსურობის შეგრძნება. მონღოლებ-
ის ღრიანცელი უფრო ხმამაღლა მოისმოდა.

იფიქრეს, მთვრალებს უფრო ადვილად მოვერევითო და
ჩუმად ჩაიპარნენ მონღოლთა გალეშილ ბანაკში.

დილით გაიხვეტნენ ბარბაროსები აოხრებული სოფლი-
დან და თან წაიღეს ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლე-
ბოდა. დილის ნისლსა და კვამლში გახვეული სოფლის
ადგილას ნახშირის გროვა დარჩენილიყო. სადღაც ძაღლი
დაწანწალებდა – მურიანი და გაბურძგვნილი. მუხის და-
კოჟრილ სხეულს ოთხი თვალებგაყინული ბავშვის ცხედ-
არი მიკვროდა ისრებითა და შუბებით აზღარბული. ბაგე-
ზე სიმწრის ღიმილი შეჰყინოდათ, თვალებში გაურკვევ-
ელი სიცარიელე ჩასდგომოდათ. მუხლებზე დამხობილი თა-
მთა გაფითრებული მისჩერებოდა სივრცეს ცრემლგამშრა-
ლი. ლუკაც იქვე იდგა, სატევარი ჩაებღუჯა ხელში და
ისიც სადღაც შორს იხედებოდა.

– ისევ მოვლენ, – თქვა თამთამ.

– მოვიდნენ... გულუხვად კი გავუმასპინძლდებით, – უპ-
ასუხა ლუკამ ჯიუტად და გადამწვარ სოფელს გახედა.
დანახშირებული სახლის ადგილას კერია გადარჩენილიყო
მხოლოდ. ცეცხლის დედას გაეძლო ცეცხლისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლუსინე სარუხანიანი
მეათეკლასელი
დილიფის სკოლა
ნინოწმინდა

ოცოცოცო ერი

ეიყვარს ჩემი სამშობლოს მიწა და წყალი, დაბადების ადგილი, სადაც გავატარე ჩემი ბავშვობა.

მშობლიურია ჩემთვის საქართველოს მიწა. ჩემი საქართველო, სულით ძლიერი და გულით კეთილი: „ვინა სთქვა საქართველოზე, ეგ არის, ლომი კვდებაო".

საქართველო არასოდეს დაკარგავს თავისუფლებას და სიამაყეს. თუმცა საქართველოს ბევრი მტერი ჰყოლია, მაგრამ ვერავინ შესძლო საქართველოს მიწის დაპყრობა. მისი მიწა ქართველი გმირების სისხლითა და ქართველი დედის ცრემლითაა გაჟღენთილი.

მინდა ცხოვრება, მაგრამ მტრებისგან თავისუფალ ქვეყანაში, რომელიც უზომოდ ლამაზია. ქვეყანაში, სადაც ცხოვრობს განსხვავებული რჯულის ხალხი განსხვავებული ჩვეულებებით. მე სომეხი ვარ, მიყვარს ჩემი სომეხი ხალხი და სასომხეთი, მაგრამ ვცხოვრობ საქართველოს მიწაზე, განურჩეველია ჩემი სიყვარული ამ ორი ქვეყნისადმი. მიყვარს იბერია, მე ხომ მის მიწაში მიდგას ფესვები..

ჩვენ ყველანი დამოკიდებულები ვართ ერთმანეთზე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიცავთ ერთმანეთს, ვიღვწით ურთიერთსიყვარულისათვის. ჩვენ ყოველთვის სუფთა სინდისი უნდა გვამოძრავებდეს.

სომეხი და ქართველი ხალხი ცხოვრობს სამშობლოს, მამულის საკეთილდღეოდ, ჩვენი სამშობლოს და მისი გმირების წარსულით, ბედნიერი აწმყოსთვის და დიადი მომავლისთვის.

ქართველ ხალხზე დღეს დიდი სიყვარულით მინდა ვილაპარაკო, მათ ვაჟკაცურ სულზე და სტუმართმოყვარეობაზე. ვუსურვებ საქართველოს წინსვლას, აყვავებას. იმედი მაქვს, იგი არასოდეს დამარცხდება მტრის წინაშე.

ან კი როგორ შეიძლება ისეთი ქვეყნის დამარცხება, რომელსაც თავის კალთაში უამრავი გმირი გამოუზრდია.

სომეხ ხალხს ქართველი ერი ოდითგანვე უღალატოდ გვიდგას მხარში.

ისტორია ამტკიცებს, რომ ბევრჯერ სისხლისმსმელი თურქებისგან დარჩენილი უსახლკარო და მიუსაფარი სომეხი ხალხი თავს ქართველი ძმის ოჯახში აფარებდა. ღირს, რომ ასეთ ღირსეულ ხალხზე ხოტბის სიტყვები თქვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფატიმა მამედოვა
მეათეკლასელი
რუსთავის მე-3
რუსული სკოლა

ლექსებით თბილი

„მამა-პაპის წმინდა სისხლით ნაბანი,
მზის სხივებით ანთებული მარად,
უფსკრულებში ჩანჩქერების ჩქაფანი,
მთებზე თოვლი, ბულბულები-ბარად.
ზოგან ირმების ჯოგია, ზოგან არწივნი ჰქრიან,
არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“.

სამშობლო! – დედის ნანასავით თბილი და დედის რძესავით ტკბილი; სამშობლო! რამდენის მომცველია ეს ერთი სიტყვა?! დედას რომ უყვარს შვილი და გულში იხუტებს მას, სწორედ ასე ეფერება სამშობლოც თავის თითოეულ შვილს. სწორედ ამიტომ არის იგი დედასავით თბილი ჩვენთვის.

ჩემი სამშობლო საქართველოა და რადგან იგი ჩემი სამშობლოა, ესე იგი ჩემი დედაა, რომელიც მლოცავს; და რადგან ყველა შვილისათვის მისი დედა ყველაზე ლამაზია, სწორედ ამიტომ ჩემი საქართველო ყველა სხვის დედას სჯობია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

საქართველო, ანუ იბერია ორი სახელწოდებითაა მსოფლიოში ცნობილი-გეორგია, რაც ბერძნული გეორგოსიდან მოდის და გრუზია, რაც ოსმალურ გურჯს უკავშირდება. ბერძნებმა, იხილეს რა, რომ ქართველი კაცი ძირითადად მიწის დამუშავებით იყო დაკავებული, საქართველოს გეორგია უწოდეს, ხოლო ქართველს გეორგოსი. თუმცა საკუთრივ სახელი საქართველო მოდის ქართლიდან, რადგან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ამ კუთხემ თავიდანვე მოიპოვა პოლიტიკური უპირატესობა.

გარდა ამისა, სიტყვა „ქართლი“ ნაწარმოებია ლეგენდარული პიროვნების, ქართლოსის სახელიდან. ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი ქვეყნისთვის საქართველოს შერქმევა.

პატარაა ჩემი საქართველო, მაგრამ დიდია მისი სული, როგორც სული მშობლისა. მას ერთნაირად უყვარს ყველა მისი შვილი: ქართლი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო, ხევსურეთი, თუშეთი... ყველა ეს კუთხე ერთიანი საქართველოს მხარეებია, რადგან მათ გარეშე ის ვერ იქნებოდა სამშობლო, ვერ გახდებოდა დედა, სწორედ მათი ერთიანობით იქცა იგი ამად:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ეველა ჩემი სამშობლოა,
საუვარელი საქართველო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისევე, როგორც ერთი დედის შვილები არიან განსხვავებულები და საინტერესონი თავიანთი ინდივიდუალობით, სწორედ ასევეა განსხვავებული და უნიკალური თითოეული კუთხე თავისი ადგილმდებარეობით თუ მდიდარი ტრადიციებით; სწორედ ასეთი მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის ერთიანობა ხდის საქართველოს სამშობლოდ, სრულყოფილებად. მშობელ დედასავით არაერთი ღამე უთენებია საქართველოს თეთრად, არა ერთხელ სტკენია გული. მრავალი ტკივილი და დარდი გადაიტანა მან. სწორედ ასე მოვიდა ᲐᲮᲘ დღემდე, მაგრამ რამდენადაც დამთმობი და შემწყნარებელია ქართველი, იმდენად თავდადებული და შეუბრალებელია, როცა საქმე სამშობლოს ეხება.

საქართველოს ჰქონდა დიდება, ჰყავდა და ყოველთვის ეყოლება ისეთი გმირები, როგორებიც იყვნენ: ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცოტნე დადიანი, მეფე ერეკლე, აღმაშენებელი... მუდამ ეყოლება პოეტები და მგოსნები, რომლებიც უმღერებენ:

„საქართველოო ლამაზო,
სხვა საქართველო სად არის?!

სწორედ ჩვენ ვიქნებით თამარ მეფე, ვაჟა, ილია, აკაკი, სწორედ ჩვენით საქართველო „სულ გაუძლებს დროის ქარიშხლებს და უკვდავებაში იცოცხლებს მარად“... და ჩვენს შემდეგაც:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისე არ ამოსწყდებიან
ჯავრი შასჯამონ მტრისანი".

ქართველები არა მარტო გარეგნულად არიან ლამაზები, სულიც ლამაზი აქვთ. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსი" ასე აღწერს მათ: „მხიარულნი, გონიერნი, მსწრაფლმომხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი;" „სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი", „სტუმართა და უცხოთ მოყუარენი". ამიტომაც საქართველო არის სამშობლო არა მხოლოდ ქართველისა, არამედ რუსის, ოსის, სომხის...

სწორედ ამიტომ საქართველო ერთიანად ტკბილია ყველა მისი შვილისთვის.

ქართველი კაცის სტუმართმოყვარე ბუნება საყოველთაოდაა ცნობილი:

„ერი გულადი, ჭურადი,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან
არის ასეთი ქვეყანა
მას საქართველო ჰქვია!".

ტყუილად არ უთქვამთ:

„უსტუმროდ ჭური და ღვინო
მწარეა, განა ტკბილია?!"

მტერიც რომ იყოს სტუმრად მოსული, ქართველი კაცი მაინც გაუმასპინძლდება მას, რადგან „სტუმარი ღვთი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საა“, ღმერთი კი სიყვარულია. აი ასეთია ჩემი საქართველო, სწორედ ასე მოვიდა იგი დღემდე: უძილო ღამეებითა თუ მზიანი დღეებით, კეთილითა თუ ბოროტით, დამარცხებითა თუ გამარჯვებით:

„ათას იარად გაჩნია მკერდზე
ტაძრის, ციხის და ჟამის ნანგრევი,
მაგრამ შენ მაინც ანთიხარ მზეზე,
მაინც ანთიხარ და არ გაქრები“.

მართლაც, რომ მისი სახელი „მუდამ ანათებს მზეზე და იცოცხლებს უკვდავებაში“, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ღვთისმშობელი არ გაგვწირავს; ან თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მე მიყვარს ჩემი სამშობლო საქართველო.

„მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო,
მუმლი წედებოდაო
ხე არ ხმებოდაო“.

მე მჯერა, რომ „მუმლი დაიხრჩვება და მუხა გადარჩება“ და იდღეგრძელებს საქართველო მრავალჟამიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერეკლე შავაძე
მეექვსეკლასელი
თელავის მე-2 სკოლა

„ერის წყლო�oლი მჯნლიეს წყლოwოლოვლ"...

„წუხელის ბიჭი დაბადებულა"...

ანზორ აბულაშვილი

ბიჭი დაიბადა...

ქვეყნიერება უსასრულო იყო. უამრავი სამყარო არსებობდა თავისი მზითა და ჩახჩახა ვარსკვლავებით, თავისი წარსულითა და მომავლით, თავისი ტკივილითა და სიხარულით. ის კი მაინცდამაინც ამ მზის ქვეშ დაიბადა, ორ ზღას შუა მდებარე მტკავლისხელა მიწაზე, რომელსაც საქართველოს უწოდებენ. ეს იყო ბედისწერა...

ბიჭს მათე დაარქვეს.

შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, ზღაპრებში რომ ხდება ხოლმე. ჯერ კეთილი ფერია მოფრინდა. კეთილი ფერია რისი კეთილი ფერია იქნებოდა, გულუხვად თუ არ დაასაჩუქრებდა პატარას.

– მუდამ იყავი, მათე ბიჭო, უკვდავება დამინათლებია შენთვის. კეთილი გულით იარე წუთისოფელში, მამული და მოყვასი გიყვარდეს! – ყურში ჩასჩურჩულა ბიჭს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგ ბოროტი ფერია გამოჩნდა ბიჭის აკვანთან თავისი ბოროტი საქმის გასაკეთებლად.

– ვნახოთ, რას მოგიტანს უკვდავება! უბედური ქვეყნის შვილობა მისურვებია შენთვის. მუდამ შენი მამულის ტკივილით გიკვნესოდეს გული. ყოველი მხრიდან წეწდნენ და გლეჯდნენ შენს პატარა ქვეყანას, იმის ჭირისუფლობაში ათენებდე ღამეს და ადამებდე დღესო! – ყორანივით დასჭყიალა პატარას.

იზრდებოდა მათე ბიჭი... სასოებით შეჰხაროდა ქვეყანა თავის იმედს, მხურვალე მზის სხივებითა და ჟუჟუნა წვიმებით ეალერსებოდა. პაწაწინა ყვავილს მათე ბიჭის დასატკბობად გაეშალა კვირტი, ჩიტი ნაცარა დასჭიკჭიკებდა: „შენ გიგალობ, პატარავ, დილა მშვიდობისა“.

იზრდებოდა ბიჭი მოფერებასა და სიყვარულში, მაგრამ ზოგჯერ მიუვალი კლდეებიდან მომავალი გმინვა მისწვდებოდა მის სმენას, გულს შეუძრავდა, სულს აუფორიაქებდა...

და გაიგო მათემ: ტანჯული ერის შვილობა ურგუნებია მისთვის ბედს. ყვავ-ყორანივით ეხვეოდა მტერი პატარა ქვეყანას და გულ-ღვიძლს უფლეთავდა. თავად მას მამულის ჭირისუფლის ატკივებული გულით უნდა ევლო წუთისოფელში.

წიქარას მეგობარი ბიჭივით ცეცხლის კალოში ჩაეყენებინათ პატარა ქვეყანა ბოროტ მამინაცვლებსა და კიდევ უფრო ბოროტ დედინაცვლებს და წიქარასავით გაიწია მათე ბიჭმა მამულის სახსნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სამშობლოს არვის წავართმევ, ჩემს ნურვინ შემეცილება, – ჩურჩულებდა დღედაღამ.

მიქროდა ჟამი... ასწლეულები ათასწლეულებად იქცა. ბოლო არ უჩანდა მტრის მოძალებას. გული უსკდებოდა მათეს. სიყვარულისთვის იყო დაბადებული და მკვლელი გახდა, მშვიდობა სწყუროდა და დაუსრულებელ ომებს იხდიდა მამულის გადასარჩენად...

უფალმა ბრძანა:

– ეყო მათე ბიჭს, კლდე გაცვდებოდა ამდენი ჯაფით, ნათელში მოვიხმოთ.

ნათელში შეაბიჯა მათემ. მაინც უკვნესოდა სული; უჭირდა პატარა ქვეყანას, კიდევ უფრო გაუჭირდებოდა უმისოდ.

მკერდდაბანდული დედოფალი შემოეგება მათეს, ნაჭრილობევი შუბლი დაუკოცნა და უთხრა:

– აქედან შეგიძლია შეეწიო შენს ქვეყანას, შემოგვიერთდი, ერთად ვილოცოთ მამულისთვის!

მუხლი მოიყარა მათე ბიჭმა და უფალს შეჰღაღადა...

იქ კი, წუთისოფელში, ცხოვრება გრძელდებოდა. მტერს ვერ მოეკლა პატარა ქვეყანა. მტკავლისხელა მიწაზე, ორ ზღვას შუა გადაჭიმულ მთაგრეხილს რომ მიჰხუტებოდა მკერდზე, ბიჭი დაბადებულიყო. პატარასთვის მათე დაერქმიათ და იზრდებოდა ბიჭი ქვეყნის იმედად...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ცხოვრებოვი
მეათეკლასელი
რუსთავის მე-3
რუსული სკოლა

თუმცა ჩიტივნი ვერცხლნ...

საქართველო ჩემი სამშობლოა. აქ დავიბადე და გავიზარდე, სხვა სამშობლო არ გამაჩნია და ამიტომ მიყვარს ჩემი საქართველო.

ლამაზი ქვეყანაა. თუმცა მსოფლიოს რუკაზე ძალიან პატარაა, ის მაინც ძალიან დიდია ჩემთვის. საქართველოს მომხიბვლელობის საიდუმლო იმაშიც იმალება, რომ იგი სხვადასხვა კუთხისგან შედგება, ერთმანეთისგან განსხვავებული ზნე-ჩვეულებებით, ხასიათით. მიუხედავად ამისა, ყველა კუთხეს ერთმანეთთან კაცთმოყვარეობა და სხვა ერის სიყვარული აერთიანებს. ებრაელი ერი 26 საუკუნე ცხოვრობს საქართველოში და მათ საკუთარ სამშობლოდ მიაჩნიათ ეს ქვეყანა. ასეა სხვა ერების წარმომადგენლებიც, ისინიც სამშობლოს ხედავენ საქართველოში და ეს მიხარია.

ერთი რამ კი ძალიან მაწუხებს. მინდა, რომ ყველა, ვინც ამ მიწის მადლით სარგებლობს და მისი სილამაზით ტკბება, ვინც ქართველი ხალხის სითბოთი გულს ითბობს და მათთან ერთად ცხოვრობს ქართული ცის ქვეშ, ლაპარაკობდეს იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობდნენ ქართლოსიანნი და შემდეგ ამ ქვეყნის სიკეთეზეც ფიქრობდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალინა ძალდანი
მეცხრეკლასელი
მარნეულის მე-5 სკოლა

ჩემი სამშობლო

ალბათ ყველა ბავშვი აღწერს სამშობლოს სილამაზეს, ბუნებას, მაგრამ ძალიან მინდა მათგან განვსხვავდებოდე. ამიტომ გეტყვით, თუ რა არის სამშობლო. პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ სამშობლო არა მარტო ის ადგილია, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ, არამედ ეს ის ადგილია, რომელიც არასოდეს უნდა მიატოვო. ძალიან ბევრია ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ მიდის იმის გამო, რომ მას არა აქვს კარგი სოციალური მდგომარეობა. მე აქ მაქვს მოყვანილი სამი მაგალითი და მათ, სამივეს, თავისი ახსნა აქვს. სამივე ასოცირდება ქვეყანასთან ანუ სამშობლოსთან. პირველი – „ყურადღება“ ეს ნიშნავს, რომ სამშობლო ითხოვს მხარდაჭერას, მას სჭირდება ყურადღება, რათა შეინარჩუნოს ბუნება, სილამაზე და თავისი ხალხი. მეორე – „სდექ“ ეს ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი სოციალური მდგომარეობის გამო მიატოვო შენი სამშობლო. თუ დაუკვირდებით, როდესაც სამშობლოს საზღვარს ტოვებთ, თითქოს სამშობლო სევდიანდება, ბუნება ღონდება და გეუბნება: სდექ! ნუ წახვალ სამშობლოდან, რადგან მასზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეტად ვერავინ შეგიყვარებს და ვერავინ მოგექცევა ისე თბილად, როგორც სამშობლო. მესამე – „გაიარე“ ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი პირიქითაა. ბრუნდები შენს სამშობლოში სიხარულითა და სიყვარულით. ყველაფერი გილიმის და გეუბნება: გაიარე! გაიარე! სამშობლოს კარი მუდამ ღიაა შენთვის.

ჩემი სამშობლო ძალიან ლამაზია, ძალიან თბილი და საყვარელი. ამ ფიქრებში გართულს უცებ გამახსენდა, რომ ჩემი სამშობლოსგან ძალიან შორს ვიყავი. უცებ მოგმიახლოვდა შავკანიანი და მეკითხება:

–უკაცრავად, საიდან ბრძანდებით?

– საქართველოდან, მე ქართველი ვარ.

– მართლა? შეგიძლიათ თქვენს სამშობლოზე მიამბოთ?

– დიდი სიამოვნებით;

ჩემი სამშობლო პატარა სოფელს ჰგავს, სადაც ყველა მეგობრობს, ყველა ერთმანეთს უწვდის დახმარების ხელს, სადაც თავისი სოფელი ყველას უყვარს. მისი ბუნება ხეხილის ბაღს ჰგავს, სადაც ყველა დაფუსფუსებს, ხეებს უხარიათ, რადგან იციან, რომ ერთ საათში წყალს დაუსხამენ, საზრდოს მიიღებენ. ჩემი სამშობლო იმდენად ლამაზია, შემიძლია ქალს შევადარო, ძალიან ლამაზ ქალს. ქალივით ნაზი, ზოგჯერ სევდიანი, ზოგჯერ კი გახარებულია. საქართველოს ძალიან ლამაზი წარსული აქვს, მართალია ისტორია ომებზე მოგვითხრობს, მაგრამ საქართველოს ომების გარდა ბევრი რამ აქვს საამაყო, თუნდაც ჩვენი მეფეები, დედოფლები. საქართველოში ძალიან ლამაზი ეკლესიები და ისტორიული მხარეებია. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდა გაიგო საქართველოს წარსული და ნახო ის ნივთები, რომლებსაც დედოფლები, მეფეები და მეომრები ატარებდნენ, უნდა მოინახულო მუზეუმები და ისტორიული მხარეები. ჩემი სამშობლო მინდა შევადარო წიგნს, რომელიც ყოველდღე იფურცლება და სხვადასხვა სიტყვებით ივსება. იმიტომ ჰგავს წიგნს, რომ საქართველოში ბევრი რამ იცვლება. წიგნის ფურცლებს რომ ვშლით, გვერდი გვერდს ემატება და ასე გრძელდება დაუსრულებლად... საქართველოს უძველესი დამწერლობა და ენა აქვს"...

უცებ ფიქრებში წავედი და იცით რა გამახსენდა?! – მიწა, მიწა, რომელიც 12 წლის წინ წამოვიღე საქართველოდან. შინ გავიქეცი, ავიღე ქაღალდის ყუთი, რომელშიც ეს მიწა ეყარა და მისი სურნელით ვტკბებოდი, თვალზე ცრემლი მადგებოდა, ჩემი სამშობლოს ნახვის სურვილი მკლავდა და არ მასვენებდა. იმდენად მომინდა, რომ კარიერაც, სახლიც და მეგობრებიც მივატოვე და დავბრუნდი საქართველოში. ახლა რა მაქვს? არაფერი, რადგან მათხოვარი ვარ, მაგრამ ცდებით, მე მაქვს სამშობლო, ჩემი სამშობლო, მე ჩემი სამშობლოს მიწაზე ვდგავარ და ღმერთს მადლობას ვწირავ. მეტყვით, რატომ? იმიტომ, რომ მე ვპოვე გზა სიმშვიდისაკენ და ეს გზა არის გზა სამშობლოსკენ.

ეს მონათხრობი ჩემი ფანტაზიაა, ამით მინდა გამოვხატო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, გქონდეს სამშობლო და იყო მისი ერთგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ვაშაძე
მეშვიდეკლასელი
თბილისის 116-ე სკოლა

„ერიმანჯოლოს" და „ჰეროროს" უცხოელებიც მოერევნენ

საქართველო უძველესი ქვეყანაა, აქ ადამიანი ქვის ხანიდან ცხოვრობს, ვითარდება, შრომობს. ჩვენი წინაპარი ადნობდა ფოლადს, აკეთებდა ოქროსა და ვერცხლის დახვეწილ სამკაულებს, ჭურჭელს, ამუშავებდა მიწას, მოჰყავდა ხორბალი და უვლიდა ვაზს. შექმნა თავისი ორიგინალური დამწერლობა და ერთ-ერთი პირველი ეზიარა ქრისტიანობას.

საქართველო აზია-ევროპის გასაყარზე მდებარეობს, გააჩნია საუკეთესო ბუნებრივი და კლიმატური პირობები, რამაც სიკეთესთან ერთად, უამრავი სირთულე შეუქმნა ქართველ ერს. მას, როგორც გემრიელ ლუკმას, ყველა მხრიდან ეპოტინებოდნენ, ამიტომ ქართველს მუდმივად ბრძოლა უხდებოდა ათასი ჯურის დამპყრობლის წინააღმდეგ, რომელიც უმეტესად მასზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო.

ისტორიას ახსოვს ბევრი სისხლისმღვრელი ბრძოლა, ბევრი სახელოვანი გამარჯვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი დამარცხებაც, ღალატი და სირცხვილი. ამას მოჰყვებოდა ის, რომ საუკუნეების განმავლობაში უცხოტ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომელთა მფარველობის, უფრო მეტად კი მონური უღლის ქვეშ მოქცეულა, ვინ მოსთველის, რამდენჯერ გაპარტახებულა, მაგრამ ღმერთის წყალობით მძიმე წლებს აღმავლობის წლები ცვლიდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, საქართველოს მართლაც რომ ბედნიერი ხანა დასდგომია, იბერია გაბრწყინებულა. საბედნიეროდ, ჩვენს ერს არასოდეს აკლდა ბრძენი და ვაჟკაცი მეფეები, მხედართმთავრები, დიდგვაროვნები და ხალხის წიაღიდან გამოსული უამრავი ცნობილი და უცნობი, უსახელო გმირი, მაგრამ, საუბედუროდ, მათ გვერდით ცხოვრობდნენ ლაჩარი, უნებისყოფო მეფეები, მოღალატე აზნაურები და ტლუ, ბოროტი გლეხები, რომლებიც მეზობელს შვილს სტაცებდნენ და მონად ყიდდნენ, ორ შაურად საკუთარ ძმას იმეტებდნენ სასიკვდილოდ.

იყვნენ ლევან ფანტიაშვილისნაირი თავადები, რომლებიც ერთი ქეიფის საფასურად აგირავებდნენ სახლებსა და მამულებს, შემდეგ კი მათ გამოსასყიდად იძულებულნი იყვნენ სომეხი ვაჭრების ასულები შეერთოთ ცოლად. იყვნენ „თათქარიძეები“, რომლებსაც ქეიფიც კი ეზარებოდათ და ტახტზე კოტრიალის და ძილის შუალედში უაზროდ იყორავდნენ მუცელს. იყვნენ კუდაბზიკა, მშიერი, იმერელი აზნაურები, რომლებიც იმდენს ბაქიაობდნენ, რომ თვითონვე სჯეროდათ თავისი ტყუილის. ამით კი კარგად სარგებლობდა მოკეთისა და მეზობლის ნიღაბს ამოფარებული მტერი, რომელიც დროს იხელთებდა ხოლმე, როდესაც საქართველოს ძალიან უჭირდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ვერაგულად, ღალატით კიდევ უფრო უთხრიდა ძირს. ზოგი თავს ესხმოდა და აწიოკებდა ხალხს, ზოგიც ძველ ქართულ მიწაზე შეპარვით, ნელ-ნელა სახლდებოდა, მრავლდებოდა, შემდეგ აძევებდა ქართველებს, ზოგი ამ-ახინჯებდა, ცვლიდა უძველეს ქართულ წარწერებს ეკ-ლესია-მონასტრებზე და თავისად ასაღებდა, ზოგნი კი საერთოდ გვითეთრებდნენ ეკლესიებს და კირით ფარა-ვდნენ საუკუნეების ქარტეხილებში გამოვლილ ულამა-ზეს ფრესკებს.

საბედნიეროდ ყოველთვის არსებობდნენ ისეთი მამუ-ლიშვილები, მწერლები, პოეტები, რომლებიც ცდილობ-დნენ ერის გამოღვიძებას, დაუნდობლად ეუბნებოდნენ ქართველს მწარე სიმართლეს, უჩვენებდნენ მათ ნამდვ-ილ სახეს, ხან პირდაპირ, ხან ალეგორიულად, მიუთით-ებდნენ მანკიერ მხარეებზე.

სიმართლის მთქმელი არასოდეს დაფასებულა. ამ-აოდ იმოგზაურა ევროპაში სულხან-საბამ, უცხოეთ-ში გარდაიცვალა დავით გურამიშვილი, სიმართლ-ისთვის მოკლეს ილია, სიღარიბეში, ჭლექით გარდ-აიცვალა ვაჟა, გაგიჟდა ყაზბეგი, სიკვდილით დასა-ჯეს ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკ-ტიონი კი თავისი სურვილით მოშორდა ყალბ და აუ-ტანელ ცხოვრებას, მაგრამ მათ შრომასა და ღვაწლს უკვალოდ არ ჩაუვლია, მათი შეძახილით თითქოს იღ-ვიძებდა მიძინებული მებრძოლი სული ქართველებში, იღვიძებდა იმედი, რომ გაჩნდა გმირი, რომელსაც ბა-ზალეთის ტბის ძირში ზრდიდა ქართველი დედა, ხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლხი ყოველთვის მიჰყვებოდა ასეთ გმირებს, იწყებდა ბრძოლას. ამ ბრძოლებს ხან მოსდევდა შედეგი, ხან არა, მაგრამ ასეთ დროს ერი ერთიანდებოდა, იღვიძებდა, ლამაზდებოდა, „ქართველდებოდა“.

ასე თუ ისე, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო არსებობს, საკმაოდ შეკვეცილი, დაპატარავებული ტერიტორიით, შემცირებული მოსახლეობით, მაგრამ საკუთარი ენით და სარწმუნოებით თავის ისტორიულ მიწა-წყალზე, მაშინ, როდესაც, უდიდესი იმპერიები ალიგავნენ პირისაგან მიწისა. უძველესი ცივილიზაციის ქვეყნები გაქრნენ მსოფლიო რუკიდან, საქართველო კი ეუთოს და ევროსაბჭოს წევრია.

სამწუხაროდ, თვალი შეეჩვია ქუჩაში უამრავ მაწანწალას და მათხოვარს, ყოველ ნაბიჯზე გაშლილ ბაზარს, საკუთარი კერიდან აყრილ გაჭირვებულ ადამიანებს, უმუშევრობას, სიღარიბეს. ამის ფონზე საქართველო უფრო აკვირვებს მნახველს, ულამაზესი ბუნებით, თოვლიან-ყინულიანი მთებით და მოლიელივე ლურჯი ზღვით. მსოფლიო გაოგნებული უყურებს ქართულ ცეკვას, ხალხურმა სიმღერამ კი ისე მოხიბლა ყველა, რომ უცხოელებიც მღერიან „კრიმანჭულს“ და „ჩაკრულოს“.

ჩემი საქართველო დღევანდელი საქართველოა, მე მეამაყება სახელოვანი წარსული, მაგრამ აწმყო უფრო ახლოსაა ჩემთან. მე მიყვარს ჩემი პრეზიდენტი, მეამაყება ხუთჯვრიანი დროშა, სიამოვნებით ვუსმენ და ვმღერი ახალ ჰიმნს. მიყვარს ჩემი თბილისი, ვერის უბანი, სადაც ჩემი წინაპრების სამი თაობა ცხო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვრობდა და სადაც დავიბადე მეც, მიყვარს ვაკე, სადაც ახლა ვცხოვრობ, მიყვარს დიდუბე, სადაც ჩემი სკოლაა, მიყვარს ჩემი ოჯახი, ახლობლები, მეგობრები, ძალიან მიყვარს დედა და აქედან იწყება ჩემთვის საქართველოს სიყვარული.

მე მჯერა, რომ ჩემი სამშობლო ისევ გამთლიანდება და გაძლიერდება, გახდება ისეთი, როგორზეც ოცნებობდნენ წინაპრები. ამისათვის კი ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი ცხოვრების დონეც შურდეთ და არა მხოლოდ ტრადიციები და კულტურა. მე მინდა, რომ საქართველოში ყველა ბავშვი სიხარულით მიდიოდეს სკოლაში და იქ გახარებული და ბედნიერი მასწავლებლები ხვდებოდნენ. ასევე სიხარულით დადიოდეს სამსახურში ყველა პროფესიის ადამიანი და თავისი საყვარელი საქმით იყოს დაკავებული. მინდა, რომ ჩემს საქართველოში აღარ იყვნენ მაწანწალა ბავშვები და ძაღლები, უპატრონო მოხუცები. მინდა ლამაზ ქუჩებში ლამაზი, ბედნიერი ადამიანები დადიოდნენ და ერთმანეთს უღიმოდნენ. მინდა ყოველი ახალი დღის გათენებას მხოლოდ სიხარული მოჰქონდეს.

მჯერა, რომ ასეც იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანამარია ჰერცელი
მესამეკლასელი
ადიგენის სკოლა

ვაჟკაცობამ გადაარჩინა

ჩემს სამშობლოს საქართველო ჰქვია.

ჩემი საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა. მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მთა-გორებით, ველ-მინდვრებით, ვენახებით, მინერალური წყლებით.

ამჟამად, დედაქალაქ თბილისში აშენდა ულამაზესი სამების ტაძარი. წინათ საქართველოს ბევრი მტერი ჰყავდა. მათ უნდოდათ საქართველოში ქრისტიანობა მოესპოთ და მაჰმადიანობა გაევრცელებინათ. მტერმა მრავალჯერ მოსპო და გაანადგურა ჩემი სამშობლოს ღირსშესანიშნავი ადგილები, მაგრამ ჩვენი წინაპრების მედგარმა და შეუდრეკელმა ვაჟკაცობამ გადაარჩინა ენა, მამული, სარწმუნოება...

გვანცა გელაშვილი
მეექვსეკლასელი
თბილისის 164-ე სკოლა

„რა ლამაზ, ბავშვობიანებო, საქართველო"...

ჩემი სამშობლო საქართველოა, მრავალჯერ აღგვილი პირისაგან მიწისა. დედა-სამშობლოს მაჯისცემის ხმა ჩემი და ჩემი თანატოლების გულისყურსაც სწვდება. ჩვენ ჯერ კიდევ პატარები ვართ, მაგრამ ერთს კი ვაცნობიერებთ, ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი, ნაწილ-ნაწილ წაბილწული, რქაწითელგათელილი, ტაძრებდარღვეული მამულის გამთლიანება ჩემი და ჩემი თანატოლების მხრებზეა. ვინ ვართ ჩვენ? - ერთი ტაძრის ფრესკები, ერთი ვაზის მტევნები, ერთი ქვეყნის, ერთი ბედის, ერთი ღმერთის შვილები.

პრესითა თუ ტელევიზიით მოჭარბებული ინფორმაციის საშუალებით ჩვენთვის უცხო არაა, თუ რა ხდება დღეს ჩემს ქვეყანაში, ან რა მოხდა უახლოეს წარსულში. წიგნის საშუალებითაც ვეცნობით ტკივილით, ცრემლით, რწმენით, იმედით გაჯერებულ ისტორიას ქვეყნისას, მის შორეულ წარსულს. ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმული მამული ჩემი, ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილი, გაყიდული, გასხვისებულია. ნუთუ ეს შესაძლებელია?! და თუ შესაძლებელია, იქნებ ვინმემ გამცეს პასუხი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა ღირს, ბატონებო, საქართველო,
რა ღირს გელათი და ნიკორწმინდა,
რა ღირს ვარძია და უფლისციხე,
რა ღირს კახეთი და სამეგრელო...
ფასი მოგვახსენეთ, ბატონებო...“

ჩვენმა წინაპრებმა წამებით, სისხლის ღვრით შეინარჩუნეს მამული, ენა, სარწმუნოება და ჩვენ, ახალ თაობას, საჩუქრად მოგვართვეს. ეს წმიდათაწმიდა სამი მცნება განუყოფელი და სისხლხორცეულია ჩვენთვის, როგორც სამება.

ულამაზესია ჩემი მამული თავისი მთა-ბარით, ტაძრებით, სადაც მუდამ დუდუნებენ სანთლები და ღვთისმშობელს ევედრებიან გადააფაროს წილხვედრ ქვეყანას თავისი კალთა:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია,
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა...“

ღვთის ნებისა და სურვილის თანხვედრი უნდა იყოს ჩვენი ნება და სურვილი. დავიცვათ ჩვენი მამული და მოწიწებით მოვეპყრათ ქართულ ენას. მრავალფერია ქართული სიტყვა, სურნელოვანი და გემრიელი. სირცხვილია, ვინც ქართული არ იცის და თავი კი ქართველად მოაქვს. ქართულის ცოდნა მარტო სიტყვებით ურთიერთგაგებინების საშუალება არ არის, საქმე მისი სიწმინდის დაცვაშია.

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს".

წმინდა ნინოს ძალისხმევით საქართველოში ქრისტეს რჯული ყველა ქართველს სისხლ-ხორცში გაუჯდა. ჯვარითა და ლოცვით მიიკვლევდნენ გზას ჭეშმარიტებისაკენ ჩვენი წინაპრები და ღმერთს შესთხოვდნენ:

„შენ დაიფარე, უფალო,
ჩვენი საშობლო მხარეო,
ღმერთო უშველე ტურფასა,
გზა გაუნათე მთვარეო".

მიუხედავად დღევანდელი მდგომარეობისა, ჩემი ქვეყანა აღდგება, აღორძინდება. ქვეყნის აღსადგენად ყველა ერთად ქვას ქვაზე, აგურს აგურზე დავდებთ. მამულის კეთილდღეობისთვის ანთებულ ამ პატარა გულებს დიდ კოცონად დავანთებთ. მუდამ გვემახსოვრება, რომ საქართველო ჩვენი საფიცარია, საქართველო უწმინდესი ხატია:

„დაიხსომე! საქართველო
შენი საფიცარია,
დაიხსომე! საქართველო
უწმინდესი ხატია".

მტერს თავი არ დავაჩაგვრინოთ, არ ვათქმევინოთ „ლომი კვდებაო..." და ერთიც გვახსოვდეს:

„საქართველოს სხვანაირი მოფერება უნდა,
სხვანაირი სიყვარული, სხვანაირი ზრუნვა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანა ენგიბარიანი
მეთერთმეტეკლასელი
თბილისის 86-ე სკოლის
რუსული სექტორი

ცამშობლო მთვთვ ჯაჯვივ

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეენისა?
ერი - გულადი, ჭურადი,
მებრძოლი შავის ბედისა“.

გრიგოლ ორბელიანი

ოჰ, ჩემო სამშობლო, შენი ხილვა შთამომავლობით მერგო და დღეს მე ვარ პასუხისმგებელი შენზე. გენეტიკური მეხსიერების ხმა მიჩურჩულებს შენს არნახულ დიდებაზე. რამდენი გამოჩენილი სიტყვის ოსტატი იყო აღფრთოვანებული შენი სილამაზით. გუშინ კი მიწუხდა გული შენს ბედზე, ოჰ, საქართველო! მტანჯავდა შენი გუშინდელი იერი, მოღუშული, მომდურავი, ვით ჭაღარა მოხუცის, ვის დამწუხრებულ, დასევდიანებულ სახეზე დიდი ხანია ჩამქრალიყო სიამის ნაპერწკალი:

„ო, სამშობლო, შენს ერთგულ შვილს,
მაგრამ მკრთალსა და უბედურს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ, ნუ დამდებ ბრალს წაუშლელს,
ნუ მომასმენ შენს საუკეთურს...“

იოსებ გრიშაშვილი

მაგრამ ეს დრო უკვე წარსულს მივაბარეთ. დროა, ის შიშისმომგვრელი დღეები, რომლებიც ჩემმა სამშობლომ გადაიტანა, დავივიწყოთ. დღევანდელი რეალობა სულ სხვაგვარია. დამაიმედებელი და რწმენის მომცემი. სეირნობის დროს, როცა ვხედავ, როგორი მონდომებით ასწორებენ მუშები გზებს, ან ღებავენ ძველ აივნებს, ვგრძნობ, როგორ მიცემს გული და აღვიძებს ჩემში ყველაზე ნაზ და სათუთ გრძნობებს სამშობლოსადმი; უზომო სიამაყის გრძნობა მეუფლება, როცა ვიგებ, რომ ყმაწვილებს ნებაყოფლობით სურთ სამშობლოს საზღვრების დაცვა, რომ ლონისძიებების მთელი რიგი იმართება, რათა მოახდინონ ძველი შენობების განახლება, ნანგრევების აღდგენა, თეატრების და კულტურის აღორძინება... მიხარია საქართველოს ევროპეიზაცია, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ძველი ტრადიციების და ადათების მიმართ სიფრთხილის გამოჩენა. ძალიან მეამაყება, რომ საქართველო, დღეს, სხვა ქვეყნების მსგავსად, საკმაოდ მყარ და მკაფიო პოზიციებს იკავებს საგარეო პოლიტიკაში. საქართველოს ყოველი ნაბიჯი წინსვლისკენ გადადგმული – ჩემი წინსვლაც არის, საქართველოს ყოველი გამარჯვება – ჩემი გამარჯვებაცაა. რწმენა საკუთარი სამშობლოსადმი, საერთო გამარჯვების საწინდარია. თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გაიაზროს, რომ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველოს შვილია და აგოს პასუხი თავის სამშობლოზე, რათა მოვესწროთ აყვავებულ საქართველოს. სამშობლო ხომ უმთავრესია ადამიანისათვის, ის ბედნიერების, სიყვარულისა და სითბოს წყაროა, ის შთააგონებს პატრიოტებს გმირული საქციელის ჩადენას. საქართველოსადმი სიყვარული შთანთქავს ჩემს სულში დანარჩენ ყველაფერს. საქართველო ძლიერ არის შერწყმული თავის შვილებთან, იმიტომაც თითქმის ჩემი ყველა განცდა და ემოცია საქართველოს უკავშირდება. საქართველოში, ვით მერცხლის ბუდეში ვიზრდებით, პიროვნებად ვყალიბდებით და სწორ გზაზე ედგებით. „ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!“ –

მე ვიმეორებ ოთველ განთიადს.
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,
ისიც სამშობლოს დროშად ანთია“.

იოსებ გრიშაშვილი.

ჩემი სამშობლო – მთათა ჯაჭვია, ღრმა ხეობები, რომლების ძირში მთის ბობოქარი მდინარეები მიისწრაფვიან, ალპური ველები, მარადიული თოვლის მწვერვალებია, ტყეები მთის კლდეებზე ამწვანებული ბარები ბალებით და ვენახებით, ზღვაა, რომლის ტალღები ხან წყნარი შრიალით მოალწევს ნაპირს, ხან ჟრიამულით და აბობოქრებული დაეჯახება კლდეებს. რომელ ერთ მხატვრის ნაფიქრს დაუხატია ასეთი სილამაზე. ვუყურებ სამშობლოს და ბუნების ნახელავი კი არა, არამედ ფერწერული ტილო მგონია. დაუვიწყარი პეიზაჟის პოეზია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიძველის პოეზია, ყველაზე სუფთა ჰაერის პოეზია, რომლითაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია სუნთქვა – სტუმართმოყვრული და მეგობრული ჰაერის პოეზიაა:

„მზეზე ჯეჯილის გაშრობას,
ლურჯი მდინარის გვერდით
და გაზაფხულის ლაშქრობას
ვხვდები გაშლილი მკერდით!“

კოლაუ ნადირაძე

საქართველოს თითოეული კუთხე გამოირჩევა თავისი ინდივიდუალურობით და თავისებური ბრწყინვალეებით და ეშხით კაზმავს ჩვენს ქვეყანას:

„იმერეთის მთები, მთები
გახვეულნი ფიქრში,
რიონი და ქუთაისი,
წეალტუბო და ჯვეში...“

ბ. ჟუთათელაძე

საქართველო დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს უცხოელზე ის მის სამშობლოსთან შედარებით სულ მცირე სივრცეს იკავებს მსოფლიო რუკაზე მაგრამ მისდამი უცხოელთა ლტოლვა უზომოა, განსაკუთრებით დედაქალაქისადმი:

„მე მამშვიდებს შენი გაზაფხულის ხილვა,
ამ მზის ოქროსფერი მოსდებია ქალაქს...
კვირის ლოცვები და შენზე სულის წირვა
არ მოაკლოს ღმერთმა ისანსა და კალას!“

ბ. ჟუთათელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი – საქართველოს იდუმალებით მოცული გულია, ჩვენი სიამაყის და ტრფობის სავანეა:

„ჩემი სოლოლაკი და
ჩემი ვერის უბანი...
რუსთაველზე ფერებით
მოყვანილი სტუმარი...“

ბ. ჟუთათელაძე

თბილისის ქუჩებში ხეტიალი არასოდეს მომბეზრდება, მისი ძველი და ახალი ნაგებობების ცქერით არ დაიღლება კაცი. ასეთია ჩემი სამშობლოს დედაქალაქი, რომელიც იზრდება და სრულქმნილდება, რომელიც მზად არის მომავალს გაუღოს კარი, მაგრამ ამავე დროს დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობა თავის წარსულს:

„მე ვენაცვალე შენს გმირულ აწუმოს,
შრომას და ბრძოლას — მას, რასაც ვხედავ,
და მხნედ შენ აგურს აგურზე აწყობ,
როგორი რწმენით მომავალს სჭედავ!“

კოლაუ ნადირაძე

საქართველოსადმი განსაკუთრებული სიყვარული მუდამ აერთიანებდა ხალხს არამცთუ ჭირში და დიდ უბედურებაში, არამედ ლხინშიც. და დღეს დადგა ჟამი, რომ ისევ გავერთიანდეთ, რომ გამოვამჟღავნოთ ჩვენი გრძნობები სამშობლოს საკეთილდღეოდ. დარწმუნებული ვარ ძალ-ღონეს არ დაეშურებთ, რომ საქართველო ერთიანი გახდეს.

მე ღრმად მჯერა ჩემი თაობის და საქართველოს ფეხზე დადგომის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამუნა ჯაღიაშვილი
მეშვიდეკლასელი
ხაშურის დ. ყიფიანის
სახელობის სკოლა-პანსიონი

იგავ-არაკები

ციყვისოლოის ძალა

ერთ უზარმაზარ მწვანე მინდორზე, მორიელის მეზობლად, პეპლები ცხოვრობდნენ. პეპლებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, უხაროდათ სიცოცხლე, ყველაფერს გულში იხუტებდნენ: ბალახს, ყვავილებს, ხეებს... და ყოველ საღამოს, სიყვარულით გაბრუებულნი, დიდი სიამოვნებით იძინებდნენ ხოლმე. მორიელს ძალიან შეშურდა მათი და ერთ ღამეს, როდესაც პეპლებს მშვიდად ეძინათ, თავისი შხამით დაგესლა ისინი, მაგრამ მეორე დღეს პეპლებმა უვნებლად გაიღვიძეს. მორიელს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა მათ:

– ჩემს შხამს როგორ გადაურჩით? მე თქვენ გუშინ დაგგესლეთ, როცა გეძინათ!

პეპლებმა სიცილით უპასუხეს:

– ჩვენ მთელი დღე სიყვარულით ვივსებით და სიყვარულით სავსენი ვბრუნდებით შინ.

– კი, მაგრამ, ეგ რა შუაშია? – ჰკითხა პეპლებს გაკვირვებულმა მორიელმა. მათ კი მიუგეს:

– სიყვარულს ვერანაირი შხამი ვერ დაამარცხებს.

– ადამიანები რომ ვერ უძლებენ ჩემს შხამს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეგ თვითონ ადამიანებს ჰკითხე, – უპასუხეს პეპლებმა და სიცილ–კისკისით გაეშურნენ ყვავილებისკენ.

ქვეყანაც ასეა მოწყობილი: იქ, სადაც სიყვარულია, მტერი ვერაფერს დააკლებს, სიძულვილი კი მტერს სიხარულით ავსებს.

ფესვები

ერთი ფრანგი სტუმრად ეწვია ქართველს ოჯახში. მშვენიერი სუფრა გაიშალა და კარგადაც მოილხინეს. ფრანგი აღფრთოვანდა ქართული ღვინით და მეორე დღეს გაკვირვებულმა ჰკითხა მასპინძელს:

– საინტერესოა, რატომ არის ქართული ღვინო ერთდროულად ასეთი სასიამოვნოც და ასეთი მათრობელაც?

მასპინძელმა დიდი სიამაყით უპასუხა:

– იმიტომ, რომ ქართული ვაზის ფესვები ერთდროულად გაჯერებულია, როგორც წინაპრების სისხლით, ასევე მათი სიმამაცით. სისხლი ათრობს, ხოლო სიმამაცე სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს, ამიტომაც არის ქართული ვაზი და ქართული ღვინო განთქმული მსოფლიოში.

ყოველი ადამიანი, თავს რითაც უნდა იწონებდეს, უპირველესად, ტრადიციებთან და წარსულის ფესვებთან არის დაკავშირებული.

ქვეყნის ფამხდენელი

ერთ დიდ სკაში უამრავი ფუტკარი ცხოვრობდა. ამ სკაში ბრძანებებს დედა ფუტკარი იძლეოდა, ხოლო მუშა ფუტკრები კი ნექტრისგან უგემრიელეს თაფლს ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადებდნენ. უსაქმურად მხოლოდ მამა ფუტკრები იყვნენ, ამიტომ მუშა ფუტკრებმა გადაწყვიტეს ამოეხოცათ ისინი. ასეც მოიქცნენ. ერთ დღესაც, ამ სანახაობით გაოგნებული კრაზანა მიფრინდა მათთან და დასცინა:

– თქვენ რა ფუტკრები ხართ, მხოლოდ ერთმანეთის დახოცვაზე ფიქრობთ, ხოლო საქმით კი არაფერს აკეთებთ?!

– ვისაც სიზარმაცე ურჩევნია შრომას, ის სჯობს მოკვდეს, რადგან თავისი სიცოცხლით უფრო წაახდენს, ვიდრე ვინმეს რამეს არგებს. ასეთი სიცოცხლე არც ახლა გამოადგება ვინმეს და ვერც მომავალში იტყვის სათქმელს. ამქვეყნად მოსვლა კი ნიშნავს იშრომო უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად, რომ ვალი მოიხადო ყველას წინაშე, – მიუგო დედა ფუტკარმა და სკაში შეძვრა.

საზღაური

სოფლის შუაგულში უზარმაზარი სახლი იყო აღმართული. ამ სახლში ცხოვრობდა სამი ძმა მამასთან ერთად. როცა მამამ იგრძნო სიკვდილის მოახლოება, დაიბარა შვილები და ჰკითხა, რას ინატრებდა თითოეული მათგანი. უფროსმა ძმამ სახლ-კარი ისურვა. მამამ გული არ დაწყვიტა და უსახსოვრა. შუათანა ძმამ მიწები მოითხოვა. მამამ მასაც აუხდინა ოცნება. უმცროსი ძმისთვის აღარაფერი დარჩა, ყველაფერი უფროსმა ძმებმა წაართვეს. მაშინ უმცროსმა ძმამ მოკრძალებით უთხრა მამას:

– ეზოს კუთხეში რომ თოხი აგდია, ის მომეცი. ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომით ლუკმა-პურის შოვნა არ გამიჭირდება, მე მეტი არაფერი მინდა. მამას მოეწონა შვილის ასეთი თავმდაბლობა და თავისი ცხოვრების ბოლო ჟამს გაამხილა ის დიდი საიდუმლო, რომელსაც ფრთხილად ინახავდა ამდენი წლის მანძილზე. მან ამოიღო ნატვრისთვალი, მისცა უმცროს შვილს და უთხრა:

– ყველაზე მცირედი მოითხოვე და ყველაზე მეტი მოგეზღო. შენ ცხოვრებას ყოველთვის შრომასა და გარჯაში ატარებდი, ბევრსაც წვალობდი, უფროსი ძმებისაგან ბევრი წყენა და უსიამოვნებაც მიგიღია, მაგრამ შენ ხმას არ იღებდი და უჩუმრად იყავი ყოველთვის. ახლა კი შენი ჯერიც დადგა. ამიერიდან იცხოვრე ბედნიერად. შენ ნათელი მომავალი დაიმსახურე. სახარებაში ნათქვამია: „ნეტარ არიან გლახაკნი...“ ქვეყანაზეც იგივე ითქმის.

მუხა და მატლი

ერთ სოფელს უზარმაზარი მუხის ხე ამშვენებდა. მუხას თავის სიცოცხლეში უამრავი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი, თუმცა მაინც ამაყად იდგა. ერთხელ მუხის პატარა ფუღუროში ერთმა დიდმა მატლმა დაიდო ბინა. წოვდა ის საკვებს ხის ზრდიდან, ხოლო შემდეგ კვერცხის დებაც დაიწყო. თანდათან მომრავლდა მატლი. მალე ფესვებსაც მიაშურეს და გამოწოვეს საკვები საბრალო მუხას. იგი მაინც ამაყად უმზერდა გარემოს, თითქოს რაღაცას ელოდა.

ერთ დღეს მართლაც გამოჩნდა მისი მხსნელი. ეს იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდალა, რომელმაც გაჭირვებით მოაცილა მუხას მატლი და იხსნა ის გახმობისგან. მუხა თანდათან მომჯობინდა და გაძლიერდა. მას შემდეგ მუხას უკვე აღარ ეშინია მატლის. მან იცის, რომ კოდალა გაჭირვებისას არ მიატოვებს და იხსნის მის ფესვებს წახდენისა და გახმობისაგან...

საქართველო გაბრწყინდება...

რძე და ნაღები

1937 წელი იდგა... საქართველოში დიდი გაჭირვება იყო. ხალხი რას აღარ აკეთებდა, თავი რომ გაეტანა. ერთმა ღარიბმა ქალმა ოჯახის რჩენა ერთადერთი სიმდიდრის – ძროხის მეშვეობით გადაწყვიტა. მან რძის გაყიდვა დაიწყო. რძე დუქნის მეპატრონეს მიჰყიდა. მეპატრონეს ძალიან მოეწონა რძე და გადაწყვიტა, ყოველთვის მისგან ეყიდა. ქალს დღითიდღე უკეთესი რძე მიჰქონდა.

ერთ დღეს მან ეშმაკურ ხერხს მიმართა: რძეს ნაღები მოხადა, უნაღებო რძე დუქნის მეპატრონეს მიჰყიდა, ხოლო ნაღებისაგან დამზადებული არაჟანი სხვა დუქანში ჩააბარა. მეპატრონეს რძე აღარ მოეწონა, მაგრამ ქალისთვის არაფერი უთქვამს. არც მეორე დღეს მოეწონა, კვლავ არაფერი უთხრა, მესამე დღეს კი ვეღარ მოითმინა და უსაყვედურა: – რძეს უნაღებოდ ფასი არ აქვს.

ქალი მიხვდა თავის დანაშაულს. იმ დღიდან მას რძისთვის ნაღები აღარ მოუხდია, ამიტომ მის რძეს კვლავ დიდი ფასი დაედო და ისევ დაიმკვიდრა საუკეთესო რძის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვარდუჰი ენგიბარიანი
მეშვიდეკლასელი
დილიფის სკოლა
ნინოწმინდა

თბილისი მხიარული ქალაქია

ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო – საქართველო. ის ძალიან ლამაზია. თბილისში არის ბევრი ლამაზი ტაძარი, ხოლო ჩვენს მშვენიერ მხარეში – მესხეთში არის ზარზმა და ოშკი, რომელსაც ანა კალანდაძემ მიუძღვნა ლექსი: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართველო ცაო. შენი დიდების მომღერალია ოშკი და ზარზმა, ბებერი ტაო“. საქართველო, ჩემი სამშობლო, ძალიან ლამაზია გაზაფხულზე, იმიტომ, რომ ირგვლივ მწვანდება მინდვრები, ბაღები, ეზოები, ხეები, ლამაზ-ლამაზი ყვავილები ყვავის.

ვცხოვრობ დილიფში. ძალიან მინდა თბილისში ჩამოსვლა. თბილისი მხიარული და ძალიან კარგი ქალაქია. ქართულ ენას მე ახლა ვსწავლობ. ჯერ სუსტად ვიცი, მაგრამ მალე უკეთესად მეცოდინება, რომ მცოდნოდა, ქართული ენა ასე საინტერესოა, უფრო ადრე ვისწავლიდი. ალექსანდრე გრიბოედოვს ძალიან უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. აღტაცებული იყო მთაწმინდით. მისმა ულამაზესმა ცოლმა ნინო ჭავჭავაძემ შეასრულა ქმრის სურვილი და დაკრძალა მთაწმინდაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ნადირაშვილი
მესამეკლასელი
თელავის მე-2 სკოლა

ნაცვლად

ეზე ამოვა და თავის ოქროსფერ სხივებს მიმოაფრქვევს მიდამოს. ყველას ულიმის, ულოცავს ახალი დღის დადგომას. მე ღრმად ჩავისუნთქავ სუფთა ჰაერს, სახეს მივუშვერ, სასიამოვნო სითბოს შევიგრძნობ. თვალებს ვხუჭავ და ოცნებას ვიწყებ: ნეტა, მე ვიყო მზეო, შენს ადგილას! მოვეფერებოდი ჩემი სამშობლოს ყველა კუთხეს, არ გამოვტოვებდი არც ერთ მთას, ტყეს, მდინარესა თუ ნაკადულს. თითოეულ ლამაზ ყვავილს დავუკოცნიდი ფესვებს, რითაც ჩემი საქართველოს მიწას ეკვრის, ყველა ნაკადულთან ვითამაშებდი, მდინარეში თევზებს გავახარებდი, ტყეში ცხოველსა თუ ფრინველს გავუთბობდი სულს, რათა ლაღად გამრავლებულიყვნენ და დაემშვენებინათ ჩემი მიწა-წყალი თავისი არსებობით.

ნეტა, ჯადოსნური მალამო ვიყო, ყველა შენს ტკივილს ზედ დავედებოდი და მოვაშუშებდი ჩემო ტკბილო საქართველო!

მინდა, ხასხასა ზურმუხტისფერი ბალახი ვიყო, რომ შენი მიწის თითოეულ გოჯს ვეკვროდე და ვგრძნობდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს სითბოს, ან ყვავილი ვიყო, რომ დაგამშვენო, თუ-ნდაც ამაყად მდგომი ხე, მშვენება ბუნებისა!

ნეტა, მგალობელი ფრინველი ვიყო, რათა მუდამ სა-სიამოვნო გალობით გატკბობდე!

მინდა ნიავი ვიყო, რომ ნაზად გეფერო და გეალე-რსო, ჩემო ტკბილო და მშვენიერო საქართველო!...

მზემ თბილი ისრების მაგივრად ახლა ცხელი ისრე-ბი გამოგზავნა. დამცხა, გამოვერკვიე ფიქრებიდან. ჩემი სამუშაო მაგიდაც კარგად განათებულა, გადაშლილი წი-გნიც კი გამთბარა. უცებ რალაცას მივხვდი, მზეს შევ-ხედე, გავულიმე, მზეს ჭარბად „მოუვიდა“ ღიმილი – სა-შინლად დამაცხუნა. მე მივხვდი, რომ მზედ გადაქცევ-აზე კი არ უნდა ვიოცნებო, არამედ კარგად უნდა ვი-სწავლო, რომ ჩემი სამშობლო ვასახელო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილენა პაპიკიანი
მეთერთმეტეკლასელი
რუსთავის მე-3
რუსული სკოლა

მზენილ-მიწყვილოთა ჯიშანა

„საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის...“

გრიგოლ ორბელიანმა ალბათ ყველაზე უკეთ მოახერხა ამ სტრიქონებით მოკლედ ეთქვა სათქმელი საქართველოზე, ჩემს უმშვენიერეს ქვეყანაზე, რომლის მსგავსი დედამიწაზე არ არის.

მე ხშირად ვფიქრობ იმ ქვეყანაზე, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი, ეს არის საქართველო.

დავდიოდი ქართულ ბაღში. იქ ვისწავლე ქართული ლექსები, შევისწავლე ქართული ენა. სწორედ იქ შემიყვარდა ქართული და ქართველი ხალხი. არცერთ ქვეყანაში არ არის იმდენი სითბო, რამდენიც საქართველოში. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და მისგან არის დალოცვილი. იგი, მართალია, პატარაა, მაგრამ ცნობილია თავისი ბუნებით, ისტორიული მხარეებით, ბრწყინვალე ძეგლებით.

საქართველოს ძალიან ბევრმა ცნობილმა პოეტმა მიუძღვნა ლექსები და პოემები.

ჩვენი ქვეყანა წელიწადის ყველა დროს სასიამოვნო სანახავია. იგი მდიდარია და განთქმული თავისი ციტრუსებით, ხილის ბაღებით, ვენახებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიწის მშრომელთა, მხვნელ-მთესველთა ქვეყანაა საქართველო.

ოდითგან ქართველი კაცი ცალ ხელში ხმლით მტერს ებრძოდა და ცალ ხელში გუთნით მიწას ეფერებოდა, უვლიდა მამულ-დედულს, ამრავლებდა ხარს და ძროხას, ზრდიდა შვილებს და წერდა, აშენებდა, მღეროდა, ცეკვავდა... დიახ, უძველესი ქართველი ერი ოდითგან უმშვენიერეს კულტურას, ლიტერატურას, მეცნიერებას ქმნიდა.

უკანასკნელ წლებში უდიდესი ტრაგედიების გადატანა მოუხდა ჩემს საქართველოს. სამოქალაქო ომებმა და ეთნოკონფლიქტებმა შეარყია მისი ჯანსაღი და ძლიერი სხეული, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საქართველო შეძლებს ფეხზე წამოდგომას და მხრების გაშლას.

ახლა ქვეყანას ახალი მთავრობა ჰყავს, რომელიც ქვეყნის აღმავლობას გეპირდება, ნეტავ, ასე იყოს! აღმავლობაში კი ჩვენც უნდა შევიტანოთ წვლილი შრომით, სწავლით, სიყვარულით, ერთგულებით და მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება, მთელი ხმით, გამართულად ვიმღეროთ საქართველოს ჰიმნი:

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე - მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა...“

დიახ, მართლაც ღმერთთან წილნაყარია ჩემი სამშობლო, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის მშობელი ქვეყანა.

ძალიან მიჭირს სიტყვების მოძებნა, რათა გამოვხატო ჩემი დიდი სიყვარული და უდიდესი პატივისცემა ამ საოცარი ქვეყნისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსო ლომიძე
მეექვსეკლასელი
ხაშურის დ. ყიფიანის
სახ. სკოლა-პანსიონი

ნოსტალგია

საქართველოდან გადახვეწილი მილიონერი გიორგი ამერიკაში ცხოვრობს. გიორგის ერთხელ წვეულება ჰქონდა. სტუმრები ჰყავდა, სუფრა ქართული წესით მიმდინარეობდა: სადღეგრძელოები, დალოცვა, სურვილები. ნატვრის სადღეგრძელოც დაილია. ზოგმა ბევრი ფული ინატრა, ზოგმა – სასახლე. ბოლოს მასპინძლის ჯერი დადგა. ყველას აინტერესებდა, რას იტყოდა. მასპინძელი უხმოდ წამოდგა სუფრიდან, უჯრიდან ალბომი ამოიღო, იქ ერთი სურათი მოძებნა და მაგიდაზე დადო.

– აი, რაზე ვოცნებობ! – თქვა მან.

სტუმრებმა დახედეს, გაეცინათ.

– მთებზე ოცნებობ? მერედა რა გიშლის ხელს? თხილამურები მოგენატრა ეტყობა, მთის ჰაერი, გართობა.

– მე საქართველოს მთებზე ვოცნებობ!

– განა ჩვენთან ცუდად გრძნობ თავს? – გაოცდნენ სტუმრები.

– იქ ჩემი ფესვებია, იქ მარხია მამაჩემი, ბაბუაჩემი და საერთოდ, ჩემი წინაპრები.

– აქაც ხომ გყავს ქართველი მეგობრები? ოჯახში ქართულად საუბრობთ, ქართული მიწაც ჯიბით დაგაქვს, ასე რატომ განიცდი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– ჩემი ხალხი მეძახის, – თქვა გიორგიმ და ხმა გაებზარა.

– შენ ხომ აქ გაიდგი ფესვები. შენი სიკვდილის შემდეგ შენი შვილები გააგრძელებენ აქ ცხოვრებას. უკვე შექმენი პატარა ქართული სამყარო ამ უცხო მიწაზე.

– ჩემი ქართული სამყარო საქართველოშია. „სამშობლოს კი სანდლის ძირებით ვერსად წაიღებ“ – მოიშველია გიორგიმ სოკრატეს სიტყვები და სავარძელში ჩაეშვა. ჩემი შვილები ჩემს შეცდომას გამოასწორებენ. ისინი მომავალ საქართველოში იცხოვრებენ. ეს არის ჩემი ერთადერთი იმედი, ეს მასულდგმულებს.

– მაინც რა შეცდომა გაქვს ასეთი ჩადენილი, რა შეცდომაზე ლაპარაკობ? –

ჰკითხა ერთ-ერთმა იქაურმა მეგობარმა.

– ფულის შოვნამ ისე გამიტაცა, საქართველო არც კი გამხსენებია.

ახლა, როცა ყველაფერი მაქვს, სიცარიელის გრძნობა მეუფლება. ყველაზე მთავარი მაკლია – სამშობლო. იცით, რა მასწავლეს, სკოლაში რომ დავდიოდი?

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა“.

მაშინ ეს სიტყვები კარგად რომ გამეაზრებინა, იქნებ დღეს აქ არც ვყოფილიყავი.

ყველა ჩაფიქრდა. აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანის ფესვები სადღაც, სხვა ქვეყანაში, ამერიკიდან შორს იყო. მათაც ახლა აღმოაჩინეს ის რაღაც უცნაური გრძნობა, რომელიც მათ სულში ბუდობდა, მაგრამ ვერ გრძნობდნენ. ზოგიერთმა სიტყვა „ნოსტალგია“ იმ დღეს, სუფრასთან, გიორგისგან გაიგო პირველად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ჯაფარიძე
მეცხრეკლასელი
თბილისის 109-ე
სომხურ-რუსული სკოლა

მე ცხოვ ერის შვილი ვარ

**„ჩემი სამშობლო ქვეყანა
რა ლამაზია, რა კარგი,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი
ნაირფერებით ნაქარგი!“**

ლადო ასათიანი

ამ ლამაზი სიტყვების ავტორმა კარგად იცოდა იმ ქვეყნის ფასი, სადაც დაიბადა და იცხოვრა, შექმნა პოეზიის შესანიშნავი ნიმუშები. ყველა მწერალი და შემოქმედი ბედნიერია, რადგან იცის, როგორ უნდა შეასხას ხოტბა სათაყვანებელ ხატს-სამშობლოს.

ჩემი სურვილიც მხოლოდ ერთია, წარმოვთქვა უკვე მრავალჯერ ნათქვამი და გულის სიღრმეში ხშირად გამეორებული სიტყვები: „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“.

ეს ქვეყანა ხომ საქართველოა, ჩემი სამშობლო, ის მიწა-წყალი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ვეზიარე ქართულ ენას, ქართულ ისტორიასა და კულტურას.

მე სხვა ერის შვილი ვარ, განსხვავებული სარწმუნოებისა და ტრადიციების, მაგრამ ეს ქვეყანა ჩემი ნაწილია, ყოველთვის მტკივა მისი ტკივილი, მისი სიხარული კი ჩემი სიხარულია, მის მომავალზე ზრუნვაც ჩემი თაობის საზრუნავია.

მე დიდი ხანია გავითავისე ის, რომ საქართველო ულამა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზესია, მიუხედავად მისი ტანჯული წარსულისა; „ქართლის ცხოვრების“ თითოეული სტრიქონი სისხლითა და ცრემლითაა ნაწერი. ის ხომ ლეგენდარულიცაა. პრომეთეს კლდეც და კოლხეთიც-საქართველოა. საქართველოს მადლიანი მიწა-წყალი ისევე უხვად წარმოშობს ლეგენდებსა და თქმულებებს, როგორც თავთუხსა და ხილს.

ევროპისა და აზიის მიჯნაზე, მსოფლიოს საკაჭრო გზების შესაყარზე, სამყაროების, კულტურებისა და სარწმუნოებების გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ანდამატივით იზიდავდა ნაირ-ნაირი ჯურის დამპყრობელს. საუკუნიდან საუკუნემდე მოგორავდა საქართველოზე შემოსევების ტალღა და ტოვებდა ნანგრევებს, მაგრამ რჩებოდა გაუტეხელი, ცოცხალი სული ხალხისა, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა თავი მომავლისათვის.

მრავალჯერ წაბილწა მტერმა ამ ქვეყნის მიწა-წყალი, მაგრამ ეროვნული სული ვერ ჩაკლა, აქ მცხოვრებ ადამიანებს ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი ჰუმანურობა, პატიების გრძნობა, სტუმართმოყვარეობა. მოძალადე ურდოების სისასტიკემ თითქოს უფრო მეტად ასწავლა ტანჯულ ხალხს მეგობრობა, გამტანობა, თავდადება.

ჩემი სამშობლო ფართოდ ღებდა და ღებს გულის კარს სხვადასხვა ერის შვილებს, პატივს სცემს მათ ენას, ისტორიას, კულტურას და ამასვე მოითხოვს მათგან თავისი ენისა და კულტურის მიმართ.

ბოლო წლებმა დაგვანახა, რაოდენ სწრაფად იცვლება ჩემს სამშობლოში ცხოვრების რიტმი.

ქვეყანას განსხვავებული აზროვნებისა და განათლების ადამიანები სჭირდება, რადგან XXI საუკუნემ სხვანაირად დაგვანახა მომავალი.

რა თქმა უნდა, წარსულის დავიწყება შეუძლებელია. პირიქით, ჩემი მამულის ისტორია ის საძირკველია, რომელზეც ახალი, თანამედროვე, ცივილიზებული ქვეყანა უნდა ავაშენოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მახარე მერეშაშვილი
მეათეკლასელი
რუსთავის მე-4 სკოლა

ეძახიან...

ყვავილების ფერხულით მოდიოდა გაზაფხული. თოვლი ლხვებოდა ხევსურეთის მთებზე, მზე ხარბად ჰფენდა არემარეს ოქროსფერ სხივებს; თითქოს უნდოდა დაენახვებინა მუცოს ხედი. გული შესტკიოდა მიტოვებულ, დანგრეულ და განადგურების პირას მყოფ სოფელზე. მიწას გაზაფხულის საამო ოხშივარი ასდიოდა. მზის სხივებში იყო სოფელი ჩაყუჩებული. ცხოველდებოდა ნაზამთრალი მიწის სიზმარი.

სოფელს მხოლოდ სამი ოჯახიღა შემორჩენოდა. მხოლოდ მათი კერიდან ამოდიოდა ღამღამობით კვამლი. სოფელი დაცარიელდა...

სოფლის თავკაცი, ხევისბერი შერე ბებურაული ამბობდა: სამწუხაროა, შვილებო, სამწუხაროა! სხვაგან ამაყობენ ხევსურეთით, მაგრამ სადღაა ხევსურეთი?

მეზობელ სოფელში ხმა იყო გავარდნილი შერეს მამაცობაზე, მის ბუმბერაზ აგებულებასა და ვაჟკაცობაზე, თუმცა ეს დიდი ხნის წინ იყო, ახლა კი დრომ თავისი გაიტანა და შერეც ჟამთა ცვლისგან წელში გატეხილიყო. მეზობლები ამბობდნენ: საცოდაობაა ამისთანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაუკაცის დაბერება, მაგისთანები სულ უნდა ცოცხლობდნენო. მართლაც მის გოლიათურ ტანს სხეულის თითოეული ნაწილი ისეთი თანასწორობით ჰქონდა ნაქანდაკები, რომ მნახველს საგანგებოდ ჩამოსხმული ეგონებოდა. მრისხანე და გაბურძგნილი წარბები ლამაზად გამოკვეთოდა მაღალ შუბლზე, თვალებიც ასეთივე მრისხანე და დიდრონი ჰქონდა. ერთი სიტყვით, რომ შეგეხედათ, მიხვდებოდით, რომ ხევსური იყო.

თვითონ შერესაც უჭირდა ხევსურეთში ცხოვრება, მაგრამ არამც და არამც არ გაჰყვა ბარში თავის მოძმეებს. იტყოდა ხოლმე: აქ დავიბადე და თუ ხევსურეთის მიწა არ მომაყარეს, აბა, ისე რისთვის მიცხოვრიაო.

ახლა კი სახლში ვეწვიოთ ხევისბერს. ისეთი სახლი არ ჰქონდა, როგორც მას შეეფერებოდა, თუმცა თვითონ კმაყოფილი იყო და ამბობდა: მარტოხელას მეტი რად მინდა, ღამეს ხომ ვათევ და სასახლეზე არც არასოდეს მიოცნებიაო. მოხუცს ღარიბულად მოწყობილი ხევსურული კოშკი ედგა. შიგ იყო მაგიდა, კიდობანი, ორიოდე სკამი, კედელზე ხალიჩა, ხოლო ხალიჩაზე კი ირიმი, სურათი და ხევსურული ხანჯალი, კიდევ ორი საწოლი. ეტყობოდა, მასთან ერთად ვიღაც ცხოვრობდა.

შერეს ცოლი ადრე მოუკვდა. ოჯახზე ზრუნვა თვითონ იკისრა და მცირეწლოვანი შვილი, დათო, თვითონ აღზარდა. თავს კი, როგორც ყველა ხევსური, ნადირობით ირჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოხუცი იყო და მკლავიც ისე აღარ ერჩოდა, ხევსურეთის კლდეებისკენ მიუწევდა სანადიროდ გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდა. მზემ უხვად დააფრქვია მცხუნვარე სხივები და სალ კლდეებს ოქროს ვარაყი შემოავლო. შერე ნელა შეუყვა მთის კალთებს და რაც უფრო მაღლა მიდიოდა, საამებელი სურნელი და მაცოცხლებელი ნიავი გუნდრუკს უკმევდა. კლდის წვერზე ჯიხვების ჯოგი შენიშნა. მოხუცს ახალგაზრდობა გაახსენდა. ჯიხვებს ისეთი ადგილი ამოერჩიათ, სადაც ადამიანი ფეხს ვერ მოიკიდებდა. შერეს შორიდან უნდა ესროლა. დიდხანს უმიზნებდა მოხუცი, ისროლა კიდეც, მაგრამ ასცდა... დენთის ბოლი ჯერ კიდევ კლდეზე შემორჩენილ თოვლზე გაირთხა. ჯიხვები დაფრთხნენ...

ჩამობნელდა. ამომავალ მთვარეს დამშეული მგლები შეჰყმუოდნენ. მოხუცმა ვერაფერი მოკლა. – საცაა მგლების ფარა აიშლება, თუ მთაში დავრჩი, ცოცხალი ვერ გავასწრებ, – ფიქრობდა მოხუცი. გულში ლოცვა დაიწყო და თან ხმელ პურს ჭამდა. არ უნდოდა სახლში კვლავ ხელცარიელი დაბრუნება. ღმერთმა გადმოხედა და უცებ ხევის თავზე ჯიხვი გამოვარდა. შერემ თოფი მოიხსნა და დაუმიზნა, თუმცა შებინდებული იყო, ჯიხვი მოკლა. მოხუცმა ღმერთი ადიდა, ნადავლი მოიკიდა და სოფლისაკენ გზას დაადგა. გათენებისას უკვე სოფელთან იყო მისული, ფერდობებიდან გადმოხედა მიტოვებულ სოფელს. სახლის სახურავები ისე მოჩანდა, როგორც ბუდეში კვერცხები.

მთვარეს გაუთენდა შუა ცაზე. მზემ თავი ამოყო და ვარდისფერად დასერა აღმოსავლეთი. ღამის ბურანიდან იკვეთებოდნენ კლდეები. სოფელი ფუტკრის სკასავით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახმაურდა. მოხუცი შეჩერდა, თვალთ ცრემლი მოადგა და გაახსენდა ბავშვობა. დიდი ხანი იყო სოფელი ასეთი არ ენახა. სოფელში ჩამოსულ მოხუცს თავისი შვილი დახვდა მეგობრებითურთ. დათოს ამხანაგები წამოეყვანა ხევსურეთში საქეიფოდ. შერეს ძალიან გაუხარდა შვილის დანახვა. გადაეხვია, მოიკითხა და სტუმრები სახლში მიიპატიჟა.

დიდი ხანი იყო, რაც დავითი თბილისში ცხოვრობდა. შერე სულ იმას ჩიოდა, რომ დათოს ხევსურეთში ცხოვრება არ უნდოდა.

დათო ჯიხვის გატყავებას შეუდგა. მეგობრები მოეხმარნენ და სულ ცოტა ხანში ჯიხვის მწვადები შიშხინებდა ნაკვერჩხალზე. გაიშალა დიდებული სუფრა. ამხანაგებმა მოილხინეს. თამადამ სადღეგრძელოების კორიანტელი დაატრიალა. პირველად სახლის კერა დალოცა:

– ამ ყანწით, ჩემო მეგობრებო, აი, ამ დედაბოძს გაუმარჯოს, ამ ქვაღორღიან ხევსურეთს გაუმარჯოს, რომლის სიყვარულმაც დღეს აქ მოგვიყვანა.

– ძია შერეს გაუმარჯოს, ამ კერას რომ არ აციებს და ინახავს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

ამასობაში შებინდდა, იდუმალი ბაგეებით აჩურჩულდა ამომავალი მთვარე. ცაზე ვარსკვლავებმაც ამოყვეს თავი, თუმცა ალაგ-ალაგ. კარგად შემთვრალი ბიჭები გარეთ გამოვიდნენ, უკვე შუაღამე იყო. ციდან სავსე მთვარე ლამაზად იმზირებოდა.

– კარგია ხევსურეთი, კიდევ ამოვალთ, – ძლივს ჩაილუღლუღა გივიმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– როდის მიდიხართ, შვილებო? – იკითხა შერემ.

– ხვალე, მამა, ხვალე, – მიუგო მოხუცს დავითმა.

ირიჟრაჟა... მზემ ალმაცერად გადახედა სოფელს. ნაბახუსევი ბიჭები წასასვლელად გაემზადნენ... დილა გადასული იყო... დიდხანს, დიდხანს იდგა მოხუცი შარაზე და გაჰყურებდა შორს მიმავალთ. სიმღერით მიუყვებოდნენ მეგობრები საცალფეხო ბილიკებს, მხოლოდ დათო მიიზლაზნებოდა უღიმღამოდ... სული და გული რჩებოდა, იქ, მამასთან. მუხლები ეკვეთებოდა... ყელში ბურთი ეჩრებოდა... თვალზე მომდგარი კურცხალი ცხელ გულს ეწვეთებოდა... ყურში მამის გაბზარული ხმა ესმოდა: – ეჰ, მარტო უნდა მოვკვდე, მარტო...

დათო ერთ წამს შეჩერდა – ამღვრეული თვალები მიმოაელო... გრძნობდა, რომ რაღაცას კარგავდა... ერთბაშად შემოტრიალდა... მოიაზრა და საცალფეხო ბილიკს აუყვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიანა ჩოფურიანი
მერვეკლასელი
დილიფის სკოლა
ნინოწმინდა

„ჩემი ხალიან ხამშობლო, ხახალი მთიელი ჭიოსნა"...

ჩემი სამშობლო საქართველოა, ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანა, გადაჭიმული ალმოსავლეთიდან-დასავლეთისაკენ, შავი ზღვიდან - კასპიის ზღვამდე. მაღალი მთებით, მდინარეებით, მინდვრებით.

მიყვარს ჩემი საქართველო, მისი წარსულითა და აწმყოთი, მიყვარს მისი ყოველი კუთხე და ყოველი კუნჭული, ყოველი გოჯი მიწა აქ სისხლითაა მორწყული.

ჟამთა რისხვას, მტრისგან შემუსვრას გაუძლო ქართველმა ხალხმა.

„ვადავხედავ ჟამთააღმწერელს
ამოვარდება წიგნში ხანძარი
ცოცხალ ფურცლებზე აკვანი იწვის
და წინაპარი მკერდში დაჭრილი".

საქართველოს დედაქალაქია თბილისი, რომელიც მე-5 საუკუნეში დაარსა ვახტანგ გორგასალმა. საქართველო მდიდარია კურორტებით, მდიდარია ხალხით, აქ უამრავი ეროვნების ხალხი მეგობრულად და ძმურად ცხოვრობს საუკუნეების მანძილზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველია ქართული დამწერლობაც, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები მე-5 საუკუნისაა. იგი დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. ეს არის „შუშანიკის წამება“, დაწერილი იაკობ ცურტაველის მიერ.

ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლია – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მე-12 საუკუნეშია დაწერილი. ათი – თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს ისეთ არქიტექტურულ ძეგლებს, როგორიცაა სვეტიცხოველი, ჯვარი, გელათი, ვარძია.

ულამაზესი ვარძია დიდი თამარის ძალებით და ლოცვითაა აგებული.

იხარე და იბედნიერე, ჩემო საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქსანა ვართაპეტოვა
მეათეკლასელი
რუსთაველის მე-3
რუსული სკოლა

მომავლით ვცხოვრობ

ევთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, რომელსაც გადაშენება არ უწერია, ჩემი საქართველო ჰქვია.

დავიბადე და გავიზარდე საქართველოში. ფესვებით მივეჯაჭვე მის მიწა-წყალს, შევეთვისე და შევესისხლხორცე მის ბუნებას, ხალხსა და კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნებით სომეხი ვარ, ჩემს სამშობლოს საქართველოს არცერთ ქვეყანაზე არ გავცვლი.

მართალია, არც თუ ისე ბედნიერი ცხოვრება გვაქვს, მაგრამ მომავლის უნდა გვჯეროდეს. ხალხი სულ იმას გაიძახის: ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, მომავალი არ აქვსო, მაგრამ ასე ვერაფერს მივაღწევთ. ხალხი უნდა გაერთიანდეს, ერთად ყველაფერს მივაღწევთ.

მე მგონი, ყველას მხოლოდ ერთი სურვილი გვაქვს – დავიბრუნოთ აფხაზეთი. დარწმუნებული ვარ გაერთიანებული ძალებით, ყველაფერს მივაღწევთ, მით უმეტეს, რომ ძალიან ბევრი ქვეყანა გვიჭერს მხარს.

პირადად მე, ძალიან დიდი იმედი მაქვს მომავლის და ჩვენი პრეზიდენტის. ასე ვიტყოდი, რომ მომავლით და იმედით ვცხოვრობ. ჩემს სათქმელს კი ასე დავამთავრებ;

„ასეთი ლამაზი და გულში ჩასახუტებელია ჩემი საქართველო“, რომელიც მტრისთვისაც კი საამური ქვეყანაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გვანცა ხერაბია
მეთერთმეტეკლასელი
ფოთის მე-12 სკოლა

მეთ შოსრიხვვ ვოეხვხი შვმხვე...

ალამოს, როცა გცივა და ლოგინში იკუნტები, ცდილობ რაიმე თბილზე იფიქრო, გახსენდება ყველაფერი, რაც გიყვარს, რასაც ჩაეხუტები და გაგათბობს, მაგრამ ახლა ისინი შენთან არ არიან და იძულებული ხარ, უფრო მოიკუნტო. დილით კი, გაღვიძებული და საბნის ქვეშ გატრუნული, მომავალ გეგმებზე ფიქრობ. გახსენდება, რომ აქედან შორს აპირებ წასვლას, რომ მიდიხარ... მაშინ ყველაფერი, სულ მცირე დეტალიც კი უზომოდ თბილად გახსენდება და გრძნობ, როგორ გიყვარს აქაურობა, სულ პატარა რამეც კი... მერე რაღაც უხილავი მოდის, გეხუტება და გათბობს... ეს სამშობლოა.

ეს განცდები ჩემში წინა დღემ, 23 ნოემბერმა აღძრა, სწორედ გიორგობა ღამეს ებორგავდი, ვერ ვისვენებდი, იმ დღეს რაღაც ახალი, უცნაური მოხდა ჩემს თვალწინ. ვიდექი ქუჩაში. წვიმა, ქარი, ნისლი, შიში, მონდომება... ჩემთვის ეს არ იყო არც გართობა, არც მომხრე-მოწინააღმდეგედ დადგმული, შეკვეთილი სპექტაკლი. ჩემთვის ეს იყო ერთობის პირველი განცდა. ჩვენ, ქართვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელები, არასოდეს ვივიწყებთ იმას, რომ იბერია გაბრწ-
ყინდება... ჩვენ ამის გვჯერა...

ცივი ქარი გვებრძოდა. მეგონა, ყველაფერი ცივი იქ-
ნებოდა. სამების ტაძრის გარშემო შეგროვილი მრავალი
ადამიანი იდგა კედელთან ატუზული, მომღიმარი სახით...
სითბო ვიგრძენი. აი, აქ! გულთან ახლოს...

წამიც და ირგვლივ ყველაფერი გასხივოსნდა, მომღ-
იმარი სახეებიდან გადმოღვრილმა სითბომ ცივი ქარიც
გაათბო და სახისამლეწავი სუსხის ნაცვლად მისი თბი-
ური ხელები მელამუნებოდნენ აფორიაქებულ გულზე.

შინ მოვედი, ჩამოვჯექი აღელვებული და ემოციების-
გან დაცლილს, გონებაში ერთი ჩინელის ნათქვამი ამო-
მიტივტივდა; „როცა მე ვერ გამოვთქვამ იმას, რასაც
ვგრძნობ, ვიღებ ფანქარს და ვხედავ...“

მე კი ავიღე კალამი, მივუჯექი მაგიდას და წერამ
გამიტაცა.

ჩემს თვალწინ მომხდარმა ამბავმა, ჩემი საქართველ-
ოს ლამაზი აწმყო ისე მომანდომა, რომ მისი წარსული
გამახსენა, რომ მერე მომავალზე მეოცნება. ეს სამი
დრო ხომ უერთმანეთოდ არ არსებობს, ამ ერთ მუჭა ერს
წარსულიც ისეთი გვქონდა, რომ არამც და არამც და-
ვიწყება არ შეიძლება. აკაკის სიტყვები გამახსენდა: „აწ-
მყო წარსულს უნდა ეთანხმებოდეს და ორივე ერთად
კი მომავლისაკენ უნდა მიიწევდეს“ და გული ამიძგერ-
და, ისე ღრმად დავრწმუნდი მის ჭეშმარიტებაში. თით-
ქოს ილიამაც სწორედ ამ დღისთვის შემოგვლაღადა ეს
სიტყვები: „მეტად ამაღლებელი და სათუთი გრძნობაა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინაპართადმი მოკრძალება და პატივისცემა.

განკაცების გზაზე შემდგარი ადამიანი ერის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს... თავის ხატსა და მაგალითს. მეორის მხრივ, კაცის გათახსირება, გაწყალება იქედან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას იეიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა. ასეთმა კაცმა არ იცის, რომ ისტორია დიდებული ტაძარია, სადაც უწირავს ერთიან, სულსა კაცისასა".

მე არ მინდა დავივიწყო ილიას სიტყვები, არ მინდა მივიწყებას მივცე წარსული, სადაც გვყოლია ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი... დავითი, თამარი, ქეთევანი, ცოტნე და ვინ იცის კიდევ რამდენი გმირი.

განა შეიძლება სვეტიცხოვლის, გრემის, იყალთოს, ოშკის, ზარზმის დავიწყება? განა შეიძლება დავივიწყო მამლუქების წარსული? არ შეიძლება მოგონებების მორევიდან არ ამოტივტივდეს ისტორია იმ წინაპრებისა, რომლებსაც ყიდნენ, კლავდნენ, ანადგურებდნენ, მაგრამ მაინც მოაღწიეს დღემდე.

რამ შეგვინახა ეს ერთი მუჭა ხალხი ორიათას წელიწადს ამდენ დაუძინებელ მტერს შორის, როგორ შეგვარჩინა უცხო თემთა სიხარბემ მშვენიერი წალკოტი, რომელსაც საქართველოს ეძახიან.

პასუხი ერთია – სიყვარულმა.

ჩვენს ერს ათასობით წელიწადი უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარსულის მაგარი ქვა კი ქართველი კაცის კაცთმოყვარეობაა, მისი უსაზღვრო გულია სითბოთი და ერთგულებით ალსავსე. ჩვენი ერის ამ დადებით თვისებებზე ხმამაღლა და თამამად საუბრის უფლებას ვაძლევ ჩემს თავს. არ დავიწყებ საქართველოს ისტორიის გაყვითლებული ფურცლების ქექვას, არც სხვისი მონათხრობის მოყოლას და არც სხვაგან წაკითხულის წერას. დავწერ იმას, რაც საკუთარმა მამამ მიამბო, მისი მხილველიც ის იყო და სულ ახლო წარსულში მომხდარი ამბით დავამტკიცებ, რომ ერი, რომელსაც ასეთი სიყვარული შეუძლია, არ გადაშენდება.

„აფხაზეთი, ქალაქი სოხუმი... იყო ორი მეგობარი, რომელთაც უერთმანეთოდ ყოფნა არ შეეძლოთ. ჰყავდათ საერთო მეგობრები, საერთო ახლობლები. დროსტარება, ქეიფი, ჭირი და ლხინიც საერთო ჰქონდათ.

დაცოლშვილდნენ...

მეგობრობა კიდევ უფრო გამყარდა, გაღრმავდა.

სიყვარული სულიერია. ერთხანს მაინც უნდა იყოთ ერთად, რომ სულში ჩახედოთ ერთმანეთს, მისი რაღაც-რაღაცეები შენი სიცოცხლისათვის აუცილებელი რომ ხდება, მაშინ დაერქმევა ამ ურთიერთობას სიყვარული. შამბასა და შარტავას ურთიერთობას კი ნამდვილად სიყვარული ერქვა, რომელსაც სატანაც კი ვერ შეურყევდა ფესვებს.

ღობალი ყველა საქმეშია. ალბათ, ესეც ღობალი იყო.

მათ გადაწყვიტეს ახალ წელს ერთად შეხვედროდნენ. არყით აღგზნებული კაცის გონებაში ბინდი ისად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურებს, მისი ენა სიმახინჯისა და დაუნდობლობის ენაა. ღვინით აღგზნებული კაცის გონებაში ნათელი დგება, მისი ენა სილამაზისა და სიყვარულის ენაა. არაყი მსჯავრია, ღვინო-მიტევება...

ისინიც ღვინის ბახუსს აჰყოლოდნენ და ქართული ენაწყლიანობით კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს გულწრფელი ერთგულება და მეგობრობა ერთმანეთს. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

1992 წელი... ავტომატებისა და ყუმბარების შემზარავი ხმა... დაიცალა ოჯახები... ლტოლვილებად იქცნენ საკუთარ მიწაზე... ძმა ძმის სისხლს სვამდა...

დაიწყო ომი და მისი ცივი, სისხლიანი ხელები შეეხო ყველაფერს, მაგრამ ბოლომდე ვერ აღმოფხვრა, ვერ წაბილწა ის წმინდა გრძნობა, რასაც სიყვარული ჰქვია.

შამბაცა და შარტავაც ომში წავიდნენ. საბედისწერო აღმოჩნდა ამ უკანასკნელისათვის 16 მარტი. მას 17 წლის სნაიპერმა მოუსწრაფა სიცოცხლე. მისი მკვლელიც მოჰკლეს, მაგრამ ნუთუ ეს გამარჯვებაა? ისინი ხომ ორთავე ამ მიწა-წყლის შვილები იყვნენ.

შემზარავი აღმოჩნდა ეს ამბავი მისი აფხაზი მეგობრებისთვის, არა ერთხელ უნახავთ მის საფლავზე დამხობილი კაცი, რომელიც მწარედ ქვითინებდა. ალბათ მიხვდით, ვინც იქნებოდა, იმასაც მიხვდებოდით, რომ ცივმა, ქარიშხლიანმა, სისხლიანმა წლებმა ვერ დაამარცხა მათი სიყვარული.

ყოველ 16 მარტს, გარდაცვალების დღეს დადიან მეგობრები მის საფლავზე და შესანდობარს სვამენ. მათ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შორისაა აფხაზი შამბაც.“ – დაამთავრა მამამ ამბის თხრობა.

უფრო მოგვიანებით გავიგე, რომ საცოდავს ერთი შვილი ჰყოლია, შამბას კი ორი და იმედი ჩამესახა, რომ ისინი გააგრძელებენ მამების დაწყებულ ურთიერთობას, აუცილებლად გადაჰკვეთს მათი ბედის ხაზები ერთმანეთს და მომავალში, მაშინ, როდესაც საქართველოს დაუდგება დღე-ნათელი, დღე-ბედნიერი, კვლავ სიყვარული გაღვივდება, ბოროტების თესლს ამოძირკვავს კაცთა გულებიდან.

ჩემო საქართველოვ, ლამაზო და მშვენიერო, ჩვენო მიწავ, მდიდარო და უხვო, ჩემო სამოთხევ, მომღერალო და მელექსევ, იმ ღამეს სამების ტაძართან შეგროვილი ქართველების მომღიმარი სახეები ღმერთმა შენი დიადი მომავლის საწინდარი გახადოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნარინე ვანიანი
მეცხრეკლასელი
თბილისის 86-ე
სკოლის სომხური სექტორი

ლაჟვრიანი ვაზი

საქართველო – რამდენი ტკივილი, ტანჯვა, განცდა და ამავე დროს სიხარული, ბედნიერება და გამარჯვებაა ამ სიტყვაში.

ამბობენ, რომ საქართველო ადრე უფრო ლამაზი, უფრო მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო. მის ქუჩებში დილა ყარაჩოღელების ცეცხლოვანი ცეკვით და ზურნა-დოლით იწყებოდა, მაგრამ ეს დრო წარსულს ჩავაბარეთ. ახლა კი, ჩვენთან, დილა, სამწუხაროდ იმით იწყება, რომ აფხაზეთიდან დევნილი უბედური დედა, რომლის თვალებშიც ვხედავთ მხოლოდ იმედგაცრუებასა და უნდობლობას, დახმარებას ითხოვს, რათა მის პატარა შვილს პური მაინც აჭამოს. ჩემს ირგელივ უკვე ის საქართველო არაა, როგორზეც მე მიამბობდნენ. მიჭირს ასეთ საქართველოში ცხოვრება. ხალხის თვალებში ნაღველი დასახლდა. მართალია, ეს ყველაფერი დიდ ტკივილს მანიჭებს, მაგრამ მჯერა, რომ საქართველოს დაუბრუნდება ძველი, ლამაზი და კარგი დრო.

საქართველო რუკაზე პატარა ადგილს იკავებს, მაგრამ მიუხედავად სიპატარავისა, მისი წარსული დიდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განუწყვეტელი ომია. ვინ არ ებრძოდა – თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ღლიღვი, დიდო, ქისტი... მტერმა ვერ შეძლო საქართველოს მოკვლა და საბოლოოდ განადგურება. თუმცა თუ ყურადღებით დავაკვირდებით საქართველოს, მასზე ჯერ კიდევ დავინახავთ მტრის ისრით მიყენებულ ღრმა ჭრილობებს. ზოგი დიდი ხანია შეხორცდა, ზოგი კი ახლაც ხორცდება.

საქართველოს რატომღაც ვადარებ დაჭრილ არწივს, რომელიც მიუხედავად ღრმა ჭრილობისა, ოცნებობს შორს გაფრინდეს. ის ოცნებობს და ნელ-ნელა აღწევს მიზანს.

რატომღაც ძალზე მომხიბლა გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელომ," სადაც ის, პირველ რიგში, მეფე ერეკლეს ადღეგრძელებს. შემდეგი სადღეგრძელო მან მამულს, ანუ საქართველოს მიუძღვნა. „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? ერი გულადი, პურადი მებრძოლი შავის ბედისა?!" და ბოლოს ის ამბობს „ვმზერ მწუხარე მომავალს..." აი, ამაში მას ვერ დავეთანხმები, პირიქით, ვიტყვი, რომ საქართველო მუდამ გამარჯვებული იქნება.

გაიხარებს და ჩვენც გაგვახარებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიო კაზალიანი

მეოთხეკლასელი
თელავის მე-9 სკოლა

* * *

ჩემი საქართველო – მამული ჩემი...

ჩემი საქართველო – დედაენა ჩემი...

ჩემი საქართველო – თოვლიანი მთები, გარეჯის უდაბნო და ზღვა ჩემი...

ჩემი საქართველო – დიდი ტაძარი ღვთისა...

ჩემი საქართველო – აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩემი...

ჩემი საქართველო – ხუთჯერიანი დროშა, კლასებში გამოკრული გერბი და ბავშვების ნამღერი ჰიმნია...

ჩემი საქართველო – ბავშვის გაწვდილი ხელი და მოხუცის უმწეო მზერაა...

ჩემი საქართველო – ტკივილი, ოცნება და სიყვარული. ტკივილია იმის გამო, რომ არავის შიოდეს ჩემს სამშობლოში, ალარ იყოს ომი და ღვთის რწმენით ანთებულიყოს ჩემი საქართველო – სამშობლო ჩემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დიმიტრი ბატკაევი
მეცხრეკლასელი
რუსთაველის მე-3
რუსული სკოლა

„ცხოვრების ფრთა ცვლის"

საქართველო – დედამიწის ზურგზე ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, ღმერთისაგან დალოცვილი. მაღალი მთები, ნაყოფიერი ველები, სამკურნალო წყლები, ცნობილი კურორტები – ეს ყველაფერი ჩემი საქართველოა.

მრავალეროვნება და სითბო, რომელიც არსებობს ადამიანების ურთიერთობაში, ჩვენს სახელმწიფოს სხვებისაგან განასხვავებს.

მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო თავს იცავდა უცხოელი დამპყრობლებისაგან.

ქართული ჯარი თავის შეუდრეკელი, მამაცი სულით იგერიებდა მრავალრიცხოვან მტერს.

ყველასთვის ცნობილია ცხრა ძმა ხერხეულიძე, ისინი მტერს სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ებრძოდნენ. დედა იქვე იყო ბრძოლის ველზე, დროშით ხელში შვილებს ამხნევებდა. როცა ერთი ძმა დაეცემოდა განგმირული, დედა მეორეს გადასცემდა დროშას.

დედა ნაღვლობდა შვილების დაკარგვას, მაგრამ ეამაყებოდა მათი სიმამაცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მრავალი კეთილშობილი ადამიანი აღზარდა საქართველომ. მრავალი პოეტი უმღერის მის სილამაზეს.

„ჩემი ლამაზი ქვეყანა,
ჩემი ზღვები და ყანები,
იგი მხიბლავს და მაცოცხლებს,
მხოლოდ მას ვეთაყვანები“

ალეკო შენგელია

მართალია, დღესდღეობით აქ ცხოვრება ძალიან მძიმეა, სიღარიბე, უმუშევრობა ბევრს აიძულებს დატოვოს ეს ყველასათვის საყვარელი ქვეყანა, მაგრამ მწამს, დაგვიბრუნდება დრო, როდესაც კვლავ აყვავდება, აღორძინდება ეს წმინდა მიწა, მიწა მრავალტანჯული, მიწა ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი. დადგება დრო დიდებისა და ბედნიერების.

„ასახდენი უნდა ახდეს,
უნდა ითქვას სათქმელი,
გაუმარჯოს საქართველოს
ქართულით და ქართველით!“

ალეკო შენგელია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუკა ჯინაშვილი
მეექვსეკლასელი
თბილისის მე-7 გიმნაზია

შვიდოსა ხანური წელი

ეე და ჩემი ძმა დავიბადეთ და გავიზარდეთ ქ. მოსკოვში. მშობლები ქართველები გვყავს, მაგრამ უკვე დიდი ხანია იქ ცხოვრობენ. მე თერთმეტი წლის ვარ, რატი კი ცხრის.

რა თქმა უნდა, სამ-ოთხ წლამდე რა ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში, თითქმის არ მახსოვს. მშობლების და ახლობლების გადმოცემით, ასევე ვიდეო ფირებისა და სურათების მეშვეობით ვიცი, რომ ყოველი წლის ზაფხულს საქართველოში ჩამოვდიოდით. მამა ხშირად ამბობდა, რომ აუცილებლად საქართველოში გადავალთ საცხოვრებლადო. გარშემომყოფთ კი ნაკლებად გვჯეროდა ამის.

საბავშვო ბაღში დავდიოდი. როგორც ყველა ჩემი ამხანაგი, მეც სულმოუთქმელად ველოდი მაისის ბოლო დღეების დადგომას. ყველას აგარაკზე მიეჩქარებოდა. მე კი ვიცოდი, რომ საქართველოში წამოვიდოდი. მეგონა, რომ საქართველო იყო ჩვენი აგარაკი - დასასვენებელი ადგილი. უფროსები ხში-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად ახსენებდნენ სიტყვა „სამშობლოს," მაგრამ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს სიტყვა.

მიხაროდა აქ ჩამოსვლა იმიტომ, რომ ცხელოდა, სულ მზე ანათებდა, უმეტეს დროს ეზოში ვატარებდით, კახეთში ბებიასთან ჩავდიოდით. იმ სოფელში ბევრი მეგობარი გვყავს: იკო, ფარნა, შოთიკო, მარი, სოფო, თინიკო, გია, ლია, და ა.შ. ყოველ წელს ზღვაზე მივდიოდით დასასვენებლად, ნაკლებად ვმეცადინეობდით და ბევრს ვერთობოდით.

არ მიყვარდა აგვისტოს ბოლო. წასვლის წინ ბებიები აუცილებლად ტირილს იწყებდნენ, მე კი ცრემლები არ მიყვარს.

ოთხი თუ ხუთი წლის ვიყავი. საბავშვო ბაღში დავდიოდი. არ მახსოვს რატომ, მაგრამ ჩემმა ერთ-ერთმა ჯგუფელმა მითხრა: „შენ რუსი არა ხარ, ქართველი ხარო". ძალიან მეწყინა. ასე მეგონა, რაღაც ცუდი მაკადრა. ერთი სული მქონდა დედა მოსულიყო და დაემტკიცებინა, რომ მეც რუსი ვიყავი.

მთელი ჯგუფი გასახდელში შევხვდით დედაჩემს. მე აცრემლებული თვალებით მივიჭერი მასთან და ვთხოვე: „უთხარი ამათ, რომ რუსი ვარ, ქართველს მეძახიან"-მეთქი. მან კი არც „ჰო" მითხრა და არც „არა". თავზე ხელი გადამისვა, შინ ვილაპარაკოთო. ბავშვებს მოეფერა და ჯგუფში შეიყვანა.

ძალიან გავბრაზდი. სახლამდე რა მოითმენდა, გზაშივე დავიწყე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– რატომ არ უთხარი, რომ რუსი ვარ?

– არ ხარ რუსი, –მითხრა, – შენ ქართველი ხარ და ამით უნდა იამაყო!

– ყველა რუსია და მარტო მე ვარ ქართველი? – უფრო მეტად მომაწვა ჯავრი. ისეთივე მინდოდა ვყოფილიყავი, როგორიც ყველა.

– შენ ქართველობა ცუდი ხომ არ გგონია, მათზე მეტი თუ არა, ნაკლები რითი ხარ? აბა შეხედე შენს თავს, ვინმეზე უშნო ხარ? არა! ვინმეზე უჭკუო ხარ? არა! ლიუბოვ ივანოვნა ვის აძლევს წარმოდგენებში მთავარ როლებს? შენ! ვინ გამოჰყავთ საჩვენებელ გაკვეთილებზე? შენ! ვინაა ბაღის ჩემპიონი ცურვაში? შენ! ვისი ნახატები გამოფინეს ჰოლში? შენი! ვინ მოსწონთ ბაღის ყველაზე ლამაზ გოგონებს? შენ! აბა მითხარი, რად გინდა რომ ყველას ჰგავდე, უმჯობესი არაა სხვებისგან გამორჩეული და კარგი იყო?

რა თქმა უნდა, მესიამოვნა ეს სიტყვები, განსაკუთრებით გოგონების შესახებ. მახსოვს, შინ უკვე კარგ ხასიათზე მივედი. შემდეგ კი, უკვე ყოველივე კარგი და საუკეთესო ასოცირდებოდა საქართველოსთან: თუ სპორტის რომელიმე სახეობაში ვინმე ჩემპიონი გახდებოდა, მინდოდა, რომ ქართველი ყოფილიყო. თუ რაიმე გემრიელ საჭმელს გავსინჯავდი, მინდოდა ქართული სამზარეულოსი ყოფილიყო. თუ ლამაზ მანქანას დავინახავდი, საქართვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოში დამზადებული მინდოდა ყოფილიყო. ყველას თავს ვაბეზრებდი კითხვებით: – საქართველო უფრო მაგარია თუ რუსეთი, საქართველო თუ გერმანია, საქართველო თუ აშშ. და ა.შ.? სულ ერთი და იგივე პასუხს ველოდი – მინდოდა საქართველო ყველაზე დიდი, ძლიერი და ლამაზიაო, ეთქვათ!

პირველ კლასში მისაღებ ტესტირებას რომ გავდიოდი, ვფიქრობდი, თუ ვერ ჩავირიცხები გიმნაზიაში, მშობლებთან ერთად საქართველოსაც შევარცხვენ-მეთქი. საბედნიეროდ, მეც და ჩემი ძმაც გიმნაზიურ კლასებში მოვხვდით. არაჩვეულებრივი პედაგოგები და კლასელები გვყავდნენ. კარგად ვსწავლობდით. ყველამ იცოდა, რომ ქართველები ვიყავით. დედა ამბობდა, ამ ხალხს შეიძლება მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე ჩვენს გარდა სხვა ქართველებთან არ მოუწიოთ ურთიერთობა, ამიტომ ისე მოიქეცით, რომ ჩვენს სამშობლოზე საუკეთესო შთაბეჭდილებები დარჩეთო. ჩვენც ყველანაირად ეცდილობდით, ცუდი არაფერი ჩაგვედინა. ხანდახან, ამხანაგური ჩხუბის დროს, თუ რამე გვეტკინებოდა, ბოლომდე ვითმენდით – ვაჟკაცები არ ტირიან, მით უმეტეს ქართველები.

არც პედაგოგები გვარჩევდნენ სხვა ბავშვებისაგან და ჩვენი ქართველობის გამო შელავათებს არ გვიწევდნენ. მე და ჩემს ძმას ყველაზე მეტად ის გვიხაროდა, რუსული ენის საკონტროლო წერაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუთებს რომ ვიღებდით. რამდენჯერ უთქვამს მასწავლებელს ჩვენი კლასელებისთვის: – არ გრცხვენიათ, ზუკა და რატი თქვენს მშობლიურ ენაზე თქვენზე უკეთესად წერენ და სწავლობენ!

მინდა ერთი ამბავი გავიხსენო. სამი წლის ასაკიდან ვცეკვავდი საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბავშვობის რიტმებში". ანსამბლთან ერთად მოსკოვის თითქმის ყველა დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვსულვარ. გარდა ამისა, ყოველ წელიწადს ვიღებდით მონაწილეობას კრემლში გამართულ საახალწლო ნაძვის ხის ზეიმებზე. არ დამავიწყდება პირველად რომ მივიღე მონაწილეობა ამ წარმოდგენებში. ორი თვით ადრე დავიწყეთ რეპეტიციები, შეგვიკერეს კოსტიუმები. მთავარმა რეჟისორმა ახალი წლის როლის შესასრულებლად პატარა ბავშვებიდან მე და ანდრეი შეგვარჩია. ანდრეი ჩემი მეგობარია. იგი ძალიან ქერა და თეთრი ბიჭია. მე კი ისეთი გარეგნობა მაქვს, როგორიც ქართველების უმრავლესობას.

ყველა დაძაბული ემეცადინეობდით. ვ. პუტინი უნდა მოსულიყო და გაეხსნა ქვეყნის მთავარი ნაძვის ხის ზეიმი. იგი ძველ და ახალ წელთან ერთად უნდა გამოჩენილიყო სცენაზე.

საბოლოოდ არჩევანი ანდრეიზე შეაჩერეს და ახალი წლის როლის შესრულება მას დააკისრეს. ჩვენ კი ღიმილით მოგვიბოდიშეს რეჟისორმა და ანსამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლის ხელმძღვანელმა: ცოტა უხერხული იქნებოდა, ამხელა რუსეთისთვის, ქართული ახალი წელი გაგვეთენებინაო. ჩვენც გაგვეცინა, რადგან გულის სიღრმეში იმავეს ვფიქრობდით. ისე, კი, მართლაც საცილო იქნებოდა, შავტუხა ახალი წელი რომ გამოჩენილიყო ვ. პუტინის გვერდით.

მე მაინც საუკეთესო მოგონებად მრჩება ის სამი კვირა, როდესაც დღეში სამჯერ წარმოდგენებს ვმართავდით, შესვენებაზე კრემლის ეზოში ან ყრილობათა დარბაზში დავრბოდით. ვ. პუტინის ნაცვლად კი მისი მეულლე – ლიუდმილა პუტინა მოვიდა.

ერთ ზაფხულს ნასტია ბებომ გადაწყვიტა ჩვენთვის ქართული წერა-კითხვა ესწავლებინა. მოგვიტანა ანბანი. მე და რატის ძალიან მოგვეწონა ქართული ასოები. ისინი ყვავილებს ჰგვანან: კეკლუცობენ, იპრანჭებიან, სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებიან, თითქოს მიწიდან ამოდიან და ზეცისკენ ლამაზად მიისწრაფვიან. ძალიან მალე ვისწავლეთ წერა. მოსკოვში რომ ჩავედით, საშინაო დავალებების რვეულებს რუსულის მერე ქართულად ვაწერდი ჩემს სახელსა და გვარს. მასწავლებლები არ მიბრაზდებოდნენ. ჩემს კლასელებსაც ისე მოეწონათ ქართული დამწერლობა, რომ ჩემი სახელის დაწერა თითქმის ყველა მათგანმა ისწავლა.

ამ ზაფხულს რომ მოვფრინავდით, ვიცოდით, რომ საცხოვრებლად აქ უნდა დავრჩენილიყავით. მთელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაფხულის განმავლობაში ეჭვი მაწუხებდა, არ გადაიფიქრონ–მეთქი. აგვისტოს ბოლოს დაძაბული ველოდი. მამამ ჩვენი საბუთები რომ ჩამოიტანა, მაშინ დავმშვიდდი.

მადლობა უნდა გადავუხადო საქართველოს განათლების სამინისტროს და მე-7 საავტორო გიმნაზიის დირექციას. მათ საშუალება მოგვცეს კომისიაზე გაგვეველო და ერთი წლით წინა კლასებში ჩავრიცხულიყავით. ორივეს ბედი გვწყალობს და აქაც საუკეთესო პედაგოგები და კლასელები შეგვხვდნენ. ძალიან მალე დავუმეგობრდით ყველას. ისეთი შეგრძნება გვაქვს, თითქოს პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობთ. მოსკოველ მასწავლებლებს და მეგობრებსაც ხშირად ვურეკავთ. ახლა თბილისი თანდათან ლამაზდება. ცოტა ხანს კიდევ დავიცდით და როდესაც იგი ძალიან ლამაზი და კოხტა გახდება, ჩვენს ძველ მეგობრებს მოვიპატიჟებთ. მოვატარებთ მთელ საქართველოს, გავაცნობთ ჩვენს ახალ კლასელებს. იმედი გვაქვს ისინიც დამეგობრდებიან.

ახალ წელს ბიძაჩემი გაფრინდა მოსკოვში. გამოფენა-გაყიდვაზე შევარჩიეთ ლამაზი ნახატები, სადაც ძველი თბილისის პეიზაჟებია გამოსახული. წავაწერეთ და ჩვენს ყოფილ სკოლაში გავატანეთ. სკოლის დირექტორმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ სურათები ჩვენს სასწავლო კლასებში ყველაზე თვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლსაჩინო ადგილებზე ჩამოჰკიდეს. სანამ თქვენი კლასელები სკოლას არ დაამთავრებენ, ეს ნახატები იქ იქნება, შემდეგ კი ჩემს კაბინეტში გადავიტანო.

ძალიან გვიხარია, რომ ქ. მოსკოვის №982 საშუალო სკოლის კედლებზე ჩვენი საქართველოს პატარა ნაწილია გამოფენილი და ვინც მათ უყურებს, ჩვენი თავი ახსენდება.

მე და რატის კი უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვიცით რას ნიშნავს სიტყვა „სამშობლო", რომ ჩვენც უკვე აქ ვცხოვრობთ, თქვენს გვერდით და რომ საქართველო, რომელიც სულ გვენატრებოდა, ახლა თქვენთან ერთად ჩვენიცაა!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა	----------	5
გიორგი ლობჟანიძე – მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა	----------	7
ანა ზადიშვილი – მზის დღიურები	----------	17
ფრესკის ცრემლები	----------	25
გიორგი ელიზბარაშვილი – მუშკეტერები საქართველოში	----------	29
ტარიელ წაქაძე – დევების საბუდარი	----------	38
ლუკა კურდღელია – დედა-დვრიტა ვაჟკაცობისა	----------	52
თათია ადამაშვილი – მოეჩვენა, რომ სამშობლო დაამარცხა	----------	56
საბინა რუსტამოვა – ვსწავლობ განჯელს და რუსთაველს	----------	61
ირინა ხაჩატუროვა – ჩემი წინაპრების ქალაქი	----------	63
სოფიკო დაუშვილი – მეფე ლომი და მერცხლები	----------	66
დავით ლაზარიაშვილი – ჩემი საქართველო	----------	70
ალისა ნიკიტინა – ეს ჩემი საქართველოა	----------	71

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეონა შავშიშვილი –
რა მიამბო სოფლის ძველმა გზამ ---------- 73

ლუსინე სარუხანიანი – უღალატო ერი ---------- 82

ფატიმა მამედოვა – დედასავით თბილი ---------- 84

ერეკლე შავაძე –
„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ ---------- 89

სანდრო ცხოვრებოვი – თუმცა რუკაზე პატარაა ---------- 92

ალინა ქალდანი – ჩემი სამშობლო ---------- 93

გივი ვაშაძე – „კრიმანჭულს“ და „ჩაკრულოს“
უცხოელებიც მღერიან ---------- 96

ანამარია ჰერცელი – ვაუკაცობამ გადაარჩინა ---------- 101

გვანცა გელაშვილი –
„რა ღირს, ბატონებო, საქართველო“ ---------- 102

იანა ენგიბარიანი – სამშობლო მთათა ჯაჭვია ---------- 105

თამუნა ჭაღიაშვილი – იგავ-არაკები ---------- 110

ვარდუჰი ენგიბარიანი –
თბილისი მხიარული ქალაქია ---------- 115

ნანა ნადირაშვილი – ნატვრა ---------- 116

მილენა პაპიკიანი – მხვნელ-მთესველთა ქვეყანა ---------- 118

ლექსო ლომიძე – ნოსტალგია ---------- 120

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ჯაფაროვა – მე სხვა ერის შვილი ვარ ---------- 122

მახარე მერებაშვილი – ეძახის... ---------- 124

დიანა ჩოფურიანი –
„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე მთელი ქვეყანა“ ---------- 129

ოქსანა ვართარეზოვა – მომავლით ვცხოვრობ ---------- 131

გვანცა ზერაგია – მათ შორისაა აფხაზი შამბაც ---------- 132

ნარინე ვანიანი – დაჭრილი არწივი ---------- 138

სოფიო კაზალიანი – * * * ---------- 140

დიმიტრი ბატკაევი – „ასახდენი უნდა ახდეს“ ---------- 141

ზუკა ჯინაშვილი – შაეტუხა ახალი წელი ---------- 143

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი საქართველო

35

ნარკვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა ნახატების კონკურსის კოორდინატორი გახლდათ **რუსუდან ფეტვიაშვილი** – ცნობილი მხატვარი, ბავშვთა საერთაშორისო ფონდ „ვუნდერკინდის“ გამგეობის წევრი.

რუსუდან ფეტვიაშვილის მონვევით გამარჯვებული ნახატები გამოავლინა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **თენგიზ მირზაშვილი** – ცნობილი ქართველი მხატვარი, **გია ჯანბერიძე** – საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, **ნანა გერასიმოვა** მხატვარი, **ლია გორგაძე**

– ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის დირექტორი, **ანა ლალიძე** – არასამთავრობო ორგანიზაცია „თავის–არტი–მსოფლიო კულტურული ინტეგრაციის“ დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი.

წარმოდგენილი ჟიური ბავშვთა ნამუშევრებს მხოლოდ შესრულების დონის მიხედვით კი არ აფასებდა, გამორჩეულ ყურადღებას აქცევდა ბავშვების უშუალო ხედვას, გულწრ–

ფელობას, ფერებთან ხალას დამოკიდებულებას და, რაც მთავარია, უფროსების გავლენისგან შეურყვნელობას. ამდენად, ბავშვების ნამუშევრები შესაძლოა შორს იყოს სრულყოფილებისაგან, მაგრამ ყიურისთვის მთავარი იყო ამ ნამუშევრებში იმ მარცვლის აღმოჩენა, რომელმაც საამომავლოდ უნდა მოგვცეს ნაყოფი.

გთავაზობთ გამარჯვებულთა ნამუშევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ თევზაძე

კოლექტიური ნამუშევარი

თეა როგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ტყებუჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანი ფერაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანი შანშიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ხულუზაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ჯანდიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრი ურთაძელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგო ჭეგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდონია ჭელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე ყაჩგაზოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნანა კიტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ჯყონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა თეთრაძე

ნათია მიგრიაული

ჩემი საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოტე კაკამია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიკა ბაბიკაშვილი

ნანა ხუციშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირინა ხაჩატუროვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალომე ჯანელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბახტაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუცა გურეშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალმაცბირ კვიციანი

ირაკლი კოპაძე



ირაკლი ხეცურიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა და მარიამ ხოჯოლავები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიკო თათარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბიორბი ნანუაშვილი

...ჩემს საკუთრებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევდორე რეხვიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიორბი ბერაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აჩიკო ბურნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბია ბემაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბესიკ ლობჟანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თეონა რეხვიაშვილი

მარიამ თევზაძე
5 წლის თბილისი

კოლექტიური ნამუშევარი
რუსთაველის მე-10
ბაგა-ბალი

თეა რობავა
პირველკლასელი
გრიგოლიშის
სკოლა, ზუგდიდი

ეხეილ ტყეშეჩავა
პირველკლასელი
თბილისის
მე-60 სკოლა

ანი ფერაძე
პირველკლასელი
თბილისის
174-ე სკოლა

ანი შანშიაშვილი
პირველკლასელი
თბილისის
174-ე სკოლა

ფოთა ხულუზაური
პირველკლასელი
დუშეთის
მე-3 სკოლა

ანა ჭანდიერი
პირველკლასელი
ბილისის „ქართუ-
ი სასწავლებელი"

სანდრო ფრიდმელიძე
მეორეკლასელი
თბილისის
ფრანგული კოლეჯი

თენგო ძებაძე
მეორეკლასელი
თბილისის
23-ე სკოლა

სიდონია ჯელიძე
მეორეკლასელი
თბილისის
„ახალი სკოლა"

კოტე ყაჩმაზოვი
მეორეკლასელი
ახმეტის
სკოლა-ინტერნატი

ნანა კიტია
მესამეკლასელი
დიდინეძის სკოლა
ზუგდიდი

ნინო ჭყონია
მესამეკლასელი
თბილისის
55-ე სკოლა

ზოთა თეთრაძე
მეოთხეკლასელი
მანგლისის 1-ლი
სკოლა, თეთრიწყარო

ნათია მიზრიაული
მეოთხეკლასელი
მანგლისის 1-ლი
სკოლა, თეთრიწყარო

კოტე ძაძამია
მეოთხეკლასელი
თბილისის
186-ე სკოლა

ლიკა გაბიძაშვილი
მეხუთეკლასელი
თბილისის
ESM ლიცეუმი

ნანა ხუციშვილი
მეხუთეკლასელი
თბილისის 1-ლი
კლასიკური გიმნაზია

ირინა ხაჩატუროვა
მეხუთეკლასელი
თბილისის
136-ე სკოლა

სალომე ჯანელიძე
მეექვსეკლასელი
ბადიაურის სკოლა,
საგარეჯო

ალექსანდრე ბახტაძე
მეშვიდეკლასელი
თბილისის 1-ლი ექსპ-
ერიმენტული სკოლა

ნუცა გურეშიძე
მეშვიდეკლასელი
თბილისის
65-ე სკოლა

ალმასბირ ჯოლიანი
მეშვიდეკლასელი
თბილისის
23-ე სკოლა

ირაკლი კოპაძე
მეშვიდეკლასელი
თბილისის
61-ე სკოლა

ირაკლი ხეცურიანი
მეშვიდეკლასელი
თბილისის
მე-5 გიმნაზია

მარიამ და ნანა ხოჯოლავები მეშვიდე და მერვეკლასელები
სენაკის მე-2 სკოლა

ეკატერინე თათარაშვილი
მერვეკლასელი
თბილისის
67-ე სკოლა

გიორგი ნანუაშვილი
მერვეკლასელი
საგარეჯოს
მე-4 სკოლა

თეოდორე
რეხვიაშვილი
მერვეკლასელი
თბილისის 47-ე სკოლა

გიორგი ბერაია
მეცხრეკლასელი
თბილისის 25-ე
სპორტული სკოლა

აჩიკო ბურნაძე
მეცხრეკლასელი
წინანდლის სკოლა,
თელავი

ბიბი ბემაზაშვილი
მეცხრეკლასელი
წინანდლის სკოლა
თელავი

ბესიკ ლობჟანიძე
მეცხრეკლასელი
მლაშის სკოლა
ადიგენი

თეონა
რეხვიაშვილი
მეცხრეკლასელი
ონის 1-ლი სკოლა

K 259.282
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა